


ლიბერატორული ალმანახი

# ხორხნაშ უჯი

თბაკვალი 2021

№ 10



არხილოსკალოს  
ღვთისმშობლის ხარაზის  
სახელოზის ბაძარი

# „ხონისა უჯი“

თებერვალი

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა

2021 წელი

## სარჩევი

### პოეზია

ქეთევან შენგელია .....	2
ეკა ჯაფარიშვილი .....	3
ეკა ბაქრაძე .....	4

### პროზა

გია ხუბუა	
ველოსიპედი .....	6
სულმოკლეობა .....	7
ყველაზე დიდი ბებია .....	9
ადამიანი — სასწორი .....	13
ქეთევან დოლიძე	
პირველი სიტყვა .....	15
ჯილდო სიყვარულისთვის .....	15
სიტყვა — ინედლე! .....	16
შაქარყინულის საკვენეტელა .....	16
შრომანების დღესასწაულზე .....	16

### პოეზია

ბათუ დანელია .....	17
თამაზ წიკლაური .....	19
ცირა ბარბაქაძე .....	20
მამუკა ოჩიაური .....	21

### პროზა

ცოტნე სოფიავაძე	
გაქცევა .....	23

### პოეზია

ვაჟა ოთარაშვილი .....	27
ეკა კვანტალიანი .....	29

### პროზა

ლანა მანველი .....	30
MILA .....	30
NATHALIE .....	31
AMANDA et BERNARD .....	31

### პოეზია

ვასილ ბესელია .....	32
---------------------	----

ნომადი ბართაია .....	34
დავით ახლოური .....	35

### პროზა

ანა ერისთავი	
უკვლავება .....	36

### პოეზია

გია ჯიჭონია .....	38
მარიაკა ჰარნასელი .....	39
ვიკა ქალღანი .....	40
რეზო სირბილაძე .....	41
ქეთი ჯოლობორდი .....	41
ნანა საბანაძე .....	42
ეთერ ფაცურია .....	42
ელგუჯა ციგროშვილი .....	43
სალომე გოგოლაძე .....	43

### პროზა

სალომე გოგოლაძე	
წერილი მარიაშ .....	45
ძახილი .....	45
ქაბირი .....	46

### ბასსენება

გიორგი ჭოლიკაური .....	48
------------------------	----

### თარგმანი

იგორ ხარიჩევი .....	49
ვირჯინია ვულფი .....	52
იანკა კუპალა .....	55
ადა ნეერი .....	55
ანა ახმატოვა .....	57

### პუბლიცისტიკა

ნანა ჭიჭინაძე	
ბაირონიდან გალაკტიონამდე .....	58

### დედოფლისწყაროს ისტორიიდან

დალი ბაღაშვილი	
არხილოსკალო .....	61



ალმანახის გამოცემაში ხელშეწყობისათვის მადლობას მოვახსენებთ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს ბატონ ნიკოლოზ ჯანიაშვილს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ნუგზარ პაპიაშვილს და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორს ბატონ ილია მარტყოფლიშვილს.

რედაქტორ-გამომცემელი:  
გიორგი ნატროშვილი

ალმანახის ქულის ავტორი:  
სამგზო ქართველიშვილი

გარეკანი გაფორმებულია:  
ვაჟა ყოჩიაშვილის ფოტოთი  
და ინგა ბაიაშვილის ნაშუაგვრებით



### კეთევან ბენგელია

#### ასურელი მამებს

მარტყოფს, იყალთოს, ალავერდს, ნეკრესს,  
ხირსასაც... ალბათ, თქვენი ვალი აქვთ;  
ასურელებო, სანთლის სხივის ქვეშ,  
ვთბები, როდესაც მცოცხა ძალიან!  
და ვდგები ლოცვად, ერთი ცოდვილი,  
რომელიც თითქოს ვეწამე გრძნობით,  
როგორ მარცხებს ის სასწაული,  
რაც მოახდინეთ ღვაწლით და ძმობით.  
მოვდივარ მარტყოფს, იყალთოს, ნეკრესს...  
ზეცაო! ზედ ხომ დამეხურები?  
უნდა დაუკონო მათი გზები და  
გზებზე — სიკეთის ნაფეხურები.

\* \* \*

ამ გადარეულ ღამეებს ვფიცავ,  
შენ, დედამიწავ, ვერ მივხვდი რა გსურს!  
მე, როგორც მინდვრის გვირილა მიწას,  
ისე მომწვივებ უეცრად წარსულს.  
შენ მიპასუხე საიდან ჩნდება,  
მოწმენდილ ცაზე ღრუბელი შურის?!  
მერე შავდება და ნება-ნება,  
მიიძურწება ნელი და ჩუმი.  
ამ გადარეულ ღამეებს ვიცნობ,  
უძილობის და დარდის ჯადოქრებს,  
ამოდი მთვარე, გიყურო ვინძლო,  
ცრემლებმა გული ლამის გამოხრეს.

გატყდა ეს ღამეც, ვით ძველი ციხე,  
იყო შფოთი და დავიდარაბა,  
შენთვის გაგხსენი სამყარო კლიტე,  
შენთვის ვადებდი შხეო, დარაბას!  
ამ გადარეულ ღამეებს ვფიცავ,  
შენ, დედამიწავ, ვერ მივხვდი რა გსურს?!  
თორემ მე, როგორც გვირილა მიწას,  
ისე მომწვივებ უეცრად წარსულს.

#### მე მეგონა წაში ფრენა მიშველიდა

ოქრო-ვერცხლი ვერ უშველის მკვდრადშობილებს,  
ემოციგაწვევტილებს, ბოლომდე,  
ეს ცხოვრება ყველას ერთად გვატოვებებს,  
იმედი არ დაგეკარგოს როგორმე.  
სასთუმალთან ოცნება არ ჩაგეფერფლოს,  
არ დაგიჭკენეს გულში თეთრი გვირილა,  
ნუ აურევ ერთმანეთში შხამს და ერბოს,  
ცხოვრებას ნუ გადააქცევ ჩივილად;  
ის ისედაც ძალზე სწრაფად გაიქცევა,  
ყოველი დღე დააფასე შხიანი...  
რა ბევრია მოარული არსებები,  
რა ცოტაა მაინც ადამიანი!  
გული მწყდება შეუსმენელ სიკეთეზე,  
ღორების წინ დაყრილ მარგალიტებზე,  
მერე რა, რომ ვერ დაუფიქრდი მიზეზებზე,  
ვოცნებობდი ზეცაზე და ჩიტებზე.  
მე ვფიქრობდი, ზღვის ბუნება როგორ ჰგავდა  
კაცისას და დელვას შფოთვა მოჰქონდა.  
რა ვიცოდი სახელი თუ იქმნებოდა,  
კაცისათვის ვერცხლიდან და ოქროდან.  
მე მეგონა, ცაში ფრენა მიშველიდა,  
მიშველიდა სიკეთე და ღიმილი...  
შემაწვივებეს მკერდზე ჩემი გიშერი და  
ამადვენეს ამ ცხოვრებას ჩრდილივით.  
რა ცოტაა სიყვარულის ელექსირი,  
რა ვრცელია არაკაცთა ამქარი,  
ბჭობენ, მაგრამ ხომ სულ სხვაგან იწერება,  
ბედ-იღბალის უცნაური დავთარი.  
ამიტომაც სულ არ მესმის მონის ენა,  
სულ არ მესმის გარიგების წესები,  
ერთი მცირე კიდობანი ავაშენე,  
შიგ ჩავყარე იმედი და ლექსები,  
შიგ ჩავწერე ის ძვირფასი სახელები,  
ბარათები ამ სახლიდან ზეცამდე...  
ისე სწრაფად გადის ეს დრო, გეზვეწები,  
რაზეც არ ღირს, არ იდარდო ეცადე!

\* \* \*

ოქტომბრის ბოლო... კახეთის ხედი...  
მტევანი იფხებს უბეს სიტკბოთი,  
დაგკჩერებოდა შხე — ქვეყნის ბედი,  
როგორ მწამდი და როგორ მინდოდი...

ნატერის ხის ტოტზე ჩიტი გალობდა,  
 ხესაც ნაყოფი ესხა ედემის,  
 ზეცამ დაუშვა ჩვენზე წყალობა,  
 კვლავ ყვავილობენ ჩემი ქედები;  
 გადაფრენილან მერცხლები უკვე,  
 თივაც დაუდგამთ კოხტა ზვინებად,  
 ხუთი წლის შემდეგ ამ სიყვარულზე,  
 ნეტა ისევ თუ გაგვედიმება?!  
 თუ მაინც ტანჯვის ალი გაგვთიშავს,  
 როგორც დაჭრილ და დაღლილ მეომრებს,  
 დაეხუჭავ თვალებს, ალბათ მაშინაც,  
 წარსულს ხსოვნაში გავიმეორებ.

**მთები**

დგანან ჩემი ქვეყნის მთები, ვით მხატვრები,  
 ცა გაშლილა და მოღბერტად ქცეულა,  
 ჭრელ ფერდობებს ყვაილივით ჩაუწვენები,  
 ტყემ ფოთლები დილით გაამზეურა.  
 მიქრის დასავლეთის ქარი სვანეთისკენ,  
 თან მიჰყვება პაწაწინა ბელურა,  
 რა მაცდური ამინდია, ღმერთო გვიხსენ,  
 მობზრიალებს ევას ვაშლი — კვხურა.  
 ამ სამყაროს მოხატავენ ჩემი მთები,  
 ღრუბლებისგან ამანათი გვერგება,

წვიმის წვეთებს შეუშვირეს ნორჩი მხრები,  
 ფერდობებზე მოძრიალე ნერგებმა.

**მხედარი**

მთის მწვერვალებთან გამოჩნდა მთვარე,  
 ზეცაზე კუთვნილ ადგილს იკავებს,  
 რა აფერმკრთალებს მითხარი ბარემ,  
 ამ სევდიან და ნაცნობ იგავებს?!  
 უფალო, ნუთუ ხორცს თუ გასწირავს,  
 მაშინ გახდება კაცი ნეტარი?!  
 ბედი გამისხლტა გვერდზე; ჭადრაკის  
 დაფაზე, როგორც თეთრი მხედარი.

**ზავშვი**

ირწეოდა პაწაწინა ფიჭვი ქარში,  
 „სამთავროში“ გრიალებდნენ ზარები,  
 თამაშობდა მეოცნებე ბავშვი იქვე,  
 ახლა მივალ, ფრთხილად მივეპარები.  
 დაუკოცნი წითელ ლოყებს, იმ შავ თვალებს,  
 მერე ზღაპარს მოუყვები გმირებზე,  
 ღმერთო, დიდი საქართველო დაახვედრე,  
 სიძლიერეც მალე გამოიმეტე!

**ენა ჯავახიშვილი**

**როგორ მყვარებია თურმე....**

თავის მოტყუებას, გადიმება  
 ჰყოფნის, არ ვჩერდები, ვეძებ,  
 ერთხელ ყველა გზები გაიღება,  
 შევძლებ, მგონია რომ შევძლებ...  
 თავის მოტყუება ადვილია,  
 (გულით მოვინდომე თუ თან),  
 ეს ხე ჩემს სარკმელთან ნამდვილია,  
 „წელზე ხელს შემომხვევს თუთა“.  
 მთვარე მოუზიდავს ჩემთან მხრებით  
 აქვე შეუშრია ნამიც,  
 ერთად გვძინებია ცის თანხლებით  
 თუმცა ოცნებები, მაინც  
 მისი ტოტებიდან გამიფრინდა,  
 ვერ ვძლებ უმაგათოდ, ვერ ვძლებ,  
 მათი დაბრუნება ისე მინდა...  
 რას არ მოვიტყუებ... შევძლებ.  
 ჩემი ჩიტუნები მოჭიკჭიკე  
 ცისკენ გაფრენილან, მხეხე  
 და თუ დავიბრუნე, ყველა ჭინკებს  
 უცებ წამომიყრის ზეზე.  
 რაც კი სამყაროში იება  
 ცრემლი არ ვაწვეთე თუ მე....  
 ღმერთო, დღემდის როგორ მტკიებია  
 როგორ მყვარებია თურმე.



არც ვყიდი და არც ვყიდულობ,  
 მაიძულებს ვერა დრო,  
 რაც მიყვარს და ღირებული  
 მაქვს, მას ფული შეგკადრო.  
 ღარიბად და ლაღად ვცხოვრობ,  
 ცას სულს ასე მიფუტან,  
 რა ღირს ღმერთი და სამშობლო,  
 იცის მართო იუღამ!

\* \* \*

ვამოწმებ ზურგჩანთას,  
 ბილეთი აქ არის,  
 ხვალ „რომში“ ვიქნები,  
 გავხედე ლიანდაგს,  
 გაგასწროთ, წუთის წინ  
 დატოვა ბაქანი,  
 მაფხიზლებს ცივი ხმა  
 „თქვენ დაგაგვიანდათ“.  
 პასუხი ერთია  
 სადაც კი მივდი,  
 მგზავრებში დავდივარ  
 ხან ჩრდილად, ხან ლანდად,  
 გავიდა? — გავიდა!  
 არ არის იმედი?  
 ისევ ის ცივი ხმა,  
 „თქვენ დაგაგვიანდათ“.  
 და ბოლო სადგური,  
 ხალხია მილეთის  
 ქარი ჰქრის, გგონია  
 სამყარო მიაქვს და...  
 თქვენც „რომში“ მიღიხართ?  
 ინებეთ ბილეთი!  
 მე?  
 აღარ მივდივარ,  
 მე დამაგვიანდა!  
 „ყველა გზა რომში მიდის“

\* \* \*

ზოგჯერ გინდა მალე შიში  
 და ღიმილი აელვო,  
 დრო არ გადის მოლოდინში,  
 წლებს კი მაინც ჩაევლო.  
 რჩება დარდის დიდი ლოდინი  
 და წარსული წარსულად,

თურმე რასაც მოელოდი  
 მოსულა და წასულა.

არაფერია...

არაფერია, კიდევ ერთხელ თუ ჩამოთოვა,  
 ღამეს დღე მოსდევს და აღმართებს ბოლოს ფერდობი,  
 როცა იქნება ვისაც ველი, ლექსებით მოვა,  
 ასჯერ მოვტყუვდე, ასმეერთეს მაინც ვენდობი.  
 ყველა სიყვარულს თან თავისი სიგიჟე ჰქონდა,  
 არ ენანობ არცერთს და არც მსხვერპლის ნიღაბს ვიფარებ,  
 მუდამ მახსოვდა დასასრული ყველაფერს ჰქონდა,  
 მე თუ მპარაუდნენ, მათგან რაღაც მეც მოვიპარე.  
 არაფერია, სანამ ვინმე წერტილს დაგვისვამს,  
 დაუსვი შენ და მიატოვე ერთი დღით ადრე,  
 რაა ცხოვრება, თუ სამსალა მისი არ გისვამს,  
 რაა სიცოცხლე არ ატარებ, თუ შენს წილ დარდებს.  
 არ ვცვლი, არც ვყიდი, ჩემი ტვირთი არ მეძმძიმება,  
 ბედნიერებას ბრძოლა უნდა, ისე არ მოდის  
 და რამდენჯერაც დავეცემი, გამეცინება,  
 რადგან აღვგომა ყველაფერზე კარგად გამომდის.

\* \* \*

გულს არ მივცემ ნებას იყოს  
 მდუმარე და მხოლოდ ცემდეს,  
 ოცნებისგან რომ გამრიყოს  
 და თვალები ამიცრემლდეს.  
 ცხრავე ზეცის, სანამ არი,  
 მობიბინე მთვარე ძოვოს,  
 ერთი რამ მაქვს სათხოვარი,  
 არასოდეს შემებრძოლოს.  
 თუა, იყოს დარიალი,  
 მე — ულაგმო თურგი იქ რო,  
 ეს ღალატის დარი არი  
 ჩემი შეცვლა გაიფიქროს.



ნაა ბაქრაძე

\* \* \*

ციცკრის ათინათმა ღამე დაარბია,  
 მზემ ჩამოიბერტყა ოქროს მონეტები...  
 მზერა აარიდა სარკმლებს დარაბიანს  
 და... სულის ხლართებში ჩამვრნენ პოეტები...  
 მერე, უცაბედად, გაეშვათ ხელი და...  
 დაეშვა მნათობი, მზით გაიჯირითა...  
 იმ ღამით პოეტებს გაუტყდა ძილი და...  
 მზერით ამოხაპეს მთვარე ცის ძირიდან!

\* \* \*

გზის გასაყართან ბავშვობა იცდის,  
 თითქოს ჩაუმქრალ კოცონს ვეწლები.  
 იცის ბავშვობამ, მხოლოდ მან იცის,  
 რატომ ეძებენ ხელებს ხელები.

ვერ გამოვედი მონუსხულ წრიდან,  
 ჯერ კიდევ, ახალ როლს ვიზეპირებ,  
 მე, სიყვარულის სახელით მსჯიდა  
 დრო... და ამსხვრევდა სულში ჯვბირებს...  
 გამოგონილი აკვარიუმის  
 ბუტაფორიებს ვაბნევიდი მძივებს  
 და მცდიდა ბედის მილენიუმში –  
 განაჩენივით მჩატე და მძიმე...  
 შენ ისევ შენ ხარ... მაცვებ ისევ,  
 გიდგას მკათათვე საჭირნახულო,  
 ცხოვრება ავი ძაღლივით გვისვეს  
 ეჭვებს და... წარსულს სიზმრად ვნახულობთ...  
 გზაჯვარედინზე ბავშვობა სახლობს,  
 ხელში მომწყვედეულ თოვლის გუნდებით...  
 და, შორიახლოს, ბედის გაკრული  
 ხელნაწერების წაშლას ვუნდებით...  
 რას მკარნახობდა ქალური აღლო  
 პატარა გოგოს უმანკო ვნებით...  
 სულში ყინულის ნამსხვრევებს ვაღლობ  
 და ბუნიობის ზენიტში ვდგები!..

**აპრილამდე**

ვინ ამოხსნა ბედისწერის შარადა?  
 დროც გავიდა, როგორც ენკი-ბენკი...  
 არადანი შენი იყო... არადა,  
 თავს გახსენებს ამოცლილი ნეკნი.  
 არჩევანი, ალბათ ჩემი ბრალია,  
 შეჩვეულმა იცის შემორჩენა...  
 ჩაილურის წყალი კი არ დალია,  
 გაზაფხულმა ამოიდგა ენა!..  
 და აპრილიც, ვიცი, გრძნობის ქალია,  
 მარადიულ ვალად ადევს ნეკნი.  
 სიჭაბუკე, ჯერაც, ჩაუმქრალია,  
 არ გათვლილა, ჯერაც, ენკი-ბენკი...  
 ვიდრე მარტი რტოებს ამურს არიდებს –  
 ჩემი ჩუმი ერთგულების მოწმე,  
 აპრილამდე, გულის ამონარიდებს  
 გაუმხელელ ბარათებად მოგწერ...  
 „სად მიდის გული?“ –  
 შემომჩურჩულა დედამ, გარდაცვალებამდე  
 რამდენიმე დღით ადრე

„სად მიდის გული?“ – კითხულობს დედა,  
 უიმედობას ფარავს ჩურჩულით,  
 რომ განგებ ერგო იღბლად და ბედად  
 ჩაჟანგებული დარდის ურდული...  
 გული-გულია, ზოგჯერ-ორგული,  
 რას გვერჩის, ან კი, ვის რას აგულებს?!  
 როგორც ბალახი, ფესვგადარგული,  
 ბოლოს ჩადგება გული საგულეს.  
 ფერდაკარგული გული გაფრინდა  
 და დღენაკლული პეპელასავით,  
 არ მოყოლილი, ჯერაც, ზღაპრიდან  
 გამოასვენეს გული სავსავით...  
 თითქოს სტოვებდა დაღლილ ინსტრუმენტს,

ამაღლებული მიმართულებით, –  
 სული ხორციდან გამოისტუმრეს  
 და არ ნაღვლობდა, რაზეც, სრულებით...  
 ისევ მოწვეთავს დაღლილ მკერდიდან  
 ჯიუტი სენი, ვით დედის ხსენი...  
 როგორ უეცრად დამიბერდი და  
 ვერც სიბერისგან ველარ გიხსენი...  
 და დამიბოვე ბავშვივით გული,  
 დაუეწყარი ტკივილის ფასად...  
 სად მიდის გული! სად მიდის გული? –  
 გული არასდროს არ მიდის არსად!

**მამის ხსოვნას**

თოვლმა მოწყენილ ხსოვნის ნალიას  
 გადააფარა თეთრი ნაბადი,  
 რაც მაბადია, შენი კვალია, –  
 თოვლივით წრფელი და თვითნაბადი...  
 ჩემთვის რომ დაგრჩა გაუკვალავი,  
 იმ ბილიკს მძიმედ, კირთებით ვკაფავ,  
 თოვს...უსასრულო და უთვალავი  
 ეცემა ფიფქი მშობლების საფლავს...  
 თოვლი სათუთად ართავს საჩიქელს, –  
 როგორც ზღაპარში – გოგო ობოლი,  
 სული სარჩულით შემომაჩიქეს  
 და ველარ ვარჩევ ცხადს და მოგონილს...  
 ჩემციფუნულ კედლებს იტკიებს კერა  
 და ჩაწმინდა ბუხარს სასულე,  
 მარადისობის ბავშვივით სჯერა  
 თოვლს...და ფიფქების გამას ასრულებს...

**ყმანვილოკარზისკენ  
ახლოდფეხადგმულ შვილს**

„საულვაშეზე გაუნდებთ დინდლი და, მალე,  
 საიალადოდ გაიწვევენ, როგორც ხარები...“  
 ზურაბ კუხიანიძე

საიალადო სურვილებს მალავ  
 და ღვინობისთვე გეღვრება მაჭრად...  
 ახლა ვიხსენებ პატარა წალამს, –  
 შენს სადღეობოდ, პაპამ რომ აჭრა.  
 ის ლერწმის ღერო ვაზია უკვე –  
 გადაწინდული მწიფე მტევნებით,  
 იმ უცხო სურნელს საკმეველს უკმევს,  
 შენ რომ ჯიუტად აედევნები!..  
 ღვინობისთვეა...დგას თავმომწონედ  
 და დედამიწის იგება ვარცლი,  
 ქართი აწწილ ქარვის კოწოლებს  
 მხეს, წვიმა, სველი თითებით ვარცხნის...  
 ბევრის მომსწრე და მრავლის მნახველი,  
 მაჭარს სისხლივით წამოახველებს, –  
 ბერიკაცივით დგას საწნახელი  
 და შემოდგომა ისევ ახელებს...  
 მწეჩამდგარ მტევნებს ბანივით ბეკნი,  
 ჩურჩულით გლოცავს აჩრდილი პაპის,  
 შენთვის შექმნილი, ადამის ნეკნით,  
 ვილაც ვარდისფერ მირაჟებს ჩხაპნის...

საულვაშეზე გილიმის ღინღლი,  
 ჯერ შეუცნობელს გკარნახობს ალღო,  
 აწყვეტილ წვივებს სწორებთან იღლი,  
 ნავარდი გიხმობს, საიალალო!..  
 ვიდრე წვეთ-წვეთად ფესება საწდე,  
 გამითეთრდება თოვლით კაწაწი,

უფალს ვედრებას ზეცამდე ვაწვდენ, —  
 შენზე ლოცვით და სულის კაწკაწით...  
 სამყაროს ხსენი გასვი კერტებით  
 და ცალუღელამ გზარდე, ჩაუქად,  
 მანამდე, მე არ დაგებრდები,  
 მხეს ერთი სხივიც თუ არ ჩაუქრა!..

### ბია ხუბუა

#### ველოსიპედი

#### შეუსრულეთ ბავშვებს სურვილები!

ჩემმა ბავშვობამ ველოსიპედის გარეშე ჩაიარა. მე გამონაკლისი როდი ვიყავი, სხვებსაც არ ჰქონდათ. ქვეყანა ომის ჭრილობებს იშუშებდა და, როგორც ჩანს, მსგავსი ფუფუნებისთვის არავის ეცალა. მიუხედავად იმისა, რომ ჩავლილი მსოფლიო ომი სხვა არაფერი იყო, თუ არა მოტორების დიდი ჯახი, სოფელში ჯერაც ცხენისა და ურმის ეპოქა იდგა. თუმარაზე ათასში ერთხელ გამოჩენილი ველოსიპედი, ტრაქტორი თუ მანქანა საყოველთაო ყურადღებას იქცევდა. კარგად მახსოვს, ილა ფოსტალიონის ველოსიპედის დანახვაზე კისრისტეხით რომ გავრბოდიტ სანახავად. კოლმეურნეობის მიერ ნაყიდი ის ველოსიპედი, მგონი, პირველი მერცხალი იყო ჩვენს სოფელში. მისი ზარის წკრიალი მშვიდობიან ჟამს რაღაც ახლისა და საამოს მაუწყებლად ედებოდა გზა-შარას. თუ მხოლოდ გაზეთი მოჰქონდა, ბიძია ილა ჩვენს მირბენამდე გაჩრიდა ჭიშკრის ძელაკებშუა (საფოსტო ყუთიც არავის ეკიდა მაშინ), ხოლო წერილის შემთხვევაში კონვერტს ხელში დაგვაკავებდა და დაგვაფრთხილებდა, რომ უფროსებისთვის გადაგვეცა. ისევ გაიწკრიალებდა ზარი და ერთგვარი შურით გავადევნებდით მხერას არცთუ ჩქარა დაძრულ ფოსტალიონს, უფრო სწორად მის ველოსიპედს, დიდბორბლებიანს და ლამაზსაჭიანს. თვლების მანების ტრიალი თვალს იზიდავდა, ერთმანეთს მიდევნებული მანები მბრუნავ ხაზად რომ იქცეოდა, სიჩქარის შეგრძნება თითქოს მძაფრდებოდა.

გუჩი ჩემზე შვიდი წლით გვიან დაიბადა. იმ დროს უკვე იყიდებოდა ორბორბლიანი საბავშვო ველოსიპედები. ბერს არა, მაგრამ სოფელში აქა-იქ უკვე ჰქონდათ. ჩემი საყვარელი ძმა თურმე კარგა ხანია ოცნებობდა მასზე, თუმცა არ იყო ისეთი ბავშვი, მშობლებისგან დაურიდებლად რომ ითხოვენ — ეს მიყიდე, ის მიყიდეო. ერთხელაც გაამხილა, რა ნატურაც ჰქონდა. არ ვიცი როგორ და საიდან, ტარება უკვე სცოდნოდა. გამიკვირდა, როცა ჩოკორაიას ბიჭის ველოსიპედზე მჯდარი დავინახე. ისე ლაღად მიჰყავდა, თითქოს ახალი ნასწავლი კი არ ჰქონდა, არამედ მთელი



ბავშვობა ველოსიპედთან იყო შეზრდილი.

ერთი სიტყვით, გუჩიმ ბოლოს და ბოლოს მოითხოვა ეყიდათ მისთვის ველოსიპედი. მაშინ ექვსი ახალი შესრულებული ჰქონდა. კარგად მახსოვს, როგორ წაუყრუა მამამ და დედამაც არაფერი თქვა გარკვევით. უარი არ უთქვამთ, მაგრამ არც ის, როდის შეუსრულებდნენ სურვილს.

ძალიან მოსიყვარულე მშობლები გვყავდა, მზრუნველობას არ გვაკლებდნენ და, კაცმა რომ თქვას, რაც პირველ რიგში საჭირო იყო, ყველაფერი გვქონდა, სათამაშოების ჩათვლით (სხვათა შორის, იმ დროინდელი სათამაშოები დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა, მაგრამ ძალზე ხარისხიანი იყო), მაგრამ მათი აზრით ველოსიპედი არ შედიოდა აუცილებელი ნივთების ნუსხაში. იმ დროს, ალბათ, არა მხოლოდ ჩვენი მშობლები ფიქრობდნენ ასე.

სხვებზე უარესად არ ვცხოვრობდით (მათ შორის, არც ჩოკორაიებზე და მისაბიშვილებზე), თუმცა, უფრო მნიშვნელოვანი მოთხოვნილებაც მრავლად იყო და ველოსიპედის ყიდვა სულ მეორე რიგში გადადიოდა.

შვიდი წლის რომ შესრულდა, გუჩიმ დაბადების დღეზე წიგნები და სასკოლო ფორმა მიიღო, აგრეთვე დაპირება, — თუ კარგად ისწავლიდა, ერთი წლის შემდეგ უყიდნენ ველოსიპედს. რამდენადაც მახსოვს, ეს დაპირებაც არ იყო

მაინცდამაინც მყარი. ასეა თუ ისე, შემდგომ ზაფხულს მამამ კი დააპირა ველოსიპედის ყიდვა, მაგრამ ქალაქიდან ხელცარიელი დაბრუნდა.

— ნამეტანი ძვირი ღირდა! — თქვა შეწუხებული სახით და ფასიც თქვა.

დანამდვილებით ვერ ვიტყვი, რა თანხა დაასახელა, მაგრამ დედის რეაქციის მიხედვით ცოტა არ უნდა ყოფილიყო. მერე სხვებისგანაც გავიგონე, ლამის ძეწველი ძროხის ფასი აძვესო.

მამას იმედი საბოლოოდ არ გადაუწურავს, რაღაცას მოახლათფორთებ დაბადების დღემდე (პირველ აგვისტოს იყო გუჩი დაბადებული), დედამაც მოფერებით რაღაც წასჩურჩულა ყურში და აკოცა.

გუჩის ხმა არ ამოუღია, არც წყენა შესტყობია, არც სინარული.

პირველ აგვისტოს კი ემჩნეოდა იმედგაცრუება, მაგრამ რაღას იზამდა, კიდევ ერთ წელიწადს უნდა დალოდებოდა ოცნებადქცეულ ველოსიპედს.

რამდენიმე დღის შემდეგ ხმა გავრცელდა, მისაბიშვილის უმცროსი ბიჭი ველოსიპედიანად წაიქცა და ხელი მოიტეხაო.

ეს რომ გაიგო, დედამ ჩვენს საყურადღებოდ თქვა:

— აი, ხომ ხედავთ, რა მოსდევს ველოსიპედით აღმაღალმა სირბილს!

მამამაც კვერი დაუკრა.

— არაფერიც არ მოსდევს! — ვეღარ მოვითმინე და შევეპასუხე. — გუჩიმ ძალიან კარგად იცის ტარება, მომავალ ზაფხულს მაინც უყიდეთ!

ჩოკორაიები და მისაბიშვილები ჩვენგან დაახლოებით ნახევარ კილომეტრზე ცხოვრობდნენ, უფრო ახლოს იყო ბურთის სათამაშო მინდორი, სადაც ბავშვები ვიყრიდით თავს. გუჩის ხუთიოდე წუთით ათხოვებდნენ ველოსიპედს (იმ დროს მგონი სხვასაც ჰქონდა) და ვხედავდი, როგორ კარგად დაჰყავდა. ხან გააქროლებდა, ხან ნელა ატარებდა და წინა ბორბალს აქეთ-იქით ოსტატურად კეცავდა. ბოლოს ცხენივით შეაყენებდა უკანა ბორბალზე. ერთი სიტყვით, ველოსიპედისტად იყო დაბადებული, ჩემგან განსხვავებით (მე ცხენის ჭენება უფრო მიტაცებდა).

ვერც მეცხრე ზაფხულს მოხერხდა გუჩისთვის ველოსიპედის ყიდვა. ცოტა ხნით ადრე კარს მოგვაღდა ვიღაც კაცი, ბავშვები მას არ ვიცნობდით, მაგრამ მამა დიდის ამბით მიესალმა. შორეულ ნათესავად გვერგებოდა თურმე, ფულის სასესხებლად მოსულიყო. მამაჩემი ხათრიანი ბუნებისა გახლდათ, უარის თქმა ეუხერხულა და რამდენიც შეეძლო, მისცა. როგორც ხდება ხოლმე, არ დაუბრუნა იმ კაცმა ფული...

მეათე დაბადების დღის აღსანიშნავად გოჭიც დაიკლა, ინდაურიც, ქათმებიც. დედამ და ნათესავმა გოგომ მშვენიერი სუფრა გაშალეს ზალაში. სტუმრებიც გვეყავდა,

მხიარულება სუფევდა ჩვენს სახლში, სადღეგრძელოები წარმოითქვა და ღვინოც საკმაოდ შეისვა. ბავშვებს ცალკე გაუწვევეს ტაბაკი (მე უკვე დიდებთან ვიჯექი!), ნაჭაპური და ლიმონათი რამდენიც სურდათ, იმდენი ჰქონდათ, მაგრამ...

მამას ნამდვილად უნდოდა ეყიდა მრავალგზის შეპირებული ველოსიპედი. წინა დღეს მეც ვახლდი ქალაქში, შემოვიარეთ მაღაზიები, მაგრამ შესაფერისი სიდიდისა ვერ ვიშოვეთ; ან მხოლოდ სამბორბლიანები ჰქონდათ პატარებისთვის, ან მხოლოდ დიდებისთვის.

როცა გუჩის ადღეგრძელებდნენ, მამა ოდნავ კომიკურად მოჰყვა ველოსიპედის ამბავს და ნოქრების ნათქვამიც გაიმეორა — თვის ბოლომდე აუცილებლად გვექნება გაყიდვაშიო.

მაგრამ რამდენიმე დღეში გარდაიცვალა ბაბუა დედაჩემის მხრიდან, ამას მოჰყვა მამაჩემის ბიძაშვილის ტრაგიკული სიკვდილი. ეს ყველაფერი ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ველოსიპედის ყიდვა ისევ გადაიდო.

შემდეგ მე სტუდენტი გავხდი და ოჯახს ხარჯი მოემატა...

შემდეგ მამამ, რაკი ორი ვაჟიშვილი ჰყავდა, წამოიწყო სახლის შენება (მიწის ნაკვეთი ჩუმად ჰქონოდა ნაყიდი)...

...

გავიდა ნახევარი საუკუნე. ჩემი ძმის ცხოვრების გზას რომ გადავხედავ, მახსენდება ეს უბრალო ისტორია და უფრო მწყდება გული. არცთუ იღბლიანი გამოდგა გუჩი. რაღაც ჩაეკეტა თავიდანვე, არ უმართლებდა არაფერში. ერთხანს თითქოს არ ემორჩილებოდა ბედის ჭირვეულობას, მერე და მერე კი ხელი ჩაიქნია.

იქნებ, იმ ნანატრ ველოსიპედს გაერღვია მოჯადოებელი წრე? იქნებ, ბავშვობის ოცნების ასრულებით რაღაც შეცვლილიყო და სხვანაირი ცხოვრება ჰქონოდა, უფრო უნაღვლო და ყისმათიანი?! ხანდახან მგონია, გუჩის ნაცვლად მისი ბენდიერება შეჯდა იმ ველოსიპედზე და კაცთათვის იღუმალ ბილიკებზე გაუჩინარდა.

### სულმოკლონა

— გუმინ ჩვენს სასაფლაოზე ძლივს მივედი, — უთხრა უტას ძმამ. — მისასვლელთან ბლოკის კედლით შემოკაგებული სასაფლაო როა, ის დაუგრძელებიათ და გასასვლელი ჩაუკეტაო, გვერდულად გაჭირვებით გავვტიე.

სანამ უტა ძმის ნათქვამზე აღშფოთებას გამოხატავდა, რძალმა დაასწრო, — მე საერთოდ ვერ მოვახერხე მისვლაო.

— რა თავხედობაა! ფუჰ! — უცებ ვიფეთქე. — შეუთანხმებლად როგორ გააკეთეს, ისე მაინც არ უნდა ეთქვათ?!

— ეტყობა, თავაგდებული ვინმეა მაგის პატრონი, ასეთი



რამე როგორ იკადრა!

— აბა, ნორმალური ადამიანი ამას იზამდა?! იქ არ დამხვდა, თორემ კაი მაგრა გამოვლანძღავდი.

— ზედამხედველი მაინც სად იყო, რატომ დართო ნება?

— ჰკითხა კი?

— ჰოდა, თუ დაუკითხავად გააკეთა, დაამტკვევინოს როგორც უნდა!

— ეჰ, მაგი რას დაამტკვევინებს, ვერ ხედავ რა ქაოსია მთელ სასაფლაოზე?! ვისაც როგორ მოუნდება, ისე იზომავენ მიწას.

— მაშინ ჩვენ ვაიძულოთ ადადგინოს გასასვლელი!

უტა ამ სიტყვებით დაშორდა ძმასა და რძალს. „შაბათის მოვიცილი და კატეგორიულად მოვითხოვ გასასვლელის აღდგენას“, ფიქრობდა გზაში. მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, საქმე გამოუჩნდა და საღამოუამს სამსახურიდან შინ მომავალს არც ახსოვდა დანაქადნები. სასაფლაოს რომ გაუარა მანქანით, მხოლოდ მაშინ გაახსენდა. მკვეთრად დაამუხრუჭა, უკან გამობრუნდა და სამრეკლოიან ჭიშკართან გაჩერდა. გულმოსული შევიდა, ფეხაჩქარებით მიმავალს სულ უფრო ერეოდა ბრანზი. ზუსტად ისეთი სურათი დახვდა, როგორიც აღუწერეს. ბეტონის ორ მაღალ კედელს შორის მანძილი მტკაველს ოდნავ აღემატებოდა. შენი გამკეთებლის დედაცო, ხმამაღლა შეიგინა. ახლომახლო არავინ ჩანდა, რომ თავისი აღშფოთება ვინმესთვის გაეზიარებინა.

უტა გან-გან ძლივს გაძვრა კედლებს შორის, მერე მტვრიანი შარვალი ჩამოიფერთხა უკმაყოფილო დუღღუნით, პერანგიც დასვროდა. სანთლები ცალცალკე დაუნთო დედ-მამას, ბაბუას, ბებიას, წინაპრებს, ღვინო დააპკურა საფლაოზე, მერე პირქუში სახით გამოტრიალდა. მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება ახალ საფლაოს, ჯერაც დაუტკეპნავ ბორცვაკზე ხის ჯვარი და დამჭკნარი ყვავილები იდო. „ადგილი საკმარისი ჰქონდათ, რაში დასჭირდათ მიწის მიმატება?!“ — გულის მოსვლას არ გადაეცლო ჯერაც. „არ დაუთმობ, შევაწვევინებ უკან!“

სასაფლაოს დარაჯს შეეჩნა უცებ. მკლავზე ხელი გამოსდო, უკან შეაბრუნა.

— ერთი მითხარი, რა ჰქვია ამ უმსგავსობას! — ჯვრიანად უთხრა.

— მე რას მიყვირი, ღამის დარაჯი ვარ, საერთოდ არ მხეება ეს საქმე. ზედამხედველს უნდა უთხრა ან სასაფლაოს პატრონს.

— გადაეცი ზედამხედველს, ამას ასე არ დავტოვებ!

თქვა და ფუცხუნით დატოვა იქაურობა.

კარგა ხანს არ მიუკითხავს საფლაოებისთვის. ძმამ კი უთხრა ერთხელ — არაფერი შეცვლილაო. ვერც გამნაწყენებელი ენახა.

მიცვალებულთა ხსოვნის დღე იყო. უტამ იმ სულისკვეთებით შეაბიჯა სასაფლაოს ტერიტორიაზე, რომ

აუცილებლად ეჩხუბა გასასვლელის გაფართოების მოთხოვნით. პირველ რიგში ზედამხედველი მოძებნა.

— დამშვიდდი, აგიხსნი, — უთხრა ზედამხედველმა.

— ჯერ აქ გაიარე და მერე ამიხსენი, — კედლებშუა მიუთითა უტამ.

მსუქანი კაცი იყო ზედამხედველი, ღიპიანი.

— ვიცი, ვერ გავუტევი, მაგრამ მომიხმინე ერთ წუთას. მომიხმინე, კაცურად დამითმე ერთი წუთი. ორადგილიანი იყო ეს, კუთხეში ქვა რო დევს, იქ პატარა ბავშვია დასაფლავებული. ოცდაათი წლის წინანდელი ამბავია. გვერდით დედა უნდა დასაფლავებულიყო, მაგრამ ისე მოხდა, მანამდე მერე შევილიც მოუკვდა, უმცროსი, 23 წლის ბიჭი ავარიში მოჰყვა, ჰოდა ის დასაფლავეს დედის ადგილას, ხომ ხედავ ქვას. ახლა კიდევ ერთი წუთი... დედა სად უნდა წავიდეს?.. თურმე მომაკვდავია ისიც და შევილებთან უნდა დასაფლავება, ჰოდა, ადგილი რომ არ იყო საკმარისი, დაერთო ღობის გადაწვევის ნება. აბა, რა მექნა, მითხარი...

— გეტყვი აგერ! შე კაი კაცი, ერთი მტკაველით მეტი დაგეტოვებინათ გასასვლელად და არავინ იქნებოდა სიტყვის ამომღები.

— ცვადეთ, მარა არ გამოვიდა. იმ საწყალი ბიჭის საფლავს რომ თხრიდნენ, იქით, თავისკენ, მიწაში ბეტონის დიდი ფილა აღმოჩნდა, ეშმაკმა უწყის, საიდან გაჩნდა ის ოხერი ფილა, ბევრს ეცადნენ მესაფლავებები, მარა ძვრა ვერ უყვეს ვერაფრით, ჰოდა, საფლავმა აქეთ გადმოიწია, აქამდე უწყის სასახლე. თვითონაც ხედავ, დედისთვის არ დარჩა ადგილი.

— პატარა ექსკავატორი ვერ დაქირავებს? ამოელოთ ის ბეტონი.

— ესეც სცადეს, მარა ვერსად ჩააბეს ფილას, ვერაფერი მოუხერხეს. თვითონ აქ ვიდექი, ვუყურებდი.

— ახლა ბარემ ისიც მითხარი, რომელ ღობეებს უნდა გადავევლოთ ჩვენ კაციან-ქალიან-ბავშვიანად, რომ ჩვენს საუკუნოვან სასაფლაოზე მივიდეთ, — უტა ფიქრობდა, რომ ახლა მაინც გაიჭედებოდა ზედამხედველი და ბოდიშს მოუხდიდა.

მაგრამ ამის ნაცვლად მან ხელი გამოსდო მკლავზე — ერთი აქეთ წავიწიოთო, დინჯად, გულმშვიდად უთხრა. ოციოდე ნაბიჯის შემდეგ მარცხნივ შეუხვია, აქ გვერდი-გვერდ ვერ ივლიდნენ, ამიტომ წინ გაუძღვა. კიდევ ერთი იმდენი რომ გაიარეს, ისევ ხელმარცხნივ დაადგა, აქ უფრო განიერი იყო ბილიკი...

— ა, ბატონო, თქვენი სასაფლაო. ზუსტად სამოცდაათი მეტრია შემოსავლელი. კაცურ სიტყვას გაძღვე, წლის ბოლომდე მოვაწესრიგებ ამ ბილიკს, პემზის ქვით მოვიკირწლავ.

უტამ ერთი შეხედა ზედამხედველს. სიტყვა არ უთქვამს მეტი, ზურგი აქცია და სასაფლაოს კიბეზე ააბიჯა.

რამდენიმე წუთს დაჰყო ახლობლების საფლავებთან, მაგრამ ის ამოუბრუნებია განცდაც არ ჰქონია, სხვა დროს რომ დაუფლებია აქ მდგომარეობა. ფიქრები არეოდა, ჩაკეტილი გასასვლელის გამო ჯავრი გაქრობოდა, მაგრამ... სხვა რამ დარდი შეჰპაროდა. სულმოკლეობა გამოიჩინა... აჯობა ზედამხედველმა... ძმის სახე გაუკრთა თვალწინ. კიდევ კარგი იმ სასაფლაოზე არაყინ დახვდა...

უკან შემოვლითი ბილიკით არ უსარგებლია, ვიწროში გამოაღწია. ავარიამი დაღუპული ახალგაზრდის საფლავთან შედგა. საფლავის ქვიდან სიმპათიური სახის თმაქო-ჩორა ბიჭი ღიმილით შემოსქეროდა.

ჭეშკრისკენ დაიძრა თავჩაკიდული, სინანულშეყრილი.

### ყველაზე დიდი ზენია

არაყინ იცის, სადაა ჩასაფრებული საფრთხე. ის უფრო იქიდან მოდის, საიდანაც არ ველოთ. დროშიც ამოუცნობი და ფინთია — როცა ნაკლებად ველოთ, მაშინ მოვა.

ლაკადის (სამეგრელოს მთიანეთი) ერთ ლამაზ სოფელში გაზაფხულის მზიანი დღის შემდეგ ისეთი მშვენიერი საღამო დგებოდა, როგორც აქ იცის ხოლმე წლის თბილ პერიოდში. ეზოებში ხეხილი აყვავებულიყო, შეფოთილი ტყე-ჭალა ნახმწვანედ ხასხასებდა. მდელოიანი კორდები და მინდვრები ჭრულ-ჭრულ ყვავილებს მოეხატა. ჩიტების ჟრიკურები და საამო გალობა ისმოდა. სამოთხისდარი ბუნება განცხრობით ეხვეოდა ჩამავალი მზის ოქროვან სხივებში, მთების აღმოსავლეთ ფერდობებს ვარდისფერი დაჰკრავდა, ხოლო საპირისპირო მხარეს ნელინელ ეფინებოდა ცისფერი ბინდი. ასეთ დროს დამცხრალი ცა, გამთბარი მიწა და შრომით დაქანცული ადამიანი ისე ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, როგორც ეს გამჩენს ჰქონდა ჩაფიქრებული სამყაროს შექმნისას.

კაკო გამახარიას ოჯახშიც სრული ჰარმონია სუფევდა. ღვთის წყალობით ყველანი ჯანმრთელად იყვნენ, სასმელ-საჭმელი არ აკლდათ და თავიანთი გლეხური ყოფით სრულიად კმაყოფილდებოდნენ. მალე ოჯახის წევრები ყოველდღიურ საქმეს, ბუნებრივად რომ გაენაწილებინათ, მორჩებოდნენ და ვახშმად დასხდებოდნენ. კაკო სიმინდის ყანიდან ახალდაბრუნებული იყო, მარგვლისას რამდენჯერმე დაჰკრა თოხი ქვას და, დილით დრო რომ არ დაეკარგა, ახლა აწესრიგებდა — რელსის ნაჭერზე დადებულ თოხისპირს ჩაქუჩით ასწორებდა, მერე წყალს ასხამდა და სალესი ქვით ბასრავდა. კაკოს ცოლი ძაბული დილით ბოსტანში ტრიალებდა, მერე სადილისა და ვახშმის მომზადებით იყო დაკავებული. ბებია აველინა შუკაში გავიდა, რათა თხები მოეძია და მარაკაში შეეღალა. მას მიჰყვებოდა ხუთი წლის შვილიშვილი მამუკელაც, რო-

მელსაც ძალიან უყვარდა თხების ღვინა. ახლაც წენელის სახრე მოემარჯვებინა ხელში.

ფეხმარდი თხები ოკოჩეს ფერდობს თავზე მოჰქცეოდნენ და ისე იყურებოდნენ, რომ დაბლა ჩამოსვლას არც აპირებდნენ. შავთავა ვაცი დიდ ლოდზე ასკუპებულიყო, თხისთვის შეუფერებელი სიღინჯითა და მედიდურობით ისე იყურებოდა, თითქოს მიდამოს ზვერაედა.

— ნახე, ბებია, ჩვენი ერჯია სად დგას! — აღტაცებით წამოიძახა მამუკელამ.

— თქვე მართლა თხებო, სადაა რომ ასულხართ! — ამ სიტყვებით შექმნიან ბებია აველინა მათ კიკინ-პეტელს.

— ავიდეთ ბებია და ჩამოვრეკოთ, — უთხრა მამუკელამ.

— არა, ბებია, ძნელია ასვლა, მოგვისრიადდება ფეხი. ჩამოვლენ დაღამებამდე ეს სამგლეები, სად წავლენ, აბა!

— სულ არაა ძნელი, ქვები რომ ჩანს, მაგაზე უნდა დააბიჯო. მე და გურხუტა აველით გუშინ.

### 2

აველინა ალბათ თავს შეიკავებდა თხების ჩამორეკვისგან, მაგრამ სწორედ ამ დროს გზაზე მეზობლის ბიჭი, ცხრა წლის გურხუტა გამოჩნდა.

— რა უნდა, ბიჭო, იქ ასვლას, — თქვა მან, მამუკელას ხელი ჩააგლო და ერთად აუყვანენ მაღლა. ირიბად ადიოდნენ, ციცაბოებს გვერდს უვლიდნენ.

— ფრთხილად! — მიამახა ბებია აველინამ ბიჭებს, ფერდობის ძირამდე მივიდა, შუბლზე ხელი მიიჩრდილა და შხერა მიადევნა. — ფრთხილად!

ბავშვები საცაა თავზე მოქცეოდნენ ფერდობს. ხუთიოდე ნაბიჯიდა უკლდათ, მაგრამ ამ დროს გურხუტას თავში რაღაცამ წამოუარა, მამუკელას ხელი უშვა, წელში მოიხარა და მოკლეზე სწრაფად აცოცდა ზევით. ბოლოში მოდიდო ქვა იდო, იმას წაეპოტინა ცალი ხელით. ქვის ძირი მიწაში იყო ჩაფლული და თითქოს მყარად იდო, მაგრამ ბიჭი რომ მოეჭიდა, უცებ ამოძრავდა. გურხუტას დაძრული ქვა ხელიდან გაუსხლტა, ფეხით შეეცადა შეეკავებინა, მაგრამ ესეც ვერ შეძლო და შემინებულმა მთელი ხმით შეჰყვირა:

— მამუკელა!

მერე თვალის დახამხამებაში მოხდა ყველაფერი — დაქანებულმა ქვამ მაინცდამაინც ბიჭუნას უსწორა, ფეხებზე დაეჯახა, ადგილიდან მოსწყვიტა და კოჭებდაჩქქვილი უკან გადააქცია. ავისმომასწავებლად გაისმა ბუშტის გახეთქვისმაგვარი, მაგრამ უფრო მკერივი ხმა.

— მამუკელა! — გამწარებით შეჰკვილა ბებია და წამით თვალი დაუბნელდა, მერე თითქოს ფრთები გამოესხა, წუთში ავიდა ფერდზე. კეფაგახეთქილ შვილიშვილთან დავარდა, მისი დიად დარჩენილი, გადაბრუნებული თვალების დანახვაზე შეშლილს დაემსგავსა. — მამუკელა! — თავჩახრილმა ჩასძახა და საყელო შეუხსნა, შეანჯღრია. ბავშვი ოდნავადაც არ შეტოკებულა. — ვაიე! — საზარელი,

რისხვით საესე მზერა ესროლა შიშისგან თავზარდაცემულ გურხუტას. — ეს რა ჰქენი, ბიჭოოოოო! — მთელი ძალით უნდოდა დაევირა მისთვის, მაგრამ პირველი ბგერების შემდეგ ხმა იოგებში ჩაუწყდა. სასოწარკვეთილმა უაზროდ დახედა სისხლით შეღებილ ქვიან მიწას, მწარედ ამოიგმინა და ზედ გადაემხო მამუკელას, მღულარე ცრემლით დაუსველა ლამაზი სახე.

თხებმა თითქოს იგრძნეს მომხდარი, „მეე“-ს ბღავილით ხტუნვა-ხტუნვით დაემუნენ ძირს.

ასე მოულოდნელად შემოვიდა უბედურება გამახარიების ოჯახში.

ერთი კვირის განმავლობაში მთელი სოფელი ცხარე ცრემლებით დასტიროდა საყვარელ ბიჭუნას. მამა საწყალობლად ბღაოდა, დედას ძლივს აკაგებდნენ ახლობლები, გამწარებული კიოდა და ცრემლში იხრჩობოდა. იმ დღეებში ყველაზე საცოდავი და საწყალობელი მაინც ბებია აველინა იყო. ის იყო პასუხისმგებელი მამუკელას დაღუპვაზე. რატომ იქვე მიწა არ გამისკდა, რატომ ქვად არ ვიქეციო, — ლოყებს იხოკავდა, ხმაჩაწყვეტილი მთელი დღე გულსაკლავად მოთქვამდა. ღამით თავის ჩამოხრჩობა სცადა, მაგრამ კაკომ სიფხინზე გამოიჩინა,

ყულფში თავგაყოფილს მიუსწრო და ყვირილით გამოიყვანა საბძლიდან. ამის შემდეგ მეზობლის ქალები რიგრიგობით დარაჯობდნენ, მარტო არ ტოვებდნენ.

დიდი გულისტკივილით დაკრძალეს მამუკელა სოფლის ბოლოს ბორცვზე მდებარე საგვარეულო სასაფლაოზე, მის დაბადებამდე გარდაცვლილი ბაბუის გვერდით მიუჩინეს ადგილი.

ამიერიდან ეს სასაფლაო ჩვენი მეორე სახლიაო, — ცრემლი არ უშრებოდა გულდათუთქულ დედას.

ოკოჩეს ფერდობის იმ ადგილას, სადაც ტრაგედია დატრიალდა, რკინის პატარა ჯვარი აღმართეს.

მოუშუმებელი ტკივილით გულგასენილი გამახარიები შეუდგნენ ღრმა და მრავალწლიან გლოვას.

როდესაც ფერდაკარგულ, გამტკნარებულ გურხუტას მამამისმა ჰკითხა, როგორ მოხდაო, მან მოკლედ უპასუხა, ქვა დაგორდაო და ატირდა. — თავისით დაგორდა?! — ეჭვიანი მზერა ესროლა მამამ. — რამე ბრალი თუ გაქვს, არ დამიძალო! თვალცრემლიანი გურხუტა გაშეშებული იდგა, ხმას არ იღებდა ტუჩჩაკნეტილი. მღუმარე ბიჭი დედამ დაიცვა — საშინელება ნახა ბავშვმა და შენც ნუ უმატებ, შეეშვიო; თავისი სურვილით კი არ ასულა იმ ოხერი თხების ჩამოსარეკად, დახმარება სთხოვეს და ავიდაო. მამამაც იფიქრა, პირველად შეესწრო ასეთ უბედურებას და განიცდისო, მეტი არ ჩასძიებია.

რა თქმა უნდა, გურხუტა ძალიან განიცდიდა მომხდარს. გაუბედურებულ ოჯახს ახლოსაც არ გაჰკარებია, ეზოს გარეთ არ გამოსულა საერთოდ. მკაცრი სასჯელის მოლოდინში დაზაფრული იჯდა შინ, ხმას არ იღებდა.

კარის ყოველ შემოდებაზე შიში გაუკრთებოდა თვალებში, გული აუფრიალდებოდა, მაგრამ არც იმ საბედისწეროდღეს, არც შემდგომ, საყვედურიც არავის დასცდენია მისი მისამართით. ამან, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. ცხრა წლის გონიერი ბიჭი იყო და სრულად აცნობიერებდა თავის დანაშაულს, მისმა გაუფრთხილებლობამ გამოიწვია ყველაფერი — წინსწრებით რომ არ ასულიყო, არაფერი მოხდებოდა, ჩამორეკადნენ თხებს და ეგ იქნებოდა; აცნობიერებდა და მწარედ ნანობდა — რატომ გავუშვი მამუკელას ხელი ან რად მოვეჭიდე იმ დაწყვეტილ ქვასო. ასეთ დღეში ყოფნას უჯობდა, რომ კაკოს ან თავის მშობლებს თავიდანვე მაგრად ეცემა და სულ დასჯის მოლოდინში არ ყოფილიყო.

შემდგომ დღეებშიც არავის მოუთხოვია მისთვის პასუხი. უფროსების საუბარს რომ ყური მიუგდო, მიხვდა, თუ რატომ გადარჩა დაუსჯელად და შვევით ამოისუნთქა. ბებია აველინას ასე ეთქვა: ბავშვების დანახვაზე ფერდობის კიდეზე მდგარი თხა დაფრთხა, უცებ მოსწყდა ადგილიდან, რა დროსაც მის ფეხქვეშ ქვა დაიძრა და დაგორდაო. გურხუტამ ერთი კი გაიფიქრა, იქნებ ბებია მართლაც ასე დაინახა შორიდანო, თუმცა კარგად ახსოვდა მისი მრისხანე შემოხედვა, როცა მამუკელა თავგახეთქილი დაინახა; ახსოვდა, ჯავრით საესეს დაყვირებისას ხმა რომ ჩაუწყდა — სასოწარკვეთილის ის ხრიალა ბგერები საშინელი ბრაზით იყო გაჯერებული. რომ მისწვდნოდა, ვინ იცის რას უნამდა გაგიჟებოდა. მაშ, რატომ თქვა სხვანაირად? ნუთუ, შეებრალა და დაინდო?! ამ კითხვებზე გურხუტას უეჭველი პასუხი არ ჰქონდა. ასეა თუ ისე, უმადლოდა მას, თუმცა შიში მაინც არ შორდებოდა. ჯერჯერობით ჩუმი იყვნენ, მაგრამ ვინ იცის, რა ედოთ გულში, იქნებ მოგვიანებით აპირებდნენ შურისძიებას? ამიტომ გამახარიებთან არ გამოჩენილა, კარგა ხანს მათ ჭიშკართან გავლისგანაც თავს იკავებდა.

ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა ბაღბაღი ტრიალებდა ბებია აველინას გულში. სიბერეჩამწარებულს ცალკე ის უნდა მოენელებინა, რომ ბავშვები ფერდობზე აუშვა, ცალკე უსაყვარლესი შვილიშვილი უნდა ეგლოვა, ცალკე კიდევ დამნაშავისთვის ხელის გადაფარება განეცადა.

გურხუტას ბრალი ნამდვილად ჰქონდა — ცხრა წლის ბიჭი ასე წინდაუხედავად არ უნდა მოქცეულიყო, ხუთი წლის ბავშვი ფერდობზე მიატოვა, მერე ქვა დააგორა და ნორჩი სიცოცხლე შეიწირა. ჰო, იგი მკვლეელი იყო, პატარა მკვლეელი! სიცელქით მოუვიდა და არა შეგნებულად, მაგრამ გაუბედურებული ოჯახისთვის ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

და მაინც ბებია აველინამ არ გაამხილა გურხუტას ბრალი შვილიშვილის სიკვდილში და არც შემდგომ უნანია თავისი გადაწყვეტილება. ეს საიდუმლო გულში ჩაიმარხა და ორი ათეული წლის შემდეგ საფლავში ჩაიტანა.

რაკი ცხელ გულზე დაინდო მეზობლის ბიჭი, რა გასაკვირია, რომ არც შემდგომ უნანია ეს. ძალიან განიცდიდა, იტანჯებოდა, მაგრამ არ უნანია, რადგან თვლიდა, რომ სწორად მოიქცა. მან მწუხარებით გულგასენილმა შეძლო მორეოდა საკუთარ თავს და დაძლია, დაიოკა ბრაზი. როცა რთულად მისაღებ გადაწყვეტილებას ღებულობდა, მან გაითვალისწინა, რომ გურხუტაც ბაეში იყო და რაც გააკეთა, შეგნებულად არ გაუკეთებია. ამასთან ერთად ბებია აველინა მომავლისკენ იყურებოდა. მომხდარს ველარაფერი გამოასწორებდა და გურხუტას ბრალის გამხელას, მის დადანაშაულებას კარგი არაფერი მოჰყვებოდა. გულფიცხი კაცი იყო კაკო, ვერვინ იტყოდა რას მოიმოქმედებდა. არც გამწარებული დედა მოითმენდა, იცოდა ძაბულის ხასიათი — წყველა-კრულვით აიკვებდა იქაურობას. მეზობლებს შორის მტრობა ჩამოვარდებოდა, მტრობას კი კარგი არავისთვის მოაქვს. ასე ფიქრობდა და საკუთარ გულთან ჭიდილის შემდეგ დამალა სიმართლე. ბევრი დროც არ ჰქონდა საფიქრალად, თანაც ისეთი რამ უნდა მოესაზრებინა, დამაჯერებელი რომ ყოფილიყო. ჰოდა, ქვის დაგორება ცხოველს დააბრალა.

სანამ ორმოცი დღე გავიდოდა, ძაბული სულ სასაფლაოზე დადიოდა და შვილს გულდათუთქული დასტიროდა, ცრემლი არ უშრებოდა. მიწას სწვდებოდა მისი ძაძა, სახის ნაწილი უჩანდა მხოლოდ. აველინა კი დარდმა რამდენიმე კვირით ლოგინად ჩააგდო, ყოველდღე რამდენჯერმე ასველებდა ბალიშს ცრემლით. ორმოცზე ახლობლებმა კიდევ ერთხელ უთანაგრძნეს ოჯახს, დასწყევლეს ეშმაკის ნასაქმარი და ჭიქა ღვინით გააცილეს ცაში მამუკელას უმანკო სული.

კაკოს თავისი თხები თვალში არ მოსდიოდა უკვე, ამას გარდა მათი დანახვა ხელში სახრემომარჯვებულ მამუკელას აგონებდა, ახსენებდა შვილის ბაეშეურ ქცევას და შეძახილებს არვეს მარაკაში შერეკვისას. ჰოდა, ბევრი არ უფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ თხები ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდა, ყველა გაყიდა და მერე ცხოვრების ბოლომდე არ ჰყოლია.

ტრაგიკული შემთხვევიდან ხუთი თვე იქნებოდა გასული, როცა სკოლიდან მომავალ გურხუტას თავის სახლთან ახლოს მოულოდნელად შეეფეთა ხელჯოხიანი ბებია აველინა. როგორღაც ისე უცბად გამოჩნდა ძაძით მოსილი, თითქოს ჩასაფრებული იყო შურის საძიებლად. ბიჭი შეკრთა, შიშმა გაუარა გულში, ჯოხი არ გადაამტვრიოს თავზეო. ფერშეცვლილმა გურხუტამ თავი ჩაჰკიდა და გვერდის ავლა მოინდომა, მაგრამ ქალი წინ გადაუდგა და საჩვენებელი თითის ქნევით მკაცრად უთხრა:

— შემომხედე ერთი თვალში!

შიშნაჭამმა ბიჭმა ძლივს გაუსწორა მორიდებული მხერა.

— გრძნობ ხომ შენს დანაშაულს?!

გურხუტამ თავი მორჩილად დააქნია.

— ხმა ამოიღე!

— კი.

უნდოდა თავის გასასამართლებელი რაღაც ეთქვა, მაგრამ ენა ვერ დაძრა.

— მე ენახე, რომ განიცდიდი, შემეცოდე და დაგინდე. ეშმაკმა გიბიძგა შენ, ეშმაკმა გააკეთა შენი ხელით, ამიტომ შემეცოდე. გაფრთხილებ, არავისთან წამოგცდეს, რაც ჰქენი, შენს დედ-მამასთანაც. გასაგებია?

— კი.

— წადი ახლა და ნუ მემალეები, ეჭვი არ გააჩინო.

გურხუტას სახე მთლად წამოჭარხლებოდა, საცოდავად გამოიყურებოდა. არ მოელოდა ბებია აველინასგან ასეთ შეხვედრას, დაიბნა. მადლობა ძლივს ამოღებდა და თავჩაქინდრული წავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბებია აველინამ დიდსულოვნად აპატია, გურხუტა მაინც შეძლებისდაგვარად თავს არიდებდა მას. უცნაურად გრძელდებოდა მათი ურთიერთობა, თუკი შეიძლება ასე ეწოდოს ორ-სამ თვეში ერთხელ შემთხვევით შეხვედრას, მეზობლობიდან გამომდინარე რომ ხდებოდა. ბებია აველინა მრავლისმთქმელი გამომეტყველებით შეხედავდა, მაგრამ ხმას არ ამოიღებდა, მძიმე ღუმილით ჩაუკლიდა (ვინ იცის, რას ფიქრობდა, რა ხდებოდა მის გულში მაშინ?!), თუმცა იყო იშვიათი შემთხვევები, როცა გამოელაპარაკა. უბრალო რაღაცას ჰკითხავდა ბიჭს დედ-მამაზე ან რომელიმე მეზობელზე, თანაც ისე აკეთებდა ამას, თითქოს მისი მონაწილეობით დატრიალებული ტრაგედია საერთოდ არ ახსოვდა. გურხუტა მორიდებით, ხმადაბლა უპასუხებდა და სწრაფად გაეცალა.

მამუკელას სიკვდილის შემდეგ გურხუტას გამახარიებთან ფეხი არ შეუდგამს, ხოლო უფროსები ჩვეულებრივად მეზობლობდნენ. ერთხელ (ტრაგედიიდან ორ წელზე მეტი იყო გასული) ძაბულმა მიაქცია ამას ყურადღება, რატომ არ შემოდის გურხუტაო, საცერის სათხონგელად მოსულ დედამისს ჰკითხა. იმის შიშით, ლაპარაკს არასაჭირო გაგრძელება არ მოჰყოლოდა, ბებია აველინამ დაასწრო პასუხი — მგლოვიარე ოჯახს საერთოდ გაუარბიან ბაეშეებიო.

გამახარიები აგრძელებდნენ ცხოვრებას უსინარულოდ, დარდით, ნალვლით. ტრაგედიამდე ჰურმარილთ ცნობილ ოჯახში წლების განმავლობაში არავის მოუღხენია. ყოველდღიურ შრომა-გარჯაში გაჰყავდათ დრო, სოფელში სხვა რა უნდა ექნათ?! თოხნა-მარგვლაში კაკოს ზოგჯერ გულზე რაღაც მწარედ მოაწვეებოდა, რისთვის, ვისთვის ვწვალობო, თავისთვის ჩაიჯუჯღღუნებდა ბედის მომჩივანი და თოხს გვერდზე მიაგდებდა.

დედა დაიმართოხლებდა ზოგჯერ (რძალთან სიტყვაძუნწი გამხდარიყო აველინა), ჩემი ამბავი გათავდა მამუკელასთან ერთად, თქვენ კი ახალგაზრდები ხართ,

მომავალზე უნდა იფიქროთო.

კაკო ირიბად იმზირებოდა, მაგრამ ბოლომდე მოუსმენდა, „ჰო-ჰო“, ყრუდ იტყოდა მერე და გაეცლებოდა.

აველინა ჩუმად მოიწმენდა ცრემლს.

გამოხდა ხანი. დრო თავისას შერებოდა, შეუმჩნევლად მკურნალობდა ტკივილებს. კაცი მაინც კაცია და პირველად კაკომ დაძლია გულგატეხა. მერე ძაბული აიძულა ძაძა გაეხადა და თაღის კაბა ჩაეცვა.

მალე ღმერთმა წყალობით გადმოხდა კვლავაც გულმწუხარე გამახარიებს — სამ არასრულ წელიწადში გოგო და ბიჭი შეეძინათ. ცრემლნარევი იყო მათი სიხარული; უფრო სწორად, მწუხარების და სიხარულის ცრემლები ერთდროულად სდიოდათ.

სადაც ბავშვია, იქ ხალისი და სიხარულია. იზრდებოდნენ პატარები და ნელდებოდა ძველი ტკივილი.

ყოველ შაბათს აღარ აღიოდა ძაბული სასაფლაოზე, მერე და მერე თვეში ერთხელ აკითხავდა შვილს, სანთელს დაანთებდა, წაიტირებდა და შინ მოიქაროდა. მამუკელას სულის მოსახსენიებელ საკურთხსაც ნაკლები სიხშირით დგამდნენ. ბებია აველინას მუხლი აწუხებდა, მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე ახერხებდა შვილიშვილის საფლაკთან გულის მოხებას.

თანდათან ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა. ოღონდ ეგ იყო: შიში ჩარჩენილათ გულში, ზედმეტად ფრთხილობდნენ — როცა ბავშვები (უკვე საკმაოდ მოზრდილები) თამაშობდნენ, თვალს არ აცილებდნენ მათ, ცელქობას უშლიდნენ, მარტო არსად უშვებდნენ. და-ძმა, როგორც ეს ბავშვებს სჩვევიათ, წვრილმან რაღაცაზეც წაჩხუბდებოდნენ ხოლმე, ზოგჯერ სრულიად დაუნდობლად, მოსისხლე მტრებივით, რა დროსაც მშობლები ემოციურად ჩაეროდნენ და დაშორიშორებდნენ. განსაკუთრებით ბებია აველინას შეუგუბდებოდა სული, თუ რომელიმეს დაცემულს დაინახავდა. ბავშვებს ეს განცდები სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. რა იცოდნენ, ასე რატომ ნერვიულობდნენ უფროსები, ამის გასაგებად ჯერ ასაკი არ ჰყოფნიდათ.

გურხუტა კი უკვე მოწიფული ჭაბუკი იყო. სოფლის სკოლაში ძალიან აქებდნენ, საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა, დედაქალაქში აპირებდა სწავლის გაგრძელებას. ბავშვობაში დაშვებული გამოუსწორებელი შეცდომა არ დავიწყებოდა, თუმცა განცდა დაშრებოდა. ბებია აველინას გასაოცარი მიმტკეპლობაც, რა თქმა უნდა, ახსოვდა, მაგრამ ტანადერილს და საულაშემედინდლულს, ჭაბუკური სიამაყით აღვსილს, მაღლიერების გრძნობა განელეობდა და რიდიც ნაკლებად ეტყობოდა.

ბებია აველინე ამას ატყობდა, შესაძლოა წყენა გაურბენდა გულში, მაგრამ არ იმჩნევდა. ერთხელ იგი ჭადრის ძირას ძელსკამზე იჯდა მარტოკა, ორივე ხელით ჯოხს დაყრდნობოდა და მონისლული მზერით გაჰყურებდა შუკას. ამ დროს მის ზურგსუკან ხუსხუსით მომავალი გურხ-

უტა გამოჩნდა, სასხვათაშორისოდ მიესალმა და უფრო აუჩქარა ნაბიჯს.

— მოდი, ბიჭო, შენ ერთ წამას, — დაუძახა ბებია აველინამ. — რაღაც უნდა გითხრა.

გურხუტა გაჩერდა, შეჩქეფებულმა გამოხედა. უნდომლად გადმოდგა ნაბიჯი.

— დაჯექი და ყური დამიგდე. — ბებია აველინამ პაუნა გააკეთა, თითქოს სათქმელს თავს უყრიდა. — მიხარია, რომ ზრდასრული ხარ უკვე. ჩემი მამუკელა თოთხმეტის იქნებოდა ახლა... უიღბლო გამოდგა, თორემ არავისზე ნაკლები ბიჭი არ იქნებოდა, მეტი თუ არა...

გურხუტა უხერხულად შეიშმუშნა, თავი დახარა.

ბებია აველინამ ზურგისკენ მიიხედა, მერე მშვიდი ტონით განაგრძო:

— ქალაქში რომ ჩახვალ, იცი პირველი რა გააკეთო? შედი ეკლესიაში, სანთელი დაანთე მამუკელას სულის მოსახსენიებლად, მერე მღვდელს აღსარება ჩააბარე და მოინანიე. როგორც იყო, ისე უთხარი ყველაფერი. მოინანიე, რომ ცოდვით დამძიმებულმა არ იარო.

გურხუტა მიწას დაშტერებოდა, ქალის სიტყვებს გულისხმაში ჩაეკდო, ხმის ამოდება გაუჭირდა.

— მივალ მღვდელთან... კი, მივალ... — ჩაინიღნიდა უგუნებოდ.

— უცოდველი არაინაა ქვეყანაზე, ყველამ უნდა მოინანიოს. ბავშვობის ცოდვა, ალბათ, ნაკლები ცოდვაა ღმერთის თვალში და უფრო ადვილად მიეტყევა ადამიანს. ჰოდა, წადი ახლა.

გურხუტამ მალე დატოვა სოფელი და სასწავლებლად გაემგზავრა. მას მერე ზაფხულობით თუ ჩამოვიდოდა.

დროდადრო ვრცელდებოდა ხმები მის წარმატებებზე. კარგი კაცი დადგა გურხუტა, სწავლის დამთავრების შემდეგ საქმეშიც გამოიჩინა თავი. მშობლები ამაცობდნენ მისით, სოფელსაც უხაროდა.

რაც შეეხება, გამახარიებს, მრავალი წლის შემდეგ მწუხარება სიხარულით შეეცვალათ. მეტი დარტყმა ცხოვრებას მათი ოჯახისთვის არ მიუყენებია. კაკოს და ძაბულის მშვენიერი, თვალის გასახარი ქალ-ვაჟი ეზრდებოდათ.

ბებია აველინამ საყვარელი შვილიშვილის დაკარგვის შემდეგ ოცდაერთი წელი იცოცხლა. შავები არ გაუხდია, მაგრამ სიკვდილის წინ წუთისოფლის სამღურავი არ დასცდენია. დალოცვილი იყავითო, ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

დაკრძალვის დღეს შემთხვევით თუ საგანგებოდ ჩამოსული, უკვე დაკაცებული გურხუტა თანასოფელელთა ყურადღების ცენტრში იყო.

მან კიდევ ერთხელ მიიქცია ყურადღება, როცა მიცვალებული ეზოში გამოასვენეს და ახლობლები გამოსათხოვარ სიტყვებს ამბობდნენ. მეც მაქვს სათქმელიო, თქვა გურხუტამ ბოლოს და კუბოს გარშემო შეკრებილთა

შორის გაიკვლია გზა.

— დღეს ჩვენ უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ბებია აველინას. იგი ძალიან დიდი ადამიანია, მთელი სოფლის ბებიაა, ყველაზე დიდი ბებიაა და ახლა გეტყვი, თუ რატომ...

გურხუტამ გაიხსენა გამახარიების ტრაგედია და გაამხილა საიდუმლო, აღიარა თავისი უნებლიე ბრალი, რომელიც ბებია აველინამ შეგნებულად დამალა ამდენი წლის განმავლობაში. მისი ნათქვამი იმდენად მოულოდნელი იყო, ხალხი დაიბნა. ზოგიერთებმა გაიკვირვეს, ზოგიერთებმა ისიც კი იფიქრეს, ნასვამია და რაღაცას ურევსო. საბოლოოდ როცა დაიჯერეს, ყველა გაოგნებული დარჩა, გასვენება ცოტა ხნით შეწყონდა. ყველამ გულთან მიიტანა გურხუტას აღიარება და მიცვალებულის წარმოუდგენელი მიმტეველობა, ქალები ხელახლა აცრემლდნენ, ჭირისუფლები ხმამაღლა ატირდნენ.

სოფელმა მხოლოდ შემდგომ დღეებში გაიცნობიერა სრულად ბებია აველინას გასაკვირავი დიდსულოვნება. თურმე როგორი სულგრძელი იყო, როგორი წინდახედული! თურმე რამხელა ტკივილს იტევდა მისი გული!

ეს ამბავი კაციდან კაცს გადაეცემოდა და სოფლის საზღვრებს კარგა შორს გასცდა.

აველინა და მისი იშვიათი დიდბუნებოვნება იმდენად მყარად დამკვიდრდა თანასოფელთა მეხსიერებაში, ოთხი თაობის განმავლობაში დავიწყებას არ მისცემია. ვინ იცის, ეგება „ყველაზე დიდი ბებია“ დრო-ჟამმა ლეგენდის სახით შემოსოს და საუკუნეების თანმხლებად აქციოს.

### ადამიანი — სასწორი

სასწორს კაცობრიობის ტექნიკურ მიღწევებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, სასწორის გარეშე რაოდენ გაგვირთულდებოდა ცხოვრება, როგორ გაგვიძნელებოდა პურის, შაქრის, კარაქის და სხვა მრავალი სასიცოცხლოდ აუცილებელი პროდუქტის შექმნა. წონის (მასის) განუსაზღვრელად ვერ დამზადდებოდა წამლები, ვერ დავადგენდით მოწეული მოსავლის ოდენობას; რომ არა სასწორი, არ გვეცოდინებოდა, რა წონისანი დაიბადნენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები; არ გვეცოდინებოდა საკუთარი წონა და არც ის, რამდენი დავიკვლით დიეტის შედეგად.

სასწორი ერთ-ერთი უძველესი ხელსაწყოა. მას ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2500 წლის წინათ ფართოდ იყენებდნენ ძველ ბაბილონში, ხოლო შემდეგ ძველ ეგვიპტეში. სასწორის გამოგონებამ, თავის მხრივ, ძლიერ დააჩქარა მეცნიერების და, შესაბამისად, კაცობრიობის განვითარება (მოგესხებათ, მეცნიერება იწყება იქიდან, საიდანაც ადამიანმა დაიწყო ფიზიკური სიდიდეების გაზომვა). დროთა განმავლობაში სასწორის რამდენიმე

კონსტრუქცია შეიქმნა და თითოეული მაქსიმალურად დაიხვეწა, თუმცა უბრალო ადამიანისთვის ეს ხელსაწყო ბერკეტულ პრინციპზე მომუშავე მაგიდის ციფერბლატიან ან ელექტრონულ სავაჭრო სასწორთან ასოცირდება.

თავდაპირველად ადამიანმა სასწორი წონის (მასის) დასადგენად გამოიგონა, მაგრამ განვითარების კვალდაკვალ გაფართოდა ამ ხელსაწყოს გამოყენების სფერო. მისი მეშვეობით ადგენდნენ ნივთიერებათა სიმკვრივეს და სხვა. უნიკალური სასწორი შეუქმნიათ ზოილეს რესპუბლიკაში — დადებ ამ სასწორის პინაზე ხელოვნების ნიმუშს და უცთომლად იგებ მის მხატვრულ ღირებულებას. ამ ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ PROFITSCALES —ზე, ანუ სასწორზე, რომელიც ამა თუ იმ სიტუაციაში ამა თუ იმ ადამიანის სარგებლიანობას წონის და განსაზღვრავს. ცოტაოდენ გასაკვირი კია, რომ PROFITSCALES ასე გვიან იქნა გამოგონებული, რადგან თვითონ ადამიანი სწორედ მის პრინციპზეა შექმნილი. FOMO SAPIENS-ის გონება მუდმივად აწონისა და შედარების პროცესშია. დაიხ, ადამიანი თავად არის სასწორი, ოღონდ, საბედნიეროდ, იგი მხოლოდ სარგებლის განსაზღვრით არ იფარგლება. მას შემდეგ, რაც იგი სარგებლის მომტანი ვარიანტებიდან საუკეთესოს აირჩევს, მის საპირწონედ დებს მორალურ ღირებულებებს და საბოლოო ჯამში ასე ღებულობს

სამოქმედო გადაწყვეტილებებს.

ჰმ, მორალური ღირებულებები!

\* \* \*

ანზორ გარდავაძეს ერთ დილით ახლობელი დაადგა თავს. ყოველთვის არხეინ გუნებაზე მყოფი ილიკო იმ დღეს განსხვავებულად გამოიყურებოდა. არა, უხასიათოდ ამჯერადაც არ იყო, მაგრამ მორიდება და კრძალულობა ეტყობოდა, თითქოს მორცხვობდა კიდევ. ანზორი მიხვდა, რომ რაღაც სათხოვარზე იყო მოსული, რასაც მისი კეთილგანწყობა მოყვასისადმი ოდნავადაც არ შეუცვლია, რადგან ილიკოს არ სჩვეოდა ვინმეს ხშირი შეწუხება, თავმოებზრება; საკუთარ პრობლემებს, როგორც წესი, თვითონვე აგვარებდა ხოლმე, ასეთი ადამიანები კი მეტ პატივისცემას იმსახურებენ ხოლმე. ანზორი წინასწარვე ისე განწყობდა, რომ ახლობელ კაცს შესაძლებლობის ფარგლებში ფულსაც ასესხებდა (შესაძლებლობა — 2-3 ათასი ლარი — წინასწარვე ჰქონდა განსაზღვრული) და სხვაფრთვაც გაუწვდიდა დახმარების ხელს. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ილიკო მცირედი მღელვარებით მოჰყვა თავის გასაჭირს, შიგადაშიგ ჩერდებოდა, თვალს დაბლა ხრიდა, თითქოს სათქმელს თავს უყრიდა. კაცმა რომ თქვას, განსაკუთრებული არაფერი უთქვამს — დაუსაქმებლობა ლამის ქვეყნის ნახევარ მოსახლეობას აწუხებს და საგონებელში ავდებს. ილიკოს მეუღლე სამსახურში შეემცირებინათ (იგი ქალაქგამწვანებაში მუშაობდა), თვითონ უკვე პენსიონერი იყო (პენსია რამდენიცაა, მოგესხებათ),

ასეთ სიტუაციაში ერთადერთ იმედად რჩებოდა ვაჟიშვილი, რომელმაც სწავლა შარშანწინ დაასრულა და მშენებელი ინჟინრის დიპლომი ხელთ ჰქონდა, მაგრამ სამუშაო ვერა და ვერ იშოვა.

ცოლმა თავიდანვე უთხრა, მიდი ანზორთან, ეგება დაასაქმოს ბიჭი სადმეო; ასეთი კაცი გყავდეს და არ გამოიყენო, ეს პატიოსნება კი არა, უხერხემლობააო.

ძალიან რომ გაუჭირდათ, ილიკომ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა შეეწუხებინა ახლობელი, რომელსაც ახლა მთლად იმხელა ტრესტი არ ებარა სამართავად, როგორც იმ ბარაქიან ღროს, მაგრამ ჯერაც მყარად იდგა ფეხზე — საშუალო ბიზნესი ჰქონდა და ტენდერებსაც ხშირად იგებდა.

ანზორმა ყურადღებით მოუსმინა ახლობელს, მერე ყოველგვარი ყოყმანისა და გაჭიანურების გარეშე კეთილსიმყოფლად უთხრა:

— არაა ადვილი საქმე, მაგრამ შენ ერთხელაც არ შეგიწუხებია და უარს ვერ, გეტყვი, გამოვძებნი რამეს.

— ოჰ, გამახარე და ეგაა! — ემოცია ვერ დაფარა ილიკომ.

— შემახსენე, რა ჰქვია შენ ბიჭს?

— გოგა ჰქვია, გიორგი.

— მოვიდეს გოგა ჩემთან ოფისში ორშაბათს... არა, ორშაბათი მძიმე დღეა, სამშაბათს მოვიდეს, დღის მეორე ნახევარში.

— არც კი ვიცი, რით გადავიხადო თქვენი პატივისცემა, — შეჰკლადდა ილიკომ. — მე რა შემიძლია, მარა ღმერთი დაგიფასებთ.

— ოღონდ მარტო მოვიდეს, შენს გარეშე. არ მიყვარს სამუშაოს მაძიებელ ზრდასრულ ახალგაზრდებს მშობლები რომ დაჰყვებიან.

— კი ბატონო, თვითონ გეახლებათ.

— მდივანს უთხრას დაბარებული ვყავარო და შემოუშვებს.

— დიდი მადლობა და ბოდიში შეწუხებისთვის, — ფეხზე წამომდგარ ილიკოს მადლიერებით ჰქონდა თვალები სავსე.

— ერთ წუთს ნუ ჩქარობ... რა ხანია, არ ყოფილხარ ჩემთან.

ანზორი მეორე ოთახში გავიდა და კონიაკი, ორი ჭიქა და ბამბანერი შემოიტანა.

— აბა, გაგვიმარჯოს!

— გაგიმარჯოთ! თქვენი კარგად ყოფნა და ბედნიერება იყოს მრავალჯამიერ!

ილიკომ სახეწამოწითლებულმა დატოვა ანზორის სახლი და გახარებულმა გასწია შინისაკენ.

ორშაბათს, დილის თათბირის შემდეგ, ანზორს ახლობლის სათხოვარი და თავისი შეპირება გაახსენდა. რამდენიმე წამით შეფიქრებდა ჩაუდგა თვალეში, მერე ღილაკს

თითი დააჭირა და ერთ-ერთი სამსახურის უფროსი იხმო.

— ზეგდან ერთი ახალგაზრდა მშენებელი კაცი მოგივა სამსახურში. ცოტა გვიჭირს ხო აქტებისა და სხვა დოკუმენტების მომზადება?..

— მე მგონი, ვართმევთ თავს, მაგრამ თუ თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ...

— საჭიროდ მიმაჩნია! ისეთი ბიჭი კი არ იქნება, ჩაწყობა-მაქინაციებით რომ აქვს დიპლომი ადებული... ძალიან გამოგადგებათ.

— კი ბატონო, როგორც იტყვი.

ანზორს დანაპირების შესრულებით გამოწვეული კმაყოფილება დაეუფლა.

საღამოს, სამუშაო დღის მიწურულს, კაბინეტის კარი ჯიქურ შეაღო კარგი გარეგნობის, „გუჩის“ ფეხსაცმელსა და შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილმა ჰალსტუხიანმა ახალგაზრდა კაცმა.

— ვან! — ხმამაღლა წამოიძახა ანზორმა, მკვირცხლად ადგა და მოსულს კაბინეტის შუაში შეეგება.

ისეთი შეხვედრა იყო, ქული რომ ჰხურებოდათ, ალბათ ჭერში აისროდნენ

— ვაა, ამას ვის ვხედავ!

— შენგან დავიწყებული...

— ხომ ძალიან კარგად?!

— თავად ხომ...

— ღვთის წყალობით...

— დიდებულად...

— შენი წარმატებები...

— ასევე...

— გაიხარე!

— ოჯახში, ცოლ-შვილი...

— მადლობა,

— იცოცხლე!

— ვა, როგორ გამახარე!

ასეთი ემოციური ურთიერთმოკითხვის შემდეგ ანზორმა სტუმარს სკამი შესთავაზა, თვითონ სავარძელს არ დაბრუნებია, წინ დაუჯდა, მაგიდის მეორე მხარეს. ახლა თვალებით გამოხატავდნენ ურთიერთპატივისცემას, კეთილგანწყობას, კიდევ ცოტა ხანს შედიმოდნენ ერთმანეთს, მერე კი მოსულმა ხმა ჩაიწმინდა და თქვა:

— ჩემო ანზორ, ალბათ თვითონაც ხედები, მოსაკითხად არ მოვსულვარ, შენი დახმარება მჭირდება პატარა...

— თუ რამე შემიძლია, ჩემი თავი შემოგვევლოს. მოსვლაც არ იყო აუცილებელი, შეგეძლო დაგერეკა.

— არა, მასეთ საქმეზე ტელეფონში არ ლაპარაკობენ...

— ჰო, მესმის...

— კაცო, სიდედრი დამრჩა სამსახურის გარეშე...

— სიდედრი?!

— ხო. სიდედრი კი ჰქვია, მაგრამ ჯერაც ახალგაზრდა ქალია, ჩემზე ექვსი წლითაა სულ უფროსი.

– სპეციალობა რა აქვს?  
 – სპეციალობის რა გითხრა... სკოლა როგორც კი დაამთავრა, ვერუვე მოუტაცნია ჩემს სიმამრს და... ჰა-ჰა-ჰა! ისე, კომპიუტერის საოფისე კურსებზე დადის ახლა. ამოჩემებული აქვს, მშენებლობაზე მინდა მაინცდამაინცო, იდეები აწუხებს.

ანზორმა ნამალადევედ გაიღიმა, მერე შეფიქრიანდა. ერთადერთი ვაკანსია ჰქონდა, მეტს ვერ დაასაქმებდა... რა ექნა?.. მის თავში PROFITSCEILES ამუშავდა. ილიკოს სახე წარმოუდგა თვალწინ; მისადმი კეთილგანწყობილი იყო, სიტყვაც ჰქონდა მიცემული... გოგა – მისი ბიჭი, ახალგაზრდა მშენებელი... ნამდვილად გამოადგებოდა, თუმცა ვინც ჰყავდა, ისინიც ართმევდნენ თავს საქმეს... მეორე მხრივ, მის წინ იმედიანი ღიმილით იჯდა სტუმარი, რომელიც მერიის სატენდერო კომისიის მუდმივი წევრი

იყო, ხშირად მოადგილე და ზოგჯერ თავმჯდომარეც კი! შედარება არც კი შეიძლებოდა. სასწორი ისე მკვეთრად ჩამოიხარა ძირს, თითქოს საპირისპირო პინაზე ბუმბული იყო.

– მოვიდეს ხვალ, რაღაცას გაეუხერხებ!  
 – გაიხარე!  
 როგორც კი კმაყოფილმა სტუმარმა კაბინეტი ამაყად დატოვა, ტუჩებმომუწულმა ანზორმა მდივანი გამოიძახა.  
 – ხვალ დილით ერთი ქალბატონი მოვა, შემოუშვი, არ ალოდინო. ნაშუადღევს ახალგაზრდა კაციც მყავს დაბარებული. მაგას უთხარი, სასწრაფოდ მივლინებაში მოუწია წასვლამ-თქო. ერთი თვის მერე დაიბარე...  
 მდივანმა მშვენებრად იცოდა, რასაც ნიშნავდა უფროსის ნათქვამი. კარგიო, – უემოციოდ ჩაილაპარა და ქუსლების რაკუნით გავიდა კაბინეტიდან.

## ქეთევან დოლიძე

### თეთრი პროზა

*თეთრი პროზა – ტროპის სახეებით დატვირთული მინიატურული პროზა, სადაც იგრძნობა ლექსისთვის დამახასიათებელი რიტმი და რითმა, ამავე დროს თავისუფალი აზრი და პოეტური განწყობა.*

*ქეთევან დოლიძე*

### პირველი სიტყვა

პირველი სიტყვა მოვისმინე როდესაც გაეჩნდი – შაშვის გალობა. სამშობიაროს ფანჯარასთან გალობდა შაშვი და ვარდისფრად დაფრინავდნენ ნიავქარები, ვხედავდი ფერად ანგელოზებს, მიწის აჩრდილსაც და დედის ხსენად მოწვეთავდა ცის პოეზია...

– თვალები მსველაჟს ... – ვთქვი ერთციდა, გახელილ გულში... შეეკრთი, რადგანაც დამესიფნენ სიტყვები უცხო:  
 – თოვს, პატრონმკვდარი ამინდია, არავინ უწყის, როდის იდარებს – თან დაამატა, – ბიჭის მაგებრად, გაჩნდა გოგო...

და მე ვტიროდი და მტკიოდა ჩასუნთქული ჰაერის ბურთი... რა უცხო იყო ის სიტყვებიც და ის ჰაერიც.

არვინ უწყოდა, შაშვის ხმა როგორ მოექორფა პატარა სხეულს და ციციქნა გულში ბუდე დაილო.

აღარ ვტიროდი, ვწოვდი ლამაზ, ხსნითა და ხსენით გავსებულ ტუძუს. ეს იყო დედა – სიყვარული, მთელი სამყარო და ჩვილ სითბოში ის მახვევედა მზის სხივებოვით. მას შემდეგ აღარ გაფრენილა შაშვის გალობა. მერე ორივე ვიზრდებოდით დედის უბეში და ახლა ერთად გვენატრება ხსნითა და ხსენით, რძით, სიკეთით გავსილი მკერდი...

და დღემდე არვინ იცის ქვეყნად, როდესაც ვწერ და როდესაც ვგალობ, ეს მე კი არა, ის შაშვი გალობს, თანაც უჩინრად დაფრინავენ ის ფერადი ანგელოზები.



### ჯილდო სიყვარულისთვის

ჩვენ წვიმები ვართ, გადაუღებლად ვწვიმდებით და თან, როდის მოგვიხმობს მზე, არ ვიცით, სულების ნათაღს.

ჩვენ წვიმები ვართ დინჯნი, ცელქნი, მიუსაფარნი... ხანდახან ქარის მშრალ ცრემლებსაც ჩამოვასველებთ. ჩამოქუფრული ზეცა როცა გაირინდება, ჩვენ ჩუმად ვტიროთ და ამ ტირილს გულში ვიგუბებთ. დმერთმა არა ქნას, გული გასკდეს, – ცა დაიძრება.

... და ამიტომაც თქვენ, მოკვდავნი საუბრობთ ხოლმე გადაუღებელ, დაუცხრომელ საღამოებზე.

ღიახ, ჩვენ წვიმებად დავეღვრებით დაღლილ სამყაროს,



ცრემლი რომ იგრძნოს კაცთა მოდგმამ, გვაღვარდვართ...

რარიც ძნელია, გამოვიშროთ თვალთა უპენი, სველი, ნოტიო გრძნობებიდან წვიდეთ მზეში, ვიბორიალოთ ზაფხულის მზით მზირალ ლექსებით და გამოვიშროთ გალუმიპული გულის ღრუბელი.

არ გეშინოდეთ, გადაუღებელი წვიმებისა არ გეშინოდეთ შეყვარებულნი... ზეთისხილის რტო არის ჯილდო სიყვარულისთვის.

**სიტყვა – ინედლე!**

წვიმამ გარეცხა სახლები, ქუჩები, შუშაბანდები, მანქანები, ჩვენც კი გაგვრეცხა...

ჩვენ კი გულები გადავმალეთ ძონძ-სხეულებში და საბნებოვით ამოვფუფუნეთ, რომ ერთი წვეთიც არ დასცემოდა... წვიმა ზემოდან.

.....

ერთ დღესაც გული გამოგვიშრა, გამოგვეფიჭა...

გვიან შენიშნეთ, გამხმარიყო მისი კედლები...

წვიმამ გარეცხა სახლები, ქუჩები, შუშაბანდები, მანქანები, ჩვენც კი გაგვრეცხა.

... და ერთმანეთს ვეკითხებოდით:

— სად არის გული?

ვწერდით ყველგან: ფოთლებზე, ბოთლებზე, ერთმანეთის ტანისამოსზე... ვწერდით ნიადაგ... ვჩხაპნიდით ქვებზე, ბანკის ქვითრებზე, ასფალტებზე, სახლის კედლებზე, ღობეებზე... კალმით და ფანქრით, გუაშებით... ფერად-ფერადი ცარცების გროვით, ვწერდით ზანტად და ვწერდით ქროლვით... და წარწერებით მოიფინა ქუჩები და ქუჩაბანდები.

წვიმა მოვიდა და გარეცხა მთელი სამყარო... ჩვენც კი გაგვრეცხა...

და დარჩა მხოლოდ ერთი კითხვა:

— სად არის გული? — და როგორც ძაფზე მძივზე მძივი და ცრემლზე ცრემლი, ამ კითხვაზეც კითხვა აისხა:

— რა გვეშველება? —

და პასუხიც ამ მშრალი კითხვის ვიცით სუყველამ...

— გაგვიხმა გული!..

— რა გვეშველება?! — არაფერი და ყველაფერი...

და ერთადერთი უფლის სიტყვა...

სიტყვა — ინედლე!

**შაქარყინულის საკვანეტელო**

ყოფიერებით წალკილი ძლივს დავიღექე, დავიწმინდე, არ ამამღვრიოთ... თუმცა რამდენიც უნდა მაჯანჯდართო, შემარყიოთ, შტურმი და შტორმი მომიწყოთ, ვერ ამამღვრეთ და ვერც გამტყობ ბავშვობაში ჩაკრისტალბუღულს.

ჰო, ბავშვობაში ჩაკრისტალბუღულს... რად გაგვიკვარდა? სამუხეუმო ექსპონატით რომ მიყურებ და მათვლიერებ... მე ცოცხალი ვარ, თანაც მჟღერი და არა შენი. თუ გაგიგია მჟღერი და ყრუ ხეები რომ არსებობენ. დაუკაკუნე და მიხვდები, ყური დაადე... ციცქნა კოდალამ როგორ უნდა გაჯობოს გამოცნობაში. ხეს თუ ჭია ხრავს, ის ყრუვდება, მჟღერიც რომ იყოს. ადამიანთა ენაზე კი ბოდმის ჭიას დავარქმევდი ამ ჭიას, მაგრამ ის მიჯობს, მიფუფერო ისევ ბაჭიას, ვუსმინო ჩიტებს და ვიცინო ჩიტი ცოცხალს უკუღმა სიარულზე, ანდა ვიფიქრო, რატომ ჰქვია ჭაობის ბუს ბაი-

ყუში, ყველაზე პაწაწინა სახეობის ბუს კი წყრომი. ალბათ მისი ბარტყები გააბრაზეს და თავად პატარა ადამიანებს დიდი თვალებით უყურებდა წყრომით.

ის დროც დაგვიდგა, გულწითელას რომ მივბადით ერთ-გულებში და მოყვასის სიყვარული მისგან ვისწავლოთ. არც ერთ ავადმყოფ, დაჭრილ ფრინველს არ დატოვებს უყურადღებოდ. სხვის უპატრონო და უპოვარ, ობოლ ბარტყებსაც გულიანად გამოკვებავს საკუთარივით.

ადამიანები, ცხოველები და ფრინველები ღმერთის დადგენილი პირობითი რეფლექსებითა და წესებით მოქმედებენ. ადამიანებმა კი თავიანთი დადგენილი წესები მოიგონეს... მოკლედ გეტყვით, მე არ მინდოდა, ადამიანთა დადგენილი წესებით ცხოვრება და ამიტომაც ვიბობოქრე, ვიბობოქრე და ბავშვობას ჩავეკრისტალბე... რად გეცინებათ? მე მჟღერი ვარ, ვერ ამამღვრეთ და ვერ გამტყობთ თქვენ ვერასოდეს.

ჩემი დამსხვრევა მხოლოდ მზის სხივებით დაფერილ შაქარყინულის საკვანეტელას შუძლია, რომელიც დედამისის ზურგზე ერთადერთი ადამიანის გულშია საგულდაგულოდ გადამალული.

**შრომანების დღესასწაულო**

წამოხვალ საფრანგეთში შრომანების დღესასწაულზე? მოვრთათ ბუხრები, ფანჯრები, მაგიდები... დაკვირვოთ თაიგულები, ქარი დაუკრავს შინდის ფლეიტას, ტყე ვიოლინობს ააშირიალებს. ჩვენ კი ვიცეცქით, დიდხანს ვიცეკვით და ცეკვისას გაცვალთ შრომანების მარგალიტები.

გახსოვს ეს სიტყვები... და სიყვარულის შრიალმა ტყის შრიალივით გადაგვიარა, ჩაკვებულა, დაგვიმორჩილა შეპყრობილივით...

ჩვენ არ წავსულვართ საფრანგეთში, არც შრომანები დაგვიკრეფთა, მაგრამ მაშინვე შრომანების დღესასწაული წაშში მოვიწყეთ. ხელისუფლები ერთმანეთს ჩავახუტეთ და ორი მუჭა ერთმუჭა, დიდგულად ვიქცით.

სწორედ ამ გულში დატრიალდა შრომანების დღესასწაული. მოვრთეთ ბუხრები, მაგიდები, ფანჯრები... შრომანების მარგალიტებით მოფენილი იყო გულის ხიდები და მდინარე შრომანების სადა ბზინვარებით ბრწყინავდა.

ქუჩები? — გულის ქუჩებიც მოკირწყლული შრომანებისგან.

მოვრთეთ ბადები, თაღები და ვიყავით უსამველოდ ლაღები... და ჰოი, საოცრება! — ციდან შრომანების გრილი თოვლი მოდიოდა, გულის მწვერვალებზე ეფინებოდა, გულის უფსკრულები კი პაწაწინა, უთუთრესი ზანზალაკებით ამოვსებულყო. შრომანებით მოწნული გვირგვინებიც გვემოსა თავზე.

გვეკონებოდა გულმა მოისხა, — გულის ცაზე ჩამოვკიდეთ შრომანების საქანელები... და ვქანაობდით, ვქანაობდით დაუსრულებლად და თეთრ ქარებს ვეჯდებოდით სურნელების გაქროლებში.

შრომანებიან თოკის სიგრძეს თვალს ვერ ვუწვდენდით და ცის სიღრმეში იკარგებოდნენ უთუთრესი მარგალიტები. თავად გვიკვირდა, — რა იმაგრებსო იქ, ზეცაში ამ საქანელებს?

უკვე ასი წელია, რაც მიყვარხარ და არც ერთი ფერი არ გაუცვდა არც აკვარელებს, არც ყვავილებს... ისევ ის-

ეთი სუნი და გემო... ისევ ისეთი ფერი ხასხასა. ამ სიყვარულმა წუთისოფლის დროც კი გახაზა.

არ გაუფერულდა, არ დანაოკდა, არ დაბერდა, მხოლოდ ასაკი მოემატა დაუსაბამოდ... და ძველქართულად ჰასაკი სიმაღლეს ნიშნავს. ესე იგი უფრო ამაღლდა, გაიზარდა, ერთგულებით გაივსო, უფრო გამძლე, მტკიცე, იდუმალი გახდა... და ამბის მთხრობელიც დატოვა სახტად.

რას შევადარო, 5 500 წლის თაფლს თუ 6 ათასი წლის წიპწას ყურძნისას, რომელიც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს.

... და ვინ იქნება ჩვენი არქეოლოგი? ალბათ პოეზიოლოგი და უფრო ვიწროდ, სიყვარულოგი?

— რას აღარ მოიგონებო, უცნაური ხარო, სიყვარულოგი რაღა არისო? მე კი გეტყვი — არავითარი უცნაუ-

რობა! —

სიყვარ-უ-ლო-გი-ა!

ჰო, მომავალში ასეთი სპეციალობაც შეიძლება იყოს ლიტერატურაში, რომელიც ბეწვის ხიდებზე მოსიარულე შეყვარებულების ამბებს შეისწავლის.

არ გაიკვირვოს არც არავინ, არ გაიკვირვოს, ასი წელიწადი არაფერია სიყვარულისთვის... დაიმასხვრეთ, — სიყვარული მარადისობაა, გიყვარდეთ და დააფასეთ ერთმანეთი, არ ხუნდება, არ ბერდება ერთადერთი.

ასი წელიწადია, რაც თვალები ერთმანეთის სიყვარულით გვიბრწყინავს და შრომანების სურნელი არ მოგვებზრებია.

ჰო, მართლა... წამოხვალ პარიზში შრომანების დღესასწაულზე?

## ბათუ დანალია

### წაში მომლოდინე ქაღოს

ცაში მცხოვრებო, ქალო, მაცალე, მოვალ, აბა აქ ხომ არ დაურჩები! კარს რომ გამიღებს ცისქვეშ საძვალე, შენ გამომიღე ცაში ფანჯრები. მანამდე, ალბათ, შენი მგვანიდა ტოლი მომირჩენს ბებერ იარებს... მზე თუ ამოვა მისი ტანიდან — მთელ დედამიწას გაუზიარებ... ქალო, ღრუბლების ჰამაკიანო, ნუ გაკრთობს ზეცის გამელოტება. როგორც არ უნდა დაუგვიანო, მე შენი სული დამელოდება...

### უშვილო მამა

მე და შენ დღემდე, თავო საბრალო, უარავინოდ, როგორ გაუძელით?! ქვეყნის დაქცევაც რომ დაგვაბრალონ, არვინ იქნება ჩვენი დამცველი... იყავი ახლა უშვილმძიროდა! უქმად უარე ირგვლივ წრეარეს! უშვილო კაცი — უნაპირო და უფონ-უხილო მდინარე არის! ეჰ! მე რომ ერთი შვილი მყოლოდა — ავმადლდებოდი მთების დონემდი: მის ძახილს „მამი!“ — ქვეყნის ბოლოდან, ქრისტეს ხმასავით გავიგონებდი...

### დახარჯული

დახარჯულია ყველა ოცნება, დახარჯულია ყველა სურვილი ვნებათა, მე კი, მარტოსულს, ამ ქვეყანაზე იმათი მეტი აღარაფერი მებადა. დახარჯულია ყველაცრემლი და ტანჯვის ფუტკარი თავის თაფლისთვის მაფიჭებს და აღარ ვიცი გზა სიცოცხლისა რამდენი დამრჩა და ვანგარიშობ ნაბიჯებს.



დახარჯულია ყველა იმედი, დახარჯულია ყველა სანთელი ხალისის, დარჩენილია ლოდი ხსოვნისა, სადაც საწყალი ჩემი ძვირფას ქალი ზის და მელოდება, როგორც მელოდა დამით სამზადის ცივ ფანჯარასთან მდგარი და მე მოვიდოდი მისკენ ყველა გზით, ყველა წვიმიდან, ყველა ცვრიდან და ქარიდან.

### ჩავცო ფოთოლცვენაში

ეს ფოთოლცვენაც მოდის სულისკენ და მოჰგავს ბარათს შენთვის მიწერილს და ყოველ დღით ამოსული მზე შეყვარებულის თვალთ მიცქერის...

შენ კი ჩამივლი სულდგმულ მუარად  
და აღარ მამჩნევ მხრებში მოდრეკილს.  
ხომ უნდა გქონდეს, ჩემი თუარა,  
ხათრი ჩემ სულში მცვენარ ფოთლების!

**სასაფლაოდან დაბრუნებული**

შინ რომ დავბრუნდი უცებ ჩემში  
კოკისპირული წვიმა დაიწყო  
და წვიმდა წვიმდა ჩემში ყველგან  
ყველა სახსარში ყველა თითში  
ყველა მალაში  
ყველა ძარღვში და ყველა უჯრედში  
თავის ქალაში თმის ღერებში  
მთელს ხერხემალში  
და მუხლებამდე წყალში იდგნენ  
ჩემი გული და ჩემი ღვიძლი  
ისე, როგორც მესაფლავენი  
დგანან ხოლმე წვიმების შემდეგ  
გათხრილ საფლავეში  
და წვიმდა ჩემში კოკისპირულად,  
ფილტვებში უკვე ჩამდგომოდა  
გუბე წვიმისა,  
წვიმის გუბეთა გადატუმბვას  
ვერც თირკმლები აუდიოდნენ,  
რადგან ვერაფრით ვერ ივიწყებდნენ  
კუბოს დახურვის წინ შენს სახეს  
და შენს ყურებს უსაყუროდ  
და უბეჭდებო შენს ლამაზ თითებს  
და უმძივებო შენს ყელ-კისერს  
და წვიმდა წვიმდა ჩემში ყველგან,  
ჩემ სულსაც სურდა თავის დაღწევა  
უმისამართო წყალდიდობისაგან,  
მაგრამ ღია თუ უდარაბო მის ფანჯარაში  
აღარაფერი ჩანდა გარდა  
წვიმის ფარდების  
და წვიმდა წვიმდა კოკისპირულად  
ჩემ ყველა ძვალში და ხორცის ყოველ  
მილიმეტრზე, თუ უფრო მცირე ნაწილაკებზე —  
ისე ვტიროდი მე უშენობას

**პოეტის სუფრა**

არც არაფერი არ ეშველება  
ამქვეყნად პოეტს, გულო ბატონო,  
თორემ ვინა თქვა, სუფრის მშლელებმა  
ნატურმორტებიც უნდა ხატონო!..  
გულო, უსმინე! გულო, ნუ ბრაზობ  
და ნუ იწუნებ ბედის ბარიტონს!.. —  
არ შეიძლება, რომ ჩემ სუფრაზე  
რამე ტკივილის ხილი არიდოს!

**ლექსები**

ლექსებს არ ვაცემვ ძალიან ფასეულ რამეს.  
ლექსებს, ქარების მოტანილ, ნემოთი ვმოსავ.

არ გამიჭრია მაგათთვის ზურმუხტის გზა მე.  
ისინი ჩემთან წყალწყალა ღვინოსაც სვამენ.  
უცქერენ მულტფილმს, უსმენენ მოქვევრე ბროსაც.  
ხვატში უჩნდებათ სურვილი რუების შერთვის.  
წვიმაში ზურავთ, ქოლგებად, ფოთლები გლერტის.  
ჭირის დღესავით არ უყვართ მდიდართა პოზა.  
ლექსების წერა აჭარბებს ყოველგვარ ვერდიქტს  
და მე ლექსები გულიდან გამომაქვს, როგორც  
ილუზიონისტს პირიდან ლურსმნების აცმა...  
მე ჩემ ლექსებში, მშვიერი, ვპოულობ ქოქოსს,  
ძალიან ხშირად ვპოულობ გათქვირულ გოგოს —  
ცხოვრებას რატომ ვაგინო ასეთმა კაცმა?!  
თუ ზოგი ლექსი არაფერს მარგია, კიკოს,  
ზოგს შეუძლია, გამტყვრალი, სახლამდე მწიკოს...  
თუ მგზავრობისას გამიწყდა ფეხსაცმლის თასმა,  
თასმად ვიყენებ ყველაზე განიერ სტრიქონს.  
მე ჩემ ლექსებში, ხანდახან, ვპოულობ ვარდებს  
და მივალ ცოლის საფლავეზე, ქცეული მდიდრად...  
მე ჩემ ლექსებში მინახავს არწივის მართვეც...  
მე ჩემი ზოგი ლექსისა ფულიც კი მმართებს...  
ეს თუ დავმალე, სიმართლე როგორღა გითხრათ?!  
ჩემი სტროფიდან გიტარა წაიღებს ექვს სიმს...  
ერთი რომ მრჩება, დაბმული ძაღლივით ყეფს ის...  
პოეტებს, როგორც მღვდელმთავარს ახურავს მიტრა,  
იმგვარად უნდა შეეძლოთ დახურვა ლექსის...

**შინაგანი მთები**

...მაგრამ პოეტი ღვთისთვის ვიღაა,  
თუ არა სული, მისი ნაფერი! —  
თავის დაპყრობის სურვილიღაა  
ეს პოეზია, სხვა — არაფერი!  
ამაოდ ვწვალბ ჩემი დაპყრობით,  
სურვილები კი მალე შემშლიან...  
ვერცერთი ქედი და ვერც მალლობი  
ვერ დავიპყარი, რაც კი ჩემშია...  
და ჩემში მთები დგანან სიმეხზე,  
რათა აჭამონ პური სამართალს...  
როგორ მინდოდა — რომელიმეზე  
ავსულიყავი გადმოსავარდნად!..

**სვლა შენელებულ კადრებით**

კალამს რომ ხედენა გაუუბედე შიშის სპანმებით,  
არ ვიცი მაშინ ჩემ სულს ღმერთი რას აჯერებდა...  
დღეს კი სიბერის პორტისაკენ მივიზლანხები  
და ჩემი გული ეშხადება გასაჩერებლად.  
ვარ ჩემი ხალხის წვალებისთვის დღემდე შემყურე...  
და მშურს იმათი, ვინც უფალთან აღრე მივიდა...  
და თუძც, კურცხლებად, სააქაოს კედლებს ვეპკურე,  
მაგალი მაინც შენელებულ კადრებით ვარ...  
ქალაღდის კორღზე სტრიქონების ჯაჭვით დავები,  
აქ ჩემი სული პოეზიის ზღვას აჭენებდა,  
დიდი სიმწარის დევებთან ვარ ნაჭიდავები  
და ჩემი გული ეშხადება გასაჩერებლად...



## თამაზ წიხლაური

### ქართულ პოეზიას

ჭირშიც და ლხინშიც მაშველო, მეოხო ჩვენი სულების, გულელებში დარდის ამშლელი ტრფობისგან დაისრულების. მტერთანაც ლექსმა გვაურჩე, გმადლობ ქართულ შაირო, მარგალიტების საუნჯევ, სიმღერაუ მრავალნაირო. თვითონ მეც ვეყმე იმ მრავალს, მეც სატანჯველი შემყარე, შირაქის გზაზე მიმაგალს პეპელად შემომეყარე. ჭირშიც სიმაგრე დამითქვი — ჭირში მგლოვარე ნუ ხარო, ლექსო, შოთაით, დავითით, ვაჟაით დანაქუნარო, ღმერთმა შენგან ნუ გამყაროს, შენგან კვლავ შვება მომფინოს, მომკლას, თუ ამ ჩვენ სამყაროს სიმღიდრედ არ ემყოფინო.

### შერიგება

„შენი ჭირიმე სიკვდილო,  
სიცოცხლე ფასობს შენითა“.

ვაჟა

სადაც მე გაეჩნდი მუნ შენი აჩრდილიც წამომემართა. გზა-გზა შენც მშველი, თუ მშველი, მართმევე, რაც შენი მემართა. ვინ თქვა სიკვდილი მწარეა ჟამი მოკვდაეთა არ ყოფნის, სამარეც — სამი არეა — სიცოცხლის სამად გამყოფი. თუ შენი მძევლის როლში ვარ, კვლავ და კვლავ უნდა მეღტვოდე, ხემსად ლოცვა თუ მოგშივა,

ლექსით ოსანას გეტყვოდე. უერთმანეთოდ რად ვღირვართ, ფასი ერთურთის გამო გვაქვს, ერთად სვლით ჯერ არ დავღლილვართ, ჩვენ ჩვენი წილი გზა მოგვაქვს. ერთურთთან ყოფნაც გვადელვებს და წესი ამა ქვეყნისაც, ერთურთის ჯავრიც გვამღერებს, ჟამი ერთურთთან შეყრისაც. სულ გვერდით ყოფნას გპირდები, მზერას გაგიცვლი მზერაზე, არც დარდით არ ავტირდები მაგ შენს ბრმა ბელისწერაზე. მეც გიძმე, გულიც გენდობა, ვიდრე ვარ, ვიდრე თანა მღევ, ერთმანეთს ვუთხრათ შენდობა ჩემს ბოლო სულთანამდე.

\* \* \*

ლექსი, რომელიც დღეს უნდა მეთქვა, უკიდევანო სულში წუხდება, საცა ალბათ გულს გამიხეთქავს და ვულკანივით ამოქუხდება. ვიტყვი, რაც გრძნობას ასე აწვალებს, ის რასაც გუშინ ტკივილი ერქვა, მაგრამ ვერც ლექსი ვერ დამაწყნარებს, მენივით თუ არ გადაიჭყქა. რა არის გრძნობა, თუ არ ალდება, რომ შემდეგ სულის საღბუნად იქცეს და ლექსიც თუ არ აგრიგალდება, თუ არ გაუსწრებს დროსა და სივრცეს.

### ქართველი

#### ვუძღვნი ჩვენს ემიგრანტებს

მე იქ ვიწყები, სადაც იწყება მამულის მიჯნა და სამანები, არც უცხო ცის ქვეშ არ მაფიწყდება სამშობლო — სულის დასაგანები. მე იქ ვიწყები, სადაც მღერაიან „ქართველო ხელი ხმალს იკარიო“, უფლის გზა ვგზომ მშვენიერია, უფალს გაუღეთ გულის კარიო. მე იქ ვიწყები, სადაც ფიცია, სიტყვა წრფელი და სიტყვის დიდება, სადაც უფალიც სიტყვით იციან და ზენაარის ჭეშმარიტებაც. მე იქ ვიწყები, სადაც მშვენდება სული და ცოდვაც ვეღარ ამძიმებს, სადაც მოყმის და ვეფხის დედებმა ერთმანეთს ჭირი მიუსამძიმრეს. მე იქ ვიწყები, სადაც ზღაპარი ღმერთებსაც ქართულ სულში ხედავდა, სად ყველა ჩემი ზეწინაპარი გამითოსდა და გაღვინდავდა. მე იქ ვიწყები, დედის ნანაზე

სადაც გმირებად ზრდიდნენ ვაჟაკებს,  
 მზედ რომ გაბრწყინდნენ ამ ქვეყანაზე  
 და ეპოქები ააკაშკაშეს.  
 მე ჩემი გენი ქარცეცხლში ვხვეწე,  
 ჩემს წინ სამყარო დარჩა ველური,  
 მაინც ვაცოცხლე და გამოეძერწე  
 ლამაზი სული დიდქართველური.

\* \* \*

პოეტის სვე-ბედი არაუინ ინატროს,  
 არც შვება მოაქვს და არც რამე დიდება,  
 პოეტი ცოცხალიც ზეცაში ბინადრობს,  
 ზეცისა მიწაზე ვერ დაემკვიდრება.

პოეტის სიცოცხლე მუდმივი ურვაა,  
 დროს უცდის, წყვილიადმი რიჟრაჟად იალოს,  
 პოეტი ეშმაკის წყევლა და კრულვაა,  
 სულს ალხენს, შფოთავს და მოქარიშხლიანობს.  
 პოეტის ცხოვრება ფოლადის ბრძმეღია,  
 არც ყინვას უფროთხის და არც სიცხეს თაკარას,  
 წამებით იწრთობა, თუ შემოქმეღია,  
 ჯებირებს გაანგრევს, ჩაჰკვეთს და ჩაჰკვალავს.  
 ის თქვენთვის მიწაშიც უსიტყვოდ ჩაწვება,  
 არც ქრთამი სჭირდება, არც თავპატიჟია;  
 საკუთარ იღბალზე არასდროს არ წყრება,  
 რამეთუ ბრძენი და უფრორე გიჟია.

### ცირა ბარბაქაძე

#### სიყვარულის (გ)ახსნა

შენ დაიბადე გამზადებულ სამყაროში,  
 გასწავლეს, რომ ყველაფერს თავისი სახელი ჰქვია...  
 ერთხელაც დაფიქრდი და მიხვდი,  
 რომ ეს ის არ იყო, რაც ერქვა...  
 როგორც ადამიანებს ეგონათ...  
 მაგალითად, სიტყვა „სიყვარული“...  
 და როცა თქვი: მე შენ მიყვარხარ...  
 და რადგან ყველაფერი გაუგებარი იყო,  
 დაიწყე ახსნა...  
 ერთ დღეს კი ახსენი, მაგრამ  
 მეორე დღით მიხვდი,  
 რომ ეს ის არ იყო, როგორც გუშინ ახსენი და  
 ისევ დაიწყე ახსნა...  
 მეორე თქვი, რომ ეს იყო აუხსნელი  
 და გაჩუმდი...  
 მაგრამ როგორც კი გაჩუმდი, მიხვდი,  
 რომ რაღაც დაგუბდა შენში და  
 მალე ვულკანივით ამოიფრქვეოდა...  
 და როცა ისევ დაიწყე ახსნა,  
 მიხვდი, რომ  
 სიყვარული გხსნიდა შენ...

\* \* \*

ვიცი, ძნელია ჩემი სიყვარული, —  
 ეს იგოვება, გიყვარდეს ქარები მაშინაც,  
 როცა ისინი არ ქრიან...  
 და არ ეძებდე სამალავს,  
 როცა ქარიშხლები ამოიჭრებიან...  
 ეს იგოვება,  
 ხელაუდე სამყაროს ჩემ გარეშე  
 და მხელაუდე მე, სამყაროს გარეშე...  
 ძნელია ჩემი სიყვარული,  
 რადგან მრავალი სახე მაქვს და არცერთია ჩემი...  
 მოგიწევს, ყველა შეიყვარო და ყველა უარყო!  
 ძნელია ჩემი სიყვარული,  
 რადგამ მე გავრბივარ მაშინ,



როცა გგონია, რომ დაუბრუნდი  
 და შენ კი...  
 ძალა არ გყოფნის, გამომედევნო!

\* \* \*

ვფიქრობ,  
 რა მარტივად შეიძლება  
 დღევანდელი ცარიელი დღე  
 შევავსო სიტყვებით და ვთქვა:  
 დმერთო, რა საოცარი დღე იყო....  
 რამდენი რამე ჩაეტია მხოლოდ ერთ დღეში...  
 აიღეთ ცარიელი დღეები,  
 ისინიც კი, რომლებმაც ჩაიარეს  
 და შეავსეთ... შეავსეთ, შეავსეთ  
 სიტყვებით და ნახავთ,  
 როგორ გაივსება თქვენი ცხოვრება!

\* \* \*

ერთხელაც მოვა სიყვარული  
 სულ ფეხშიშველი,  
 უსახლკარო,  
 არაფრის მქონე...  
 და გზასაც აღარ დაგიტოვებს,  
 სადმე გაიქცე,  
 და მერე გეტყვის, რომ ის გზაა,  
 თავად წაგიყვანს,  
 ოღონდ მიენდე და გაჰყევი...  
 ეჭვის ჭიები სათითაოდ  
 გაანადგურე...  
 ნუ შეგაშინებს უსახლკარო და ფეხშიშველი,  
 სინამდვილეში მდიდარია,  
 მაგრამ არ იცი,  
 უბრალოდ სურდა,  
 რომ ასეთი შეგყვარებოდა.

\* \* \*

ერთ დღით შეძლება გაგელვიდოს და  
 საკუთარი თავი ვერ იცნო,  
 ერთ დღით შეიძლება გაგელვიდოს და  
 საკუთარ თავს დაუწყო ძებნა:  
 ღმერთო ჩემო,  
 აი, აქ ვიყავი,  
 აქ დავიბინე,  
 დაძინებამდე ამას ვფიქრობდი,  
 სიზმარში ეს ვნახე...  
 გავიღვიძე და აღარაფერია...  
 მაგრამ, ვის ახსოვს ის,  
 რომ არაფერი არ ახსოვს?  
 ვინ არის ის,  
 ვინც საკუთარი თავი ვერ იცნო?  
 ვინ არის,

ვინც საკუთარ თავს კარგავს,  
 ვინც საკუთარ თავს ეძებს,  
 ვინც საკუთარ თავს პოულობს?  
 ვინ ხარ და რამდენი ხარ,  
 ადამიანო?

\* \* \*

ვიცი, რომ ამ დღესაც კითხვებით დაიწყებ,  
 რომელიც სულსა და გონებას გისერავს,  
 ჯერ მკითხავ, როგორ ხარ? თავს ხომ არ გავიწყებ?  
 მე ვამბობ ხან ასე... ხან კიდევ — ისე ვარ...  
 ისე ვარ... კითხვებით ავსებულ განთიადს,  
 ფიფქებით დაფენილ სივრცეებს ვადარებ  
 და მართლა არ ვიცი, ამ განცდას რა ჰქვია  
 რომელსაც მივანდე სიცოცხლის სადავე...  
 და ვიდრე ამ დღესაც ამოვცლი ყლუპებით  
 მომიწევს დუმილით მე თავის მართლება  
 და როგორც ფიფქები ჩემს ხელისგულეებზე  
 ეგ შენი კითხვებიც თოვლივით გაქრება

\* \* \*

(დ)ადევნებული კითხვა ვარ — რატომ?  
 მოულოდნელად შენთვის დასმული,  
 შენი აწმყო ვარ და არა მარტო...  
 ვარ მომავალი და ვარ წარსული!  
 ის სამყარო ვარ, რომელშიც შენ ხარ,  
 სადაც სიტყვებით ვაგებ სასახლეს,  
 მე ვარ მდინარე, რომელშიც შენ ვალ,  
 და სიბი ქვა ვარ, შენ რომ დასახლდე.  
 (დ)ადევნებული კითხვა ვარ — რატომ?  
 ხან შვება ვარ და ხანაც — მარწუხი!  
 მე ვარ კითხვები და არა მარტო...  
 ყველა კითხვაზე მე ვარ პასუხი!



## მამუხა ოჩიაური

### ფუფალას სევდა

( „ფუფალას“ და „ შიოლას“ ლექსად გაბასების წაკითხვის შემდეგ )

ვითომ შეგეშვა, უმისობამ დარდებს უფარა  
 ყოფა — ცხოვრება დაგიშვიდა, გაგიოლა  
 ახლა სადა ხარ სადა ჭკნები, ნეტავ, ფუფალა,  
 დაუბერები დროს რად შერჩა შენი შიოლა?

რად არ მოვიდა შეგეშველა, წლები ტვირთია,  
 მძიმე ტვირთია სატარებლად, ბარგი მძიმე და  
 იქნებ შიოლაც მოგონილი ტკბილი მითია  
 და გულდათუთქულს მითი ჩუმად გისამძიმრებდა.

ცივდება ნელა ძლივს გამთბარი გული ეული,  
 დაუსრულებლად ელოდები სახემცინარე,  
 შიოლა ვითომ შენი ვნებით გადარეული,  
 შორს დარჩა, როგორც დაშრეტილი ცელქი მდინარე.

გულზე მოგეშვა უმისობამ დარდებს უფარა,  
მარტო დარჩენილს არსებობა გაგიოლა  
კენტად დამრჩალი დროს შემორჩი დღემდე ფუფაღა,  
დაუბერები, ოცნებებში დარჩა შიოლა.

**ქართველო, რა მოგივიდა?!**

მტრისგან ვერასდრო ძლეული,  
მტრისგან ვერასდროს გამტყდარი,  
წლებს წამად შემოხვეული  
ჟამი დაღლილი ჩამდგარი.  
დაუღამები იმედით,  
მუდამ მიზნისკენ მაგალნი,  
ჰოი, სადამდე მივედით  
გმირების შთამომავალნი.  
ხანდახან მესად მჭექარნი,  
ნაკლებად აგრესიულნი,  
ხან დაბურული მზე კარი,  
ხან სხვის თალი ღვთიური.  
ხან დაჭიმული ნერვები,  
ხან სახე განალიმები,  
ღამენი განათენები,  
ღილას მთის ფხაზე სხივები.  
აღმართ-დაღმართის ბილიკი,  
ძნელად სავალი ადგილი  
სახეს ეტყობა ღიმიც კი,  
რომ მოთმენაა ადვილი.  
ხანდახან ასრულებული,  
გულის ჯიუტი წადილი,  
სილაღე დიდი მთებური  
წმინდა, ურყენელი მანდილი.  
მტრისგან ვერასდროს ძლეული  
ერი, სადამდე მივიდა  
მტერი გვყავს შემოხვეული,  
ქართველო რა მოგივიდა?!

**გამოსათხოვარი მზექალის**

ღილლოში დაგტოვე, წლებია,  
რაც რომ ჩვენ ერთურთი გაეწირეთ,  
ნისლები მთებს ეხუტებიან,  
კლდეები შემორჩა არწივებს.  
ცივია საფლავის მიწა და  
ძველ ტაძრის კედლებზე ბზარია,  
დარდია ამ გულს რომ მიჭამდა,  
ფიქრია რომ მწვადა ძალიან.  
უტყვია სამარე შენი და  
უქრობი ტრფობაა ნამდვილი,  
მზექალო ღიმილი გშვენოდა,  
ლამაზად ნაკერი მანდილი.  
მხოლოდ შენ შეგწირე, სამხეოს  
რაც დღენი მარგუნა უფალმა,  
უშენოდ ცაზე მზეც არ მზეობს,  
ბედმაც კი გამწირა მუხთალმა.  
დაგტოვე, იმედად ცივ მიწის  
სნეული — ტკივილთა მძევალი,  
ერთმანეთს შევხვდებით?! ვინ იცის  
მე კენტი, შენ მიწის მხევალი.

უშენოდ ამ გულში ბზარია,  
დაუშორდით ერთურთი გაეწირეთ  
ძალიან მაკლიხარ ძალიან,  
ქარაფსაც ათრთოლებს, ამცივნებს.  
მიდამო მთიანი, კლდიანი,  
ბინად გაუხდია არწივებს!

**ფხიზლომ ღამით**

რად არ გძინავს ნეტავ ღამით  
რამ გატეხა ძილის სურა,  
მსურდა შენთან მოსვლა წამით,  
რომ საბანი დამეხურა.  
რომ წაბლისფერ გაშლილ თმებში,  
შემეცურა ხელი ნაზად  
და ჩურჩულის მსუბუქ ხმებში,  
ჩამხვეოდი უსურვანად.  
ჯერ არ გძინავს უძილობით  
დაიქანცა ღამის ჯინი,  
წასული ხარ შორეთს წლობით,  
ღუმიღად დგას მოლოდინი.  
დაიბზარა ღამის ზეცა,  
გაჩრილია მთვარე ნამგლად,  
ალიონმა ვარსკვლავები,  
ვით ბალახი გამომარგლა.  
რად არ გძინავს, მალე ალბათ  
გარიჟრაჟის მოვა რაში,  
მე მთებში ვარ თვალებს ვნაბავ,  
შენ ხარ უცხო ქვეყანაში.  
კვლავ არ გძინავს ფხიზლობ ღამით,  
ბინდი ნელა მიიწურა,  
მსურდა შენთან მოსვლა წამით,  
რომ საბანი დამეხურა.

**ქალმწველო**

და ეს თვეც დასრულდა ერთი წლით დავბერდი  
შენ კი კვლავ ისეთი პატარა გოგო ხარ,  
როგორიც წარსულში ფიქრებით მარბევდი  
ხანდახან ღიმილით მკითხავდი — როგორ ხარ?!

დასრულდა სექტემბრის დღეები ფერადი,  
ორმოცდასამის ვარ, დავბერდი ქალმწველო,  
დრო იყო, რომ შენში ტალღებად ვღველავდი,  
ამ გულის დამქცევო, ამ გულის დამწველო.

დავბერდი, ადარ მაქვს ისეთი დროება,  
როგორიც წარსულში — სულ დაუდგარი,  
ეგ შენი ტრფიალი ამ გულს რომ მოება,  
უქრობი ცეცხლია, რაც მფერფლავს ეგ არი,

დავბერდი, შენ ისევ პატარა გოგო ხარ,  
პატარა გოგოხარ, ისევე ქალმწველო,  
დღეს შემხვდი ჩურჩულით მითხარი — როგორ ხარ  
ამ გულის დამქცევო, ამ გულის დამწველო!

# ცობნე სივსივაძე

## გაქნა



მე მიყვარს შხე, სითბო და დღის სინათლე. ადამიანი ვარ და ეს სავსებით ნორმალურია. ყოველ დღით ადრე ვდგები, რომ შხის ამოსვლას შევეგებო და ახალი სხეულებით გავითბო სხეული... მერე კი იწყება ნამდვილი წამება...

...დღეს მანქანის ღრიალმა გამაღვიძა, დილიდან თავი მტკიავა და საგნებს ვერ ვეგუები. ადამიანებს შორის გზას ვერ ვიგნებ და სხეულის თითოეული უჯრედი მეწვის. ქალაქის აუტანელ სიცხეს ვერსად გავუბიჯებ, მანქანების მძლოლები გონგადაცდენილებივით აგინებენ ერთმანეთს. აღარ მაკვირვებს მათი ანთებული სახეები, ჩასისხლიანებული თვალები და დასკდომამდე დაბერილი კისრის ძარღვები.

პატარა საქმე მაქვს, უნდა მოვათავო. მერე იქნებ გავეცალო აქაურობას და სადმე მშვიდი ადგილი ვიპოვო. ესეც ათასში ერთხელ ხდება, თორემ ვის შეუძლია ქალაქის ჯოჯოხეთს გაექცეს? პრობლემებს მიჯაჭვული ადამიანების გარემოცვაში ძნელია ცხოვრება, მე თვითონაც პრობლემებს მიჯაჭვული ვარ, რას ვიზამ? ქალაქი ენერჯიას მოითხოვს! თავს ვერ ვაღწევ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი ხელით შექმნილ საგნებს დამსგავსებიან და ხანდახან ცისკრის ან ჟამისწირვის ზარების რეკვა თუ შეაფხიზლებს და გამორაკვევს მათ შორის ჩამდგარი ყინულივით ცივი ხმაურისაგან, რაც სახლიდან სამსახურამდე და პირიქითა გზაზე მიაცილებს ხოლმე.

მეგობართან შევიარე, კომპიუტერს მისჯდომია და თამაშობს, თავს არ აბრუნებს ჩემკენ. ვეუბნები — მიატოვე მაგით გართობა, რადგან სული არ აქვს, რასაც ახლა უყურებ და ათამაშებ! მეუბნება — მერე რაო? ვპასუხობ — რა და, ვერაფერს მოგცემს ის, რასაც სული არ აქვს. მან ვერ გაიგო და თამაში განაგრძო. განწირულია ეს კაცი, ჭეშმარიტად განწირული!

ადამიანი შემავსებელი რგოლი გახდა ელექტროტექნიკის ჯაჭვისა, მის გარეშე არსებობა აღარ შეუძლია.

არ ვიცი რა გზას დავადგე. გადაუღებელი ოპერაცია მჭირდება, ეს ათას ხუთასი ლარი ჯდება, მე კი ერთი თეთრიც არ მიგდია ჯიბეში. მაღაზიებში დარიგებული წიგნების იმედად ვარ. წიგნების გამაგრცელებელ ერთ-ერთ კომპანიაში მივედი.

— გამარჯობა, ქალბატონო ნინო — ნინო ახალგაზრდა ქალია, სანდომიანი გარეგნობის, ლამაზი. — შეგიძლიათ გაყიდული წიგნების თანხა გადმომირიცხოთ?

- თქვენ უნდა შეგემოწმებინათ საბანკო ანგარიში.
- როგორ?
- თანხა დიდი ხანია სრულიად დაუფართო.

მისთვის არაფერი მითქვამს. აზრი არ ჰქონდა. ნუთუ ისეთი არასერიოზული ვჩანვარ, რომ კომპანიაში მოუშნადებელი მივსულიყავი? ვიფიქრე, იქნებ სულ ახლახანს გადმორიცხეს-მეთქი?! წავედი ბანკში, ისე მიღიმის ოპერატორი, როგორც ყველას.

— შეგიძლიათ 2011 წლის მარტიდან 2012 წლის მარტის ჩათვლით ამონაწერი მომცეთ?

ამომიბეჭდა და მომანწოდა. ერთი თეთრიც არ ყოფილა

გადმორიცხული.  
რა ვქნა? ახლა ჩემთვის მთავარი მოვალეების დევნა არ არის. თუ რამე იყო ანგარიშზე მოვსხენი, დავიხურე ქუდი და წამოვედი.

საშინლად დამდალა ამ გაუთავებელმა ღრიანცელმა. თავის ტკივილმა მიმატა. ქალაქში იმდენი მანქანაა, ფეხითმოსიარულეებისთვის ძლივს რჩება ადგილი — მათ ღრიალს ნუღარ იკითხავ.

ჰაერი არ მყოფნის და ოფლი მასხამს.

ერთი სტუდენტობის დროინდელი ნაცნობი შემხვდა, ერთმანეთი მოვიკითხეთ. პირველად შევაძინე, რომ ქუჩაში ლაპარაკის დროს ერთმანეთს ვუყვიროდით, არ მიცდია მისთვის ჩემი პრობლემები გამეზიარებინა, ან განა შეიძლება ასეთ ვითარებაში ადამიანს პრობლემებზე ელაპარაკო? ხანდახან მგონია ურთიერთობებმა აზრი დაკარგა. ხანაც ის რომ მიცვალებულისგან აღარაფრით განვსხვავდები. სისხლ-ხორციანად გარემოზე ვარ დამოკიდებული და ნელ-ნელა ვკარგავ თავისუფლებას! ამ აზრმა სასოწარკვეთილებამდე მიმიყვანა. დავიდალე! კაციშვილის დანახვა აღარ მინდა. ერთი საათით მაინც უნდა გავერიდო ამ კომპარს.

გაჩერებაზე ავტობუსს შევახტი. აქაც შეიძლება ახალი ამბების გაგება. სადღაც ტერორისტული აქტი მოუწყვიათ — ვინ იცის მერამდენედ? ბოლო წლების მოვლენები მაფიქრებინებს, რომ ადამის მოდგმა გაცოფდა და ცნობაგადასული, უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაერია ერთმანეთს. ზოგჯერ კი ეს საზოგადოებრივი კატასტროფები იმდენად ჩვეულებრივი მგონია... მეც ხომ არ გადავცდი ნეტავი?! აბა როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა ეს ამბები ჩვეულებრივად ჩათვალოს?! ან იქნებ ვაჭარბებ და უბრალოდ, ისე ხშირად მეორდება, ბუნებრივად მქრვენება? ღმერთმა ნუ ქნას!

უკვე მუხლები დამეღალა. ავტობუსს კონდიციონერი არ აქვს, რაც ჩვენს სილატაკეზე ღალადებს და მგზავრე-



ბი, მათ შორის მეც, ოფლში ვიწურებით. გამახსენდა და ერთჯერადი ხელსახოცი მოვიშველიე. ავტობუსმა, როგორც იქნა, ქალაქის ცენტრიდან გააღწია. ნახევრად ღია კარიდან ჩავხტი.

შედარებით სუფთა ჰაერია.

აქვე, ახლოს, ერთი მოზრდილი სკვერი მეგულება, ცოტა ფეხით სიარულია საჭირო და, აი, სანატრელი სიმშვიდეც... ჯერ სამუშაო საათებია. ბაღში ადამიანები კანტი-კუნტად ჩანან, ძირითადად, ასაკოვან პენსიონერებს თუ შეხვედები. ბაღის დასავლეთისკენ, ცაცხვების ჩრდილში, სკამი მეგულებოდა. გეზიც იქით ავიღე. ჩემ ადგილზე ახალგაზრდა ქალი იჯდა, ჩემზე ცოტათი უმცროსი იქნებოდა.

— შეიძლება თქვენ გვერდით დაჯდეთ? მე ეს ადგილი ძალიან მიყვარს.

ეს ადგილი მისთვისაც ერთადერთი ყოფილა, სადაც შეეძლო გაჰქცეოდა საგნებსა და ადამიანებს. დედა პოლონელი ჰყოლია, მამა არ ახსოვდა. ჰქონდა მუქი მწვანე თვალები, ბეჭებსქვემოთ ჩამოშვებული ქერა თმა, რომელსაც თურმე არასოდეს იღებავდა. დედას უზრუნია მის გაზრდაზე. მოქნილ, კოხტა ტანს მაღალი ფეხები უმშვენებდა. მოკლე, უმკლავებო, გულამოღებული სარაფანიდან რძისფერი კანი მოუჩანდა.

— მეც აქ გაუზრდებარ ქალაქის ორომტრიალს. ახლოს მომიჯდა და თავი მარჯვენა მხარზე დამადო. არ ვიცი რა მოეწონა, ალბათ ის რომ რაღაცით ვგავდით ერთმანეთს. მე კი ვიფიქრე რომ მხოლოდ მიცვალებულები შეიძლება ერთმანეთს გაგდნენ და, ცოტა ხნით, თავი მკვდარიც კი მეგონა, რომ არა მისი ცხელი სხეულისაგან აკრეფილი მღელვარება. წელზე შემოვხვიე ხელი და მეც თავი თავზე დავადე, მისი სუნთქვა მესმის. ლამაზი ქალის სუნთქვას ასეთ დროს არაფერი სჯობს.

— მე შენ არც კი გიცნობ.

— მე გიცნობ! შენ ყოველდღე მხვდები ქუჩებში, ავტობუსებში, მანქანებში, მეტროში და ყველგან სადაც შეიძლება ადამიანი იყოს.

— ასე მეც შეიძლება გიცნობდე.

ისე არასოდეს მიგრძენია სიცოცხლის მშვენიება, როგორც მასთან ურთიერთობისას. მივხვდი რომ ისიც გაუბოდა რაღაცას და განტვირთვას ეძლეოდა. ალბათ, მთლიანად ამიტომაც დაიხარჯა... და მე მაშინ პირველად შევიწყნარე მარტოობისთვის განწირული ადამიანის მდგომარეობა.

გვიან გამეღვიძა, ელენე წასულიყო. რაც მქონდა, უპოვნია ჩემს პატარა სამზარეულოში, სადაც ხანდახან თუ მიაგნებდი სასუსნავს, და მაგიდაზე საუბზე გაეწყო. აჰა, თურმე შეუძლიათ ადამიანებს ერთმანეთისთვის ზრუნვა.

ავდექი, წყალი გადავიღე (ელენეს აბაზანაც მოუწესრიგებია), შემწვარ კვერცხს პირიც კი ვერ დავაკარე, გაცივებულიყო. გრილი ჩაი მოვსვი და ჭურჭელი სამზარეულოში გავიტანე. მისი გარეცხვის თავი არ მქონდა, არც გამირეცხავს.

თავი აღარ მტკიოდა, მაგრამ სისუსტეს ვგრძნობდი. კარი დაკეტე და ქალაქში გავედი.

სად გაექცევი ხმაურს?!

ოპერაციის დღე ახლოვდებოდა, მე კი ფული არ მქონდა. გამახსენდა რამდენიმე კეთილსინდისიერად გადამხდე-

ლი მაღაზია. დავიარე. ჩემი წიგნები მთლიანად გაყვიდათ, შემპირდნენ — თანხას მომდევნო ორი დღის განმავლობაში გადმოგიცხავთო. საქმე აღარაფერი მქონდა და ქალაქიდან მოშორებით, ტბაზე წავედი. ვიფიქრე ცოტას გავგრილდები-მეთქი. სანაპიროზე ბევრი ხალხი იყო, წყალი ისე ამღვრეულიყო, შესვლა არ ღირდა. სანაპიროსთან, ჩრდილში წამოვწყეი, თავი ხეს მივაყრდენი და გარემოს თვალიერებას შევუდექი. ახალგაზრდა გოგო-ბიჭები საცურაო კოსტიუმებისამარა მზეს ეფიცხებოდნენ. ერთმანეთს ეარშიყებოდნენ, თავდაუიწყებას ეშურებოდნენ. უდარდელი იყო მათი მიხრა-მოხრა, ალბათ ჯერ არ შეედგათ ფეხი სიცრუისა და უნდობლობის გოლორში. რამდენიმე მათგანი, მოცურავე ნავებს შორის, წყალზე წამოწოლილიყო.

ნელ-ნელა ბინდებოდა და წასვლაც დავაპირე რომ წელიდან ყრუ ბაგუნი შემომესმა, იქით გავიხედე, თურმე ერთ-ერთ ნავს მცურავისთვის დაურტყამს. მენიბნეს კი არც შეუძნევა. პერანგი და ფეხსაცმელები გავიძრე და შარვლიანად წყალში გადავარდი, იქით, სადაც გოგონა უნდა ყოფილიყო, მკალეურით გავცურე. ჩავევინთე ამღვრეულ წყალში, დიდხანს არ მიძებნია, მარცხენა ხელი წელზე მოვხვიე, წყლის ზედაპირზე ამოვედი და მარჯვენით ნაპირისკენ გავუტეე. ერთი შუახნის კაცი მომეშველა ნაპირზე გაყვანაში. წყლის პირას წამოვაწვინეთ და გონს მოვიყვანეთ. თვალები რომ გაახილა შევებით ამოვისუნთქეთ და ეს შეგვემჩნა. ან როგორ არ უნდა შეგვემჩნეოდა? გოგონას თავი სტკიოდა, ფეხზე ვერ დგებოდა, ნელ-ნელა ჩავაცვი, სადგომზე ტაქსი დავიჭირეთ და საავადმყოფოში წავიყვანეთ. იქიდან მის ახლობლებს დაუუკავშირდი. მშობლები მოვიდნენ. ისეთი დაღლილი ვიყავი მაღლობის მოსმენის თავი არ მქონდა, რამდენად გულწრფელიც არ უნდა ყოფილიყო იგი. კოორდინატები მთხოვეს, სამაგიერო პატივისცემა ჩვენზე იყოსო, ვიფიქრე რომ ამას აზრი არ ჰქონდა და მათთვის ტელეფონის ნომერი არ ჩამიწერიანებია.

საავადმყოფოდან რომ გამოვედი ბნელოდა. ახლა ჭიროვით მეზარება სახლი. ერთ მყუდრო ადგილას კარგი ბისტრო ვიცოდი და იქით გავემართე. ტრანსპორტში ასვლის გუნებაზე არ ვიყავი და გზას ფეხით გავუყევი. ბისტროსთან რომ მივედი მთვრალეები ჩხუბობდნენ. აუღელვებლად აუუარე გვერდი და კარი შევაღე. ბართან მივედი, სკამზე ჩამოვჯექი და ერთი ჭიქა რომი მოვითხოვე. დამისხეს. ნელ-ნელა წრუპავს შევუდექი. ბისტროში ნახევრად ბნელოდა და საგნები ბუნდოვნად ჩანდა. მაგიდასთან ჩემი ძველი ნაცნობი, ნატკა გავარჩიე. მაშინ ეს გოგო მომწონდა როგორც ქალი. ძალიან ლამაზი და მიმზიდველი იყო. ნატკა რუსი იყო, ქართული კარგად იცოდა. ძალიან უყვარდი და გაუხარდა ჩემი დანახვა. თავისი ამბები გადმოალაგა. გათხოვილა, ქმარი მორფინისტი გამოდგომია და მიუტოვებია. კიდევ კარგი მისგან ბავშვი არ დამჩაო. ნატკას ცისფერი თვალები, გამოყვანილი ყვრიმალეები, მაღალი, მკვრივი მკერდი და ბარძაყები ჰქონდა. მეტრი და სამოცდათექვსმეტი იყო — თვითონ მითხრა. არაფერი სჯობდა მის თვალიერებას, როცა ქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. ლამაზი სახე ჰქონდა და ლაპარაკის დროს სულ იღიმებოდა. დადებით განწყობას ქმნიდა. ზომიერად ქალური იყო და სიმკაცრეც იმდენი ახლდა, რამდენიც მისნაირ

ქალს სჭირდებოდა. არასოდეს არაფერს მიმაღავდა. თავისი ცხოვრებიდან ყველაფერს დეტალურად მიყვებოდა. რომ დავუკვირდი, მნიშვნელოვნად არ შეცვლილიყო. ისეთივე ემსი ჰქონდა, თუმცა, მეტ გამოცდილებასა და დაღლილობას ვამჩნევდი, რასაც მის თვალბეზე შეპარული მხელადშესამჩნევი ნაოჭები უმუღავებდა. თავისებურად ესეც უხდებოდა. თურმე, ხანდახან, ძალიან ვენატრები, ენატრება ჩემთან ლაქლაქი. სახლში წასვლა არ მინდაო, ოჯახმა და ყოველდღიურობამ დამძალაო, მომბეზრდა ერთი და იგივე კედლების ყურებაო. მე მივხვდი რასაც შეიძლებაოდა ასე ძალიან გადაელაღა, ისიც შევამჩნიე, რომ ხედავდა მის გარშემო არსებულ ადამიანებსა და საგნებს შორის გაწოლილ უკანასკნელ ზღვარს, რომელიც საკაცობრიო აგონიაში ჯოჯოხეთურ ქაოსს ქმნის.

მისი შესმობა და რომ მთხრავს დღეს შენთან დავრჩებიო, უარი არ მითქვამს. ერთი ბოთლი გერმანული „SHNAPS“ ავიღე და სახლში წავიდით. სიცხისგან გავითანგე! ნატკა რაღაცებს ხუმრობდა, თავისი ჭკუით, მართობდა. მეც მსიამოვნებდა მისი გაუთავებელი ტიტინი. ჭიქები გადმოვიღე, სასმელი ელენესთვის მოტანილ ფორთოხლის წვეწმში გავაზავე, კარგად ავთქვიფე, განიერ ჭიქებში ყინული ჩავყარე, კოქტეილი დავასხი და სმას შევუდექით. თავი არაფრისა მქონდა, არაყმა მკვდარივით მიმაგლო. ბანგმორეულივით დამეძინა.

დილით ადრე გამეღვიძა, ნატკა ფეხზე დამხვდა, სახლში საცვლისამარა, ფეხშიშველი დატყაპუნობდა. გაღვიძებული რომ დამინახა, გამიღიმა — რა ძილქუში დაგემართაო? — მე არ ამისხსნია რომ გადაღლილი ვიყავი და ნელ-ნელა თავისუფლება მერთმეოდა, რის ბოლომდე გააზრებასაც სიკვდილი მერჩინა. არც ის შემიჩვილია ჯერ რომ ვერ გამირკვევია რომელი სჯობს, მკვდარი ვიყო თუ მკვდარს ვგავდე? და თუ რამე იყო ჩემში ცოცხალად გადარჩენილი, იმის დადგენას სწირავდა თუ სად დამთავრდა სიცოცხლე და სად დაიწყო სიკვდილი?

იმ ჩლატებში წავყავი ფეხები, რომელიც წინა დღეს ელენეს ეცვა და აივანზე გავედი, მზის ამოსვლას ველოდებოდი. ხელები გავშალე და ღრმად ჩავისუნთქე. ნატკა გაოცებული მიყურებდა, იმიტომ კი არა რომ აივანზე საცვლისამარა გავედი, უბრალოდ არ ელოდა თუ კიდევ არსებობდა ადამიანი, რომელიც მზის ამოსვლას დაელოდებოდა. ნატკამ სკამები გამოიტანა, მაცივრიდან მინერალური წყალი გამოდგა. ჩამოჯდა და ჩუმად დამიწყო ყურება. როცა მზე ამოვიდა და ძვლებიც გამითბა, სკამზე ჩამოვჯექი. ნატკა ჩემზე ფიქრობდა — ასეთ დროს ალღო არ მატყუებს.

— შენ ის გჭირდება, რასაც მხოლოდ სხეული არ მოითხოვს შენგან — მეუბნება ის — ხანდახან ვგრძნობ, როგორი ჩანთქმული ვარ საგნებს შორის და თავსაც ვერაფრით ვინუგეშებ, რადგან არ არის ადგილი სადაც შეიძლება მათ ქაოსს დაემალო.

— მე მათ ვემსგავსები, ჩემო ნატკა, მათსავით ვცოდები და ვკვდები. იმიტომ ვცდილობ მზის სხივებით გავითბო სხეული. მხოლოდ ასე შემიძლია ვიგრძნო სიცოცხლე, რაც ქვისა და რკინისაგან განმასხვავებს.

— წარმოგიდგენია, ერთ მშვენიერ დღეს რომ მზე სამუდამოდ დაბნელდეს? ნუთუ შეიძლება ჩვენი მეცნიერება მისი შემცველი მანქანის შექმნას?

— შეიძლება, მაგრამ მიწა ვეღარ გამოიღებს ნაყოფს და უნაყოფო შეიქმნება ადამიანიც — ვუპასუხე ნატკას.

დავიღალე ამაზე ლაპარაკით. ისედაც ძალიან ბევრს ვფიქრობდი. გავჩუმდი. ახლავა დავუკვირდი მის შიშველ სხეულს, მწიფე გულაბოვით ამობურცულ, მკვრივ ძუძუებს თავები დასაკრეფი მარწყვებივით ამოწიპათ. მე იშვიათად შემხვედრია ქალი მსგავსი აღნაგობის, არაამქვეყნიური, მითიური სილამაზის.

მიუუახლოვდი, ავაყენე, ხელი მოვხვიე, მივიზიდე და ვაკოცე. ეს სხვა კოცნა იყო, ბევრად განსხვავდებოდა იმ კოცნისაგან, რომელიც ელენემ მიიღო ჩემგან.

მე მიხაროდა რომ ნატკას ამ ქვეყნად ვერავინ და ვერაფერი წაართმევდა თავისუფლებას, ჩვენ ერთმანეთს ვგავდით, ეს უფრო გვაახლოებდა და ვნებებს გვატებდა.

როცა ტანზე ჩაიცვა და წასვლა დააპირა, პირველად ვინანე, რომ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ადამიანი, რომელთანაც უფრო მეტი დრო უნდა გამეტარებინა და ეს შემთხვევა ხელიდან გაუშვი.

აინიდან ვუყურებდი როგორ მიდიოდა ნატკა. ამომხედა, გამიღიმა და ხელი დამიქნია, ძალიან ლამაზი იყო. ის მარტო გარეგნულად არ იყო ლამაზი და ეს ამბავი მაკმაყოფილებდა.

მეც ნელ-ნელა ავკრიფე სხეული, ჩავიცვი და ბანკს მივაშურე. მართლა გადმოურიცხავთ ფული. ცოტა თანხა დამიგროვდა საოპერაციოდ. უფრო სწორად, მნიშვნელოვანი ნაწილი. საავადმყოფოში ანალიზებისთვის მეორე დღეს უნდა მივსულიყავი. ამისი სახსრები მქონდა და იმედიანად ვიყავი. დანარჩენსაც მოუყერიდი თავს რამენაირად. ეს აღარ მადარდებდა. ნატკას გამოჩენამაც რამდენადმე წამახალისა. თანხის ასათავებლად ოჯახს მიემართე. მითხრეს ოპერაციაზე ჩვენც მოვალთო. არ გინდათ, რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი?

საქმე არაფერი მაქვს. სამსახური მაინც მქონოდა, დროს გავიყვანდი, მაგრამ რომ არ მაქვს, რა ვქნა?!

სახლში მივბრუნდი, გადავწყვიტე იმ დღეს დამესვენა, წამოვწოლილიყავი. გასაღები სამალავში არ დამხვდა, გამიკვირდა. სახელური ჩამოვწიე, კარი შეიღო. მაგიდასთან ელენე დამხვდა, ყავა მოედუღებინა, სვამდა და მელოდებოდა. გამიღიმა.

- როგორ ხარ?
- შენ წარმოდგენა არ გაქვს როგორ დავიღალე, ელენე. უნძოდ აღგა და ყავა დამისხა. მაცივრიდან გუშინდელი „SHNAPS“ გამოვიღე და ჭიქებში გავანაწილე.
- დიდი ხნის მოსული ხარ?
- არა, იქნება ასე ოცდახუთი წუთი.
- შენს მოსვლას გაუმარჯოს! — და არაყი სულ-მოუთქმელად გადაკარი. ელენე ტელევიზორს უყურებდა, მიწისძვრებსა და წყალდიდობებს დიდი ზარალი მოუტანია.
- რა უნდა ქნას ახლა ამ ხალხმა, ელენე?
- რა მოხდა? უბრალოდ მეტი საზრუნავი გაუჩნდა თავისი თავისთვის!
- მე გამაკვირვა ელენეს ასეთმა გულცივობამ, მაინც მართალი იყო. საერთოდ, მის ნათქვამს ყოველთვის ახლდა ცოტაოდენი სიმართლე.
- შენ როგორ ხარ?
- მე ზგ ოპერაციას ვიკეთებ, ხვალ ანალიზებს ავიღებ.

— მოვიდე?

— როგორც გინდა, ჩემთვის სულ ერთია.

გულის სიღრმეში გამიხარდა, ელენე მომაკითხავდა, მარტო არ დაგრჩებოდი. მეტიც, ძალიანაც მსიამოვნებდა. არ უკითხავს რის ოპერაციას ვიკეთებდი, ან რომ სცოდნოდა რა აზრი ჰქონდა? არაფერი მოვსვი და წამოვწევი. ჩამძინებია. რომ გამეღვიძა ბნელოდა, ტანზე გახდილი ვიყავი და გადასაფარებელი მქონდა. ელენე ისევ ტელევიზორს უჯდა და არხებს ატრიალებდა. გამიხარდა რომ მარტო არ ვიყავი. ავდექი, არაფერი დავისხი და ჩავცალე. ელენემ ისევ გამიღვიძა. ამჯერად მისი ღიმილი უფრო თბილი და სახრიანი იყო. სასმელი ჩემგან გამოცლილ ჭიქაში დაასხა და ერთბაშად ხახაში გადაუძახა. თან ამბობდა ხანდახან თუ არ დალიე გაგიჟდებიო. ალკოჰოლი ადამიანს ასვენებს და სინამდვილისაგან სწყვეტსო. მე არ დავეთანხმე, რადგან ეს აზრი ყოველთვის მოცლილებისა და ლოთების არგუმენტად მიმაჩნდა და აივანზე გავედი, ელენე გამომყვა. ცა მოწმენდილი იყო და ვარსკვლავები მოჩანდა. მანქანები ყურისწამლებად გრიალებდნენ.

— ოდესმე შეწყდება თუ არა ეს ხმაური?

— ამას მეორედ მოსვლა თუ შეაჩერებს, თორემ ადამიანის ძალას აღემატება. — ვუპასუხე მას.

— ჰმ, ადამიანმა ის შექმნა, რასაც ვეღარ იმორჩილებს!

— დაასრულა ელენემ.

— დიახ, ასეთი აღმოჩნდა ნება მისი!..

მე სკამ-ლოგინი გაუშალე. ქალს ვნება მოეძალა — არ მინდა, გადაღლილი ვარ-მეთქი.

ჩემს ლოგინზე მოკალათდა და დაიძინა.

უთენია ჩემი ჩლატების ტკაცუნმა გამაღვიძა. დილაობით ელენესაც ნატკასავით ყვარებია საცვლისამარა ტანტალი და ყავის ღუღება.

— მომიახლოვდა, თავზე ხელი გადამისვა და მაკოცა, საუზმე მალე მზად იქნებო.

ავდექი, ხელ-პირი დავიბანე და აივანზე გავედი. მოღრუბლულიყო და წვიმას აპირებდა, დილის ჰაერი ჩავისუნთქე და უკან შემოვედი. ელენეს ჩაეცვა და მაგიდასთან მეპატიჟებოდა. ვისაუბრებო. წინა დღეს სერვილატი, მაიონეზი და ნამცხვრები ამოეზიდა. საუზმის მერე დამემშვიდობა, მაკოცა და წავიდა — სამსახურში მივდივარო — ახლა გავიგე, თურმე, უმუშავია.

მე ჩავიცვი და საუადმყოფოსკენ გავესწიე. ფოიეში რეგისტრაცია გავიარე. ქირურგმა თურაპევტს მიმბარა — საოპერაციოდ გაამზადეო. სამჯერ ამიღეს სისხლი ვენიდან. ლაბორანტს ვეუბნები — სისხლს გაფრთხილება უნდა, მაინცდამაინც ნუ დამაცარიელებ, უბრალოდ არ უნდა იკარგებოდეს. თუ დაღვრი მხოლოდ შენი სამშობლოსი და მისი შინსათვის-მეთქი. ლაბორანტის ჩაწიკვიკებული კბილების დანახვამ სიამოვნება მომგვარა.

— ვნახოთ რას გვეტყვის შენი სისხლი.

ეტყობა ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო.

— პასუხი ორ საათში იქნება.

თურაპევტმა ახლა ანესტეზიოლოგს მიმგვარა. გამომკითხეს. ყველაფერი რიგზე მქონია. ოპერაციის გაკეთება შეიძლებოდა თუ არა, ახლა ანალიზის პასუხს უნდა ეთქვა.

რა მეკეთებინა საათი და ორმოცდახუთი წუთი? მშობდა. კაფე-ბარში ჩავედი. შემწვარი კარტოფილი „ფრი“ და პომიდვრის საწებელი მოვიტხოვე. არ არის ჩვენებური

კერძი, მაგრამ ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს? მშვიდად შევუდექი ჩემი ულუფის ჭამას.

იმაზე კი არ ვფიქრობდი ოპერაცია როგორ ჩავლიდა. არ მეშინოდა. ვფიქრობდი — კაცს, რომელიც მიცვალებულისგან არაფრით განსხვავდება, შეიძლება თუ არა ეშინოდეს სიკვდილის? მგონი არ უნდა ეშინოდეს, არ ვიცი, რა ვიცი? კაცმა არ იცის სიკვდილის წინ რას ხედავს, გრძობს, ფიქრობს და განიცდის ადამიანი.

ჩემი ულუფა გეახელით. სიგარეტს ძლივს ვწევდი, ფილტვებში მაინც ღრმად ვუშვებდი კვამლს, რადგან ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა — ისედაც ქალაქის ბუდი მახრჩობდა.

საუადმყოფოში მივბრუნდი, თურმე შეიძლება ოპერაციის გაკეთება. ჩიყვი არ მქონია — გამიხარდა. წარმოგიდგენიათ?! სხვა კლინიკაში დადებითი პასუხი მივიღე. არა უშავს, ისედაც დიდი ხანია აღარავის ვენელობი! ქირურგმა რალაც-რალაცები დამაუკლა.

— ხომ არ გეშინია?

— რატომ უნდა მეშინოდეს?

— ძირითადად ეშინიათ.

— მე გეკითხებით, ექიმო, სიკვდილის შემთხვევაში, კაცს სძვრება სული თუ პირიქით?

— მაგაზე არ მიფიქრია?!

— მე კი მიფიქრია და მგონია, რომ სხეული უმაღლესად სულს ვიდრე ეს უკანასკნელი ამოუვა ადამიანს — ამიტომაც როცა თქვენს პაციენტებს ეშინიათ, ძალიან ცდებიან!

— ყველა შესავით რომ ფიქრობდეს, ოპერაციის წინ წნევას აღარ გავზომავდი — მიმიხვდა ბატონი ექიმი და დილის ცხრა საათზე დამიბარა.

ოპერაციისთვის განკუთვნილი თანხის გარდა, ცოტაოდენი კიდევ მრჩებოდა. ჩემს ბისტროში მივედი, სადაც ნატკა მეუღლებოდა, ისე ძალიან მინდოდა მისი ნახვა... არ დამხვდა. რომი და ფორთოხლის წვენი ავიღე და სახლში დავბრუნდი. ცუდ ხასიათზე დავდექი, მარტოობა მტანჯავდა.

ასე ცუდად არასოდეს მიგრძენია თავი. სივრცეში გაშლილი ლითონის დისპარმონიული გუგუნის გულ-გვამში ყველა უჯრედს მიწიწენის. ვწუხდები. საკუთარ სხეულს ვეღარ ვიტან. თავბრუ მეხვევა, შენობები, მანქანები, ხეები, დახლები, გაფითრებული ადამიანები, არაფრისმოქმელი თვალები, სიცრუე, ბოროტება, მასობრივი სიკვდილი — ყველაფერი კოსმიური სიჩქარით ბრუნავს ჩემს ირგვლივ და ლამპიონების სინათლეში ითქვიფება. სული მეხუთება, ნაბიჯებს ძლივს ვადგამ. გაჭირვებით ვაღწევ სახლამდე, მინდა სხეული გავიხადო და სადმე შორს, ჩემგან ძალიან შორს გადავავადო. ისე რომ ხელი ვერავინ ვერასოდეს შეახოს, ვერავინ ვერასოდეს დაინახოს! მაცივრიდან ყინული გამოვიღე, პოლიეთილენის პარკებში გავანაწილე და ორივე საფეთქელზე მივიჭირე. ცოტათი მეამა. ყურისწამლები, არაბუნებრივი წივილი შედარებით მიწყდა. ოღნავ დავმშვიდდი, მაგრამ ვიცი რომ სხვა დროს განმეორდება შეტევა და ეს მაფორიაქებს. ახლა ისე მენატრება ვინმესთან ერთად ყოფნა, როგორც არასდროს. თუნდაც ნატკასთან ან ელენესთან. მარტო ვარ. კედლებს ვასკდები. მინდა სიცივე, პარკებს ვავსებ, ისევ და ისევ, ისევ და ისევ, მთლიანად ვმიშვლდები და მთელ ტანზე ვიწყო

ყინულებს. მინდა ვიგრძნო, რომ ცოცხალი ვარ. ნახევარი ბოთლი რომი ვერ მშველის, სასმელი მეკიდება, აივანზე გავდივარ და უკანასკნელი ხმით ვყვირი — ადამიანო, მე აქ ვარ, შენს გვერდით!... თვალთ მიბნელებდა.

უთნია ვფხიზლდები, აივანზე ვგდივარ, ვკანკალებ, ბოროტი ბავშვებისგან ზამთარის სიცოვეში გაწუწული ძაღლივით ვკანკალებ. ისევ ხმაძალდა ვყვირი — მე მინდა სიცოცხლე! მზის ამოსვლას ველოდები, მარტო ის დამიბრუნებს დაკარგულ თავისუფლებას. სხეული მძიმეა და შებოჭილი. აი, ამოვიდა მზე და მე, როგორც ყოველთვის, ხელებგაშლილი შევეგებე მას. გაუთბი! დამეტყო სიცოცხლის ნიშანი...

ცხელი მზაპი მივიღე, საოპერაციოდ გავემზადე, ჩავიცვი, კარი ჩავკეტე, გასაღები სამალავში მოვათავსე და საავადმყოფოში წვედი.

ისეთი სიცარიელე არსოდეს მიგრძვნიდა, როგორც დღეს. ვერაფერს ვამჩნევ, არაფერი მესმის, არაფერზე ვფიქრობ, მხოლოდ ვიცი, რომ სადღაც უნდა მივიღე, რაღაც უნდა გავაკეთო, მერე სახლში დავბრუნდე ან არ დავბრუნდე. ან ამას რაღა მნიშვნელობა აქვს?! ჩემი ცხოვრება უმიზნო და აბსურდულია. როგორ შეიძლება ადამიანს ჩემსავით მძიმე სხეული ჰქონდეს? კარგია როცა კითხვები გიჩნდება და პასუხებს ეძებ!..

მედამ საოპერაციოში ტანზე გამხადა და რაღაცნაირი პერანგი ჩამაცვა, ღილები უკან ეკვრებოდა და ლურჯი იყო. საოპერაციო მაგიდა ცივი იყო და მსიამოვნებდა. წუთი არ გასულა ანესტეზიოლოგები შემოვიდნენ. წნევა გამიზომეს, — აზრი არ აქვს-მეთქი — წესიარო. მე ვინ მეკითხებოდა?! მაგიდაზე ხელ-ფეხი ქამრებით მიმიკრეს. მარწუხივით ინსტრუმენტი გამიკეთეს მარჯვენა ხელის ცერა თითზე, რაც დენს დაბალი სიხშირით ატარებდა. კარდიოგრამა ჩამირთეს, ცხვირზე სასუნთქი აპარატი მომარგეს...

\* \* \*

...მე, როგორც ყოველთვის, ხელებგაშლილი ვეგებები მზეს. ეს ერთადერთია, რაც მეუბნება, რომ ცოცხალი

ვარ! აივნიდან ნაბიჯი წავდგი. თეთრია მზის შუქი, დიდია მისი ნათელი, თვალს ჭრის მისი შარავანდელი, მაგრამ არ წავს, გადავდგი მეორე ნაბიჯიც... სადღა მიწა, საგნები, შენობები, მანქანები, ყურისწამლები ხმაური, სულისშემძვრელი სიცრუე ან ატომის მუქარა, მშვიდობის სახელით რომ ძერწავს ხოლმე მზამიან ნისლებს?! ეს მსიამოვნებს და წინ მივიწვევ, სულ წინ და გზა უსასრულო ჩანს და უენებელი, აქ არ არის ტკივილი და არც სხეულის სიმძიმე. მშვიდია უკიდევანო სივრცე. აქ დრო არ არის და ავისმომსწავებელი საათებიც არ წიკწიკებენ. ცოტაც და გამოჩნდა გული სივრცისა. ზის თეთრ ტანტრევაზე. პირველად ვარ ბედნიერი, მე მზისკენ მივდივარ! მაინც ვერ ვუახლოვდები, ვგრძნობ მის სიდიადეს და პირქვე ვემხობი, რადგან იგია სრულყოფილი და აბსოლუტური და ჩვენ შეგვიძლია ვკავდეთ მას... მე ავტირდი ბავშვივით, ცრემლი მდის უწყვეტად და ვვედრები — დაკარგე ნება და წამერთვა თავისუფლება, ვეღარა გხედავ და საკუთარ სხეულში ვკვდები!

— მე თვითონა ვარ ნება და თუ შეიძლება და ახლოს მოხვალ, მე შენ მოგცემ თავისუფლებას!

— სხეული მბოჭავს და იმაზე უფრო მამძიმებს, ვიდრე შენამდე მოსვლას სჭირდება!..

\* \* \*

...და მე დაუინახე საოპერაციო მაგიდაზე განრთხმული უსუსური ჩემი სხეული, მიგდებული სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე...

...მე დაუინახე ყასბებადქცეული ადამიანები, ჩემს შუაზე გახსნილ გულ-გვაშში ხელებს როგორ აფათურებდნენ...

\* \* \*

**პ.ს.** პალატაში რომ გადამიყვანეს, ელენე იქ დამხვდა. ნატკაც ჩემი ცხოვრების ნაწილია, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან მე არც სიყვარული ვიცი რა არის და ამიტომაც ვერასოდეს ვგრძნობ მის მოახლოებას!

### პოეტური ღუბი

რეკლიდან: „იას ვყუხარნი ცურფასა...“  
(ვაჟა-ფშაველასა და აკაკი (აკატერინეს) სიყვარულის ინტორია)

### ვაჟა ოთარაშვილი

I

აღუდამ ალვანურ ქათიბზე  
გაშალა სტუმრისთვის ტრაპეზი...  
წაიყვა...ალხინე ქალთამზე,  
ჯოფოლას ფაფახი მაქეზებს...  
წაიყვა...გასტაცე თავადებს,  
შენია, ეგ გოგო, ობოლი!  
მუცალი ჯიხვის ყანწს ამატებს,  
დაიწვას ამ არყის მომგონი...



წაიყვა...ახარე ხმელ წიფელს,  
 ჩარგალში ქორწილი გამართე...  
 არაგველ მოყმეთა ხელმწიფვე  
 იმერნი, ამერნი აგვანთე!...  
 ილია...ვაჟა და აკაკი...  
 გულმდღურად ვაღმერთებ ამ ტრიოს...  
 სამშობლოს მგოსანთა არაკი  
 მოელის დღეს ახალ ბახტრიონს...

II

ეპ...ნეტავი არაგვის პირს ვიწვე,  
 შენი მკერდის მქებოდეს ხაო...  
 მონატრების კულულს გადაარწვეს  
 ჩარგლის ტყეში ხარირემის ხმაო...  
 ვიცი გძინავს...ძილშიც დაგდევს დარდი,  
 აძლიერებს შუალამის წკვარამს...  
 და სიზმარში მონატრების ფარდა  
 ულამაზეს მოგონებებს ფარავს...  
 არაგვისპირს ისევ ბავშვებს ვგავდით...  
 წამო ეკუნ...წამო...წამო, ჩქარა...

III

შენ ხარ ყაყაჩო, ცეცხლს რომ მიკიდებს,  
 შენ ხარ შროშანი, მე რომ მიფარავს...  
 რა საოცარი მოგაქვს სიმშვიდე  
 და ის ხილვები, მე რომ მიყვარან...  
 კენტი შროშანი მწყვილეს ელის...  
 თავს შეაფარებს ტაძრის თბილ კედლებს,  
 მომენატრება მწველი სურნელი  
 და მის ხატებას ღმერთს შევაუდრებ...  
 გემუდარები, ნუ ამბატირებ,  
 ვინ მომისაჯა ყოფნა უშენოდ...  
 ტატოს იმედად იყავ კატინა,  
 ეხლა კი ვაჟას უნდა უშველო...

IV

აქ, ცაზე ვარსკვლავნი ქრებიან,  
 მე შენი მინთია ხატება...  
 იმერეთს რომ ღიხის მთებია,  
 იქიდან მკეჭნავენ სატევარს...  
 უშენოდ ჩავლილი წუთები,  
 საათის ისრების კანკალით...  
 სიზმარშიც კი ღამეს ვუთევდი  
 და მენტო— ეკუნა ვარსკვლავი...

V

მენატრები, მანძილს ჟამი ანაწევრებს  
 და სიშორე ვერ ცვლის ჟამთა დინებას...  
 ეგ ნისლეები — ბორბალოზე ანაწვევი,  
 ბოლოს მაინც ქარებს ექორწინება...  
 მენატრები... სიყვარულის აზვირთებით,  
 თვალწინ მიდგას გოგო შენი ბაღლობა...  
 არაგვს გაღმა ღრუბელს მხრებზე აზის მთები,  
 მყინვარებს კი ტრფობის ცეცხლი ალღობდა...

VI

გაიიორა...გაირიონა...  
 სატრფომ ლექსებში გაირონინა...  
 არ მიპოვიხარ ისე იოლად...  
 მადლობა უფალს, რომ მაპოვნინა...  
 ასი წლის წინათ ვიყავი შენთან...  
 არა მტოვებენ ეხლაც ფიქრები,  
 მაშინ მინდოდა რომ ჩუმად მეთქვა,  
 ასი წლის მერეც შენთან ვიქნები...

VII

შემოდის ღამე ჩუმად, ქისტვიით,  
 ლექსის ხურჯინით მე ქალაქს ჩაველ...  
 შენ უჩემობას ისევ მისტირი,  
 მამულზე დარდი გულს უღრღნის ფშაველს...  
 არადა ვაჟას იმედი შენ ხარ,  
 შენით საუსეა ჩარგლის ჯალაბი...  
 შორსა ხარ, მაგრამ მაინც შენ შეგხარ...  
 გნაღვლობ...არ მიხსნის აქაც დანა პირს...

VIII

ღმერთთან ნაზიარები,  
 ჩემთან თანაზიარი...  
 მთვარის ნაზი არეთი,  
 დღე იღუმალ-მზიანი...  
 ჩემი ჩარგლის ფერია  
 იასავით ასული,  
 მთები ნისლშიც მღერიან  
 თოვლით გადაპარსულნი...  
 აჰა, ჩემი ქოხი და  
 რაზიკაანთ ალაგი...  
 ფშავის ერთგულ მოპიკანს  
 გამიმრავლე ჯალაბი...  
 შენთან თანაზიარი,  
 სულ ვიქნები მზიანი...  
 აგიყოფდეს იანი!...  
 აგვიყოფდეს იანი!...

IX

დედაშენის შხერა მახსოვს,  
 რომ დაგვლოცა ორივენი...  
 ჩაუარეთ ბარისახოს,  
 გამოგვიდგა ძალი ღრენით...  
 ჩარგლის თავზე გახსოვს ზეცა,  
 წმინდა, როგორც უფლის თვალი...  
 მთამ რომ ნისლი აიკეცა,  
 დაძენილი ქარბორბალით...  
 ეხლა ისე მენატრები...  
 ათოვს მუცოს... ჩარგალს... ჟინვალს...  
 გასკდნენ გულზე ჩვენი მტრები,  
 უფლის ლოცვით მათზე წინ ვართ...

X

მთვარე ანათებს ჩარგალსა,  
სიჩუმეს მოხერხებს არაგვი...  
ვაჟა თავს წიგნში ჩარგავსა —  
ვუყვარვარ ეკას? — არა... კიიი!!!...

სჩქევს სიყვარულის არაკი...  
სადა ხარ ეკა... სადა ხარ,  
უშენოდ ჭკალა გადახმა...  
დარდით სულ დამაბეჩავე,  
რაზიკანთ ყორეს ქორები  
ნისლის მატყლებსა სჩეჩავენ...

კომეტური ღუმეტი

რიკლიდან: „იას ვუთხარი ცურფასა...“

(ვაჟა-ფშაველასა და კაკეს (ეკატერინეს)  
სიყვარულის ისტორია)

ენა ხვანტალიანი

I

დამსხდარან თითქოს დევები,  
კლდეებს გადაჰკრაუთ ბინდია...  
მოცურავს მთვარე ვეება—  
მთის ტყვეა, როგორც მინდია...  
გაშალე ლხინი-ნადიმი,  
ვაჟაო...შენ გენაცვალე ...  
პირველად ღმერთი ვადიდოთ,  
ჯიხვის რქა ცერზე დაცალე...  
სიყვარულს გზა ვერ აყოვნებს,  
განა რა უდევს ქორს წილი...  
აფრთხობს ხე-ხუეში ყვაგ-ყორნებს,  
მთაში არწივთა ქორწილი...

II

თითქოს სიხმრად ლექსს მიწერდი ტრფობით,  
ისეთს ჯერ რომ არავის არ უთქვამს..  
მხარზე სიტყვის გადებული თოფით,  
ქარს მოჰქონდა მთიდან შენი სუნთქვა...  
ღამე ისევ მონატრების ურვა...  
მოგილოცოთ იკორთა და გრემი...  
შენს ტრფობაში ისე გაგხვეულვარ,  
როგორც დილის ნისლში ფურირემი...

III

მიყვარს ია და სოსანი  
და წყაროები მთისაო...  
ვადიდოთ ღმერთი — ოსანა!..  
მადლით ძე დაუითისაო...  
გულს მონატრება მოთავსდა,  
ცეცხლი რომ მოუმატოსა...  
აღბათ ეს სწავდა შოთას და  
ეს აწვალებდა ტატოსა...  
იღვრება შენზედ ლოცვითა  
ქართული — ჩემი ენაო...  
დარდები ჯარად მომცვივდა—  
ლექსად ცრემლთ ჩამოდენაო...



IV

მთებია დაულაშქრავი,  
წყარო — წყალდაუშრობელი...  
კლდეთა რაზმი და ლაშქარი,  
ბუნება ჩვენი მშობელი...  
შენ გიმშერ, როგორც პირიშზე,  
მთას ნისლი ბურავს ლეჩაქად...  
ღრუბლის ბოლოებს დილის მზე,  
ბორბალოს თავზე სჩეჩავდა...  
ხარობს ეგ ტრფობის ნერგი, ვით  
გრძნობა, გაზაფხულს წვეული...  
ლექსი ბობოქრობს თურგით—  
კლდე-ღრეში გამომწვევდული...

V

ვიცრემლე... ვიცი არ მიწყენ,  
უშენოდ არ მსურს ბარია...  
მინდიასავით დავიწყე  
იებთან საუბარია...  
მოსაღამოვდა... კლდე-ღორღებს  
ბინდი დაეკრა ჩრდილებად...  
ნისლები გადაელობა,  
ღამე არ ემორჩილება...  
მხარზე გაგიდევს ხურჯინი,  
საგზალი მიგაქვს მწვემსებთან...  
ძე კიდევ იმას ვუჩივი,  
ტრფობით დამდაგეს ლექსებმა...  
ხან ოცნებებში ვნეტარებ,

რითმა გაიჭრა ველადა...  
 რად არ ვარ ახლა ნეტავი —  
 „ბახტრონისთვის“ ლელადა...  
 სიზმრიდან გამოვერკვიე,  
 სანთელს ანთებდა სანათა ...  
 ნისლი ენძელებს ეკმია,  
 მთვარემ რომ გამოანათა...

VI

გაიარაგვა...გაიალაზნა...  
 მთიდან ფიქრები მიჰყავს დინებას...  
 და მახსენდება წამი ანაზღად,  
 ღმერთმა შეხვედრა ჩვენი ინება...  
 პოეზიაში დავიღეთ ბინა,  
 ცაში ვეძებდით ოცნების ბგერებს...  
 შენთან ვიყავი ასი წლის წინათ,  
 შენთან ვიქნები ასი წლის მერეც...

VII

ხან ტყე გებრალვის და უშხერ,  
 ხან კაცს დაიცავ ჩაგრულსა...  
 ზოგან აქუსებ მაუხერს,  
 ჩარგალს ჩამაჰკრავ ჩანგურსა...  
 გესმის ბალახის... ცვარისა...  
 მზე გუმბათზეა ჯვარს ზედა...  
 როგორაც ფარა ცხვარისა,  
 ღრუბლებს მორეკავ ჯავრზედა...  
 ქვეყნისა მტრისთვის ხარ ტყვია,  
 არაგვს სტირს ჭალა ტრფობაზედ...  
 გულს ნატვრა დარდად ატყვია  
 შენს გვერდით ჯალაბობაზე...

VIII

ნეტა აღრე მენახე,  
 ჩემო თანაზიარო...

სიყვარულის ვენახი  
 ვერვინ დაგვიზიანოს...  
 ფსკენილზე ლოცვებს ნასკვავენ  
 ეკლესიის ზარები,  
 სული, როგორც ვარსკვლავი,  
 უფალს ნაზიარები...  
 ღმერთო შენზე მლოცველებს  
 ხელი კვლავ მოუძართე...  
 ჩარგლის მთებზე ოცნება,  
 გასცდა ტაძრის გუმბათებს...

IX

მახსოვს მინდვრებს ვაყოლებდით მზერას  
 და მიკრეფდი ეკლებიდან კუნელს...  
 ჩვენი ტრფობა რომ აღვწერო მჯერა,  
 არ გვეყოფა ერთი საუკუნე...  
 გული გიხმობს გზად მიმაგულ მხედარს,  
 ჩანჩქერები გადმოსჩქეფენ კლდიდან ...  
 მომენატრე და ხომ იცი გხედავ...  
 თუმცა შორს ხარ, რატომ გაგიკვირდა?...  
 ამინდივით ფიქრი ამერია...  
 აქ წვიმაა, მანდ კი გიდგას დარი...  
 ჩემთვის მთელი იმერ-ამერია,  
 მთის არწივის ემაგ საბუღარი...

X

მიყვარხარ ვაჟა შმაგადა,  
 რამ დაგაღონა ნეტავი...  
 ლექსთა მოვარდა შარადა,  
 მთებში გზებს გადაკეტავენ...  
 შენ კარ-მიდამოს შევნატრი,  
 შენს სახლთან ვარდის ბაღებსა...  
 მე აპრილი ვარ...შენ მარტი...  
 მაისი გაგვალაღებსა..



ლანა მანველი

MILA

ვერ იძინებდა, თავისუფალი პოეზიის კრებულსაც გული ვერ დაუდო. რამდენიმე ლექსის წაკითხვის შემდეგ დახურა და ტუჩები გაბუმტა. ასე პატარა გოგოები იქცეოდნენ, სელფის გადაღების დროს. მილას კი, ეს ჩვეულება მაშინ ახსენებდა თავს, როცა მოიწყენდა. წიგნი ფილიპის საჩუქარი იყო. ჩუქებადღე, ლურჯი ჯვრებით მოენიშნა ზოგიერთი ლექსი. ბრაზით მოისროლა და საწოლიდან წამოდგა. ბოლო დროს ბევრი რამ მობეზრდა მილას, მათ შორის ფილიპიც. რაღაცის შეცვლა უნდოდა, უაზრო და უინტერესო დღეები უზომოდ ღლიდა. დროს მისგან ბევრი რამ მიჰქონდა, მოტანით კი, არაფერი მოჰქონდა. სასიყვარულო თავგადასავლებითაც დაიღალა, რომელთაგანაც ერთიც არ აღმოჩნდა — „ერთადერთი და განუმეორებელი!“  
 წედან წაკითხული ეროტიკული სტრიქონები გაახსენდა. ამჯერად ტუჩი აიბზუა და ფანჯარა გამოაღო.

შუალამე იყო. ვიწრო ჩინი გამჭვირვალე სიბნელეს მოეცვა. უძველესი სახლები, ერთმანეთზე მიჯრით ჩამწკრივებულები უწყვეტ ენერგეტიკულ მბრუნავ ველს ქმნიდნენ. განმარტოებით, მხოლოდ ერთი შენობა იდგა — ანჯამებ დაჟანგული, დიდი ხნის წინ მოლურჯო-მოცისფროდ შეღებილი ტავერნა „Le moulin du diable“.\* ერთი შეხედვით, უკაცრიელსა და მიტოვებულს ჰგავდა, თუმცა სინამდვილეში ასე არ იყო. განსხვავებული და ცოტათი იდუმალი კლიენტები კანტი-კუნტად შედი-გამოდრიოდნენ გვიანობამდე.

ფილიპს ადარ შეხედება! Weekend-ზე\*\* ლუქსემბურგში წავა! ან იქნებ, სულაც შევებულება აიღოს და მცირე ხნით ლონდონში დაიკარგოს?! ვეველაფერზე უკეთ რაც ეხერხებოდა — ეს გაქცევა იყო...

უეცრად ლოცვა მოუნდა. ხელისგულები შეაერთა და თვალები დახუჭა. თითქოს ზარების რეკვაც მოესმა. რა უნდა ეთქვა? როგორ უნდა ელოცა? საფრანგეთში ტაძრები, მრევლის არყოლის გამო, ერთიმეორის მიყოლებით იკეტებოდა, უფრო მეტიც, იყიდებოდა.

ფანჯარა ღია დატოვა. სურნელოვანი, ფერად-ფერადი სანთლები აანთო და გარშემო მინერალური ქვები შემოუწყო. მობილური მოძებნა, ფარდაგზე დაჯდა და სანსკრიტული ლოცვები ჩართო. სუფთა ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. დახუჭულ თვალებს მიღმა სხვადასხვა გამოსახულებები დაღანდა. გაეღიმა. ბავშვობაში, ძილის წინ, ძალიან ართობდა ასეთი ხედვა. მანტრის ბგერით ჟღერადობას აყოლილი სხეული ტალღური ვიბრაციით ევსებოდა.

— სამყაროს შემოქმედო! დამენმარე! — ჩურჩულებდა და გრძნობდა თუ როგორ თავისუფლდებოდა ცუდი და უსაიმოვნო შეგრძნებებისგან, ნაფლეთებად დაშლილები უსასრულობაში ინთქმებოდნენ. სხეული მოუღუნდა და ფარდაგზე გადაწვა. არაფერზე აღარ ფიქრობდა, მხოლოდ საკუთარ თავთან შესახვედრად ემზადებოდა...

\* ეშმაკის წისქვილი (ფრანგ).

\*\* შაბათ — კვირა (ფრანგ).

NATHALIE

ნატალი სკოლის ავტობუსში ზუსტად თორმეტ საათზე ავიდა და ჩვეულებისამებრ მძღოლის მხარეს, მეორე რიგის განაპირა სკამზე დაჯდა. ფანჯრისკენ, მათეოს ამოსვლის შემდეგ გადაჯდებოდა. ყურსასმენები მოირგო და თვალბმინაბულმა ინდილასთან\* „ერთად“ დაიწყო ლოდინი.

ალბათ სიმღერის ბრალი იყო, ერთხანს რეალობას რომ გამოეთიშა. ცალი ყურსასმენი მოიხსნა და უკვე დაძრულ ავტობუსში მიმოიხედა. გაოცება და გულისტკენა ერთმანეთში აერთა — მათეო სულ ბოლო რიგში, პარალელურ კლასელებთან ერთად დამჯდარიყო და ღვარძლიანად უყურებდა.

— მათეო... — ძლივს ამოღერდა ნატალიმ.

— წინ იყურე, რას მომჩერებიხარ! — დაუყვირა ბიჭმა და სიამოვნებისგან გადაბადრულ მატილდას გადახედა.

უეცრად მოზღვავებული ცრემლები, სირცხვილ-ტკივილით, ფანჯარასთან მოკუნტულმა გადაყლაპა. თუმცა

გამუდმებით ენისლებოდა თვალები და პირს მაგრად კუმავდა, ხმამაღლა რომ არ ედრიალა.

ნატალი ხედებოდა, რაღაც ინტრიგას შეწირვოდა მათი გრძნობა, მაგრამ გული ვერ იჯერებდა და ახლო წარსულის ლამაზ კადრებს ებლაუჭებოდა:

მაგალითად, ტესტირების დაწყებამდე რვეულში თავჩარგულს, მათეო რომ მიეპარა და მოულოდნელი ფოტო გადაუღო. ნატალიმ გონებაში „მაუსი დააწკაპუნა“ და ის ფოტო „სანაგვე ყუთში“ გადაუმახა. გულმა მაშინვე სხვა კადრი მიაშველა, — სტრასბურგის კათედრალის წინ შხის გულზე ასახული მათი ჩრდილები. ისიც მალევე მოხვდა „სანაგვე ყუთში“.

სელფების მთელი სერია, შინაგანი წივილ-კვილით „წაშალა“. გზად შემოფეთებული ის ფოტოც მიაყოლა, თავადაც რომ ჩუმად გადაუღო, კიბეზე მჯდომს. ორი ფოტოს „წაშლა“ გაუჭირდა — პირველი, „Maison Kammerzell“\*\*-ის იყო. მათეომ სიურპრიზი მოუწყო და 15 თებერვალს დაჰპატიჟა. გვერდით მჯდომ ტურისტს გადაეღო მათი ჩახუტების კადრი და იმავე საღამოს, რესტორნის ფეისბუქგვერდზე გაეზიარებინა. შემთხვევით აღმოაჩინეს და გახარებულებმა გადმოწერეს. მეორე — საფრანგეთის ალპებში, ზამთრის კურორტ „მერიბელში“ გადაღებული. იმ დღის სხვა ფოტოებიც ჰქონდა. ეს ერთი ყველაზე მეტად ევირფასებოდა. მაშინ, ბევრი ისრიალეს თხილამურებით, ნატალი დაღლილობისგან ფეხზე ვედარ დგებოდა. მათეომ ხელში აყვანილი ატარა კოტეჯამდე... დაუვიწყარი და ულამაზესი კადრი — შხის სხივებით თუ სიყვარულით გასხვიოსნებული... ნატალის კიდევ უფრო აუწყლიანდა თვალბები, გონებაში ფოტოს მოფერება სცადა, ჰაერში თითებიც კი ასწია, მაგრამ კეფაში მთელი ავტობუსის შხერას გრძნობდა. გაბოროტდა და „დააწკაპუნა“...

მეორე დღეს, სილამაზის სალონშივე გადაიღო სელფი და ინსტაგრამზე შემდეგი ტექსტით ატვირთა: „თმა შვიკვერი, თუმცა დეპრესიაში არ ვარ...“

სახლში მისვლისთანავე კი, ოთახში შეიკეტა და მწარედ ატირდა...

\* Indila — ნამდვილი სახელი — ადილა სერდრაია — ფრანგი მომღერალი

\*\* La Maison Kammerzell — (1427-1589) სტრასბურგის ყველაზე ძველი შენობა, სადაც ამჟამად სასტუმრო და რესტორანია განთავსებული.

AMANDA et BERNARD

ამანდა სტრასბურგის ერთ — ერთი ცნობილი წიგნის მალაზიის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე, მარტო მივიდა. თავისუფალ კედელს მიეყრდნო და გარემოს შეგუება სცადა. არც თუ ისე ახალგაზრდა ებრაელი წყვილი, რომელთა აგანაც ერთი გამომცემელი, ხოლო მეორე მუსიკოსი აღმოჩნდა, იქ შეკრებილ საზოგადოებას ბაკამის კუნძულებზე თავიანთი მოგზაურობის შესახებ დაწერილ წიგნს აცნობდა. ჰყვებოდნენ თუ სად და როგორ დალიეს საუკეთესო



სასმელი, როგორი მოუწესრიგებელი აღმოჩნდა მათ მიერ ინტერნეტით დაქირავებული სახლი და ბინის მეპატრონემ, რომელიც სინამდვილეში სულაც არ აღმოჩნდა ნამდვილი მფლობელი, მოგზაურობის დასასრულამდე როგორ ვერ შეძლო სარეცხი მანქანის შეკეთება.

ამანდას ამ ყველაფერის მოსმენა ძალიან მოეზრდა და გარეთ გამოვიდა. წვიმა წვილიდა სვრიდა. ქოლგა გაშალა. სიმარტოვებ და უნუგეშობამ ერთიანად შემოუტია. უსწორმასწორო ნაბიჯებით გადაიარა კლუბელის მოედნის ქვაფენილიანი მონაკვეთი და „ლა ფაიეტთან“ ჩაუხვია. მცირე ხნით ჟურნალ-გაზეთების ჯიხურთან შეჩერდა. თვალი ბრმად მიმოაგლო ვიტრინაში გამოფენილი ჟურნალების ფერად ყდებს და გზა განაგრძო. წვიმამ უმატა. სახლში წასვლა არ უნდოდა. სიცარიელეს მოეცვა მისი სული. ქოლგის ქვეშ შეიყუჟა და გზას მიჰყვა. მაშინდა შეჩერდა ფეხქვეშ კიბის საფეხური რომ იგრძნო. მხერა მესამე სართულის ფანჯარასთან შეაჩერა. ფეხებს ბერნარის სახლთან მოეყვანათ...

მაშინაც წვიმდა. მან უკვე მესამე ფინჯანი ყავა შემოი-

ტანა. ამანდა კი, ვითომც არაფერი, იჯდა და ლოტრეკის ნახატების ალბომს ათვალიერებდა. მხრებზე მოხვია ხელი და თავისკენ მსუბუქად მიიზიდა, ის კი... მერე იატაკზე, მის მუხლებთან დაჯდა და თითებზე მოფერება სცადა, ამანდამ ხელი გაარიდა და სიგარეტს მოუკიდა. ხმა ჩაწეული მობილური უწყვეტად ანათებდა. ბერნარი ფანჯარასთან მივიდა, ამანდამ ქმრის ჯიუტ ხარებს ისევ არ უპასუხა...

წასვლის დრო დამდგარიყო. ქოლგა გასაშლელად მოაშხადა და დამნაშავეს ღიმილით გაიღიმა.

— წვიმას მიჰყავხარ...

— წვიმამ მომიყვანა...

— ქალი წამსვლელია... თქვა და შუბლზე აკოცა.

მერე დიდხანს იდგა ზემოთ, კიბის ბაქანზე და სადარბაზოს წრიული გადასახედიდან თვალს არ აშორებდა მიმაკვალს. სულ ბოლოს, გასვლამდე ახედა ამანდამ, უფრო გონებით დაემშვიდობა, ვიდრე მხერით...

დაბინდდა. 29 ოქტომბრის წვიმიანი, უღიმღამო და ტკივილით საგსე დამე დგებოდა.

ბერნარის გარდაცვალებიდან ერთი თვე გასულიყო...


### ვასილ ბასელია

\* \* \*

არ გერგო ბედი  
ფინჩისოდენი  
და ლამაზ მუხლებს  
ლოცვით იტყავებ.  
და ლოცვის შემდეგ  
შენი ორდენის  
ანგელოზები მოგაკითხავენ...  
მე ვერ ვესწრები  
შენს მწარე ლოცვას —  
საგსე, გაკვამლულ ზამთრის რტოებით,  
ვინ თქვა მიწაზე  
პოეტის მოცლა —  
ჩამოსული ვარ ციდან დროებით...  
ვწუხვარ, მწუხრით რომ  
მწარედ გაწუხებ  
ცელქი ბავშვებით ჩემგან მიტყეპილს...  
ნურცერთ კითხვაზე  
ნუ მიპასუხებ,  
ნურც ნუღარაფერს შემეკითხები...  
შემინდე,  
დაღლილს ამაოებით  
თუ გავცდი შენი ბედის ნაპირებს...  
... ჩამოსული ვარ ციდან დროებით  
და ისევ...  
ცაში წასვლას ვაპირებ...

\* \* \*

ეს ერთი ღამეც და გახსენება  
თბილი მზამივით უნდა დავცალო;  
ღამე ბერდება სვენებ-სვენებით  
და ფანჯარასთან დილა ბანცალობს;



... და ვიდრე სული კიდევ მრთულია  
ერთს გაუგვიჟდები და გაუმრთულდები —  
მოვეყვები დილას ამ უთენია,  
მოვალ და...  
თავზე დაგათუნდები...

\* \* \*

ლუკმას უფალს ვესესხები,  
ტყუილად ვენდე — ვისაც ვენდე,  
ამ მზამით და  
ამ ლექსებით  
გამაქვს თავი თვიდან თვემდე...  
გამოგონილ იმ დიდებით  
ბედის ტვერი ფუჭად ვწაღლე...

...ოდენ ზამთრის მითითებით  
გამაქვს თავი წლიდან წლამდე.  
დასაწერი იმ წიგნების  
სევდა ერთი ლექსით ვბლანდე...  
...დღეის მერეც ის ვიქნები,  
რაც ვიყავი დღევანდლამდე...

\* \* \*

მარჩიელივით არჩევანს ბოლოს  
ისევ შენს სახელს თუ ჩაუთქვამდი,  
მრავალთა შორის  
შენ ერთი მხოლოდ  
მიყვარდი ბოლო ამოსუნთქვამდი...  
მოკვდები?  
იმ სხვას მკვდარი გერჩიო,  
ნუ დაინანებ ცრემლს და ცხონებას...  
...დასწყველოს ღმერთმა — სამიდღემჩიოდ  
შეყვარებული კაცის ცხოვრება...

\* \* \*

მსურდა ასე, თუ ასე არ მსურდა...  
მერე კი წლებმა გზები დანადმა...  
მე მაშინ ვიყავ ძალიან ცუდად  
და ყველაფერზე ვიყავ თანახმა.

სადღაც სამარის ვიყავ მახლობლად  
ჭირისუფლის და ბახის თანხლებით...  
მას მერე ვფიქრობ და იმ თანხმობას  
მთელი სიცოცხლე არ ვეთანხმები.

### მთვრალი ლექსი (ღვინის სადღვერძელო)

გალეშილი ქვევრის მადლი  
სისხლში შემერევა როცა...  
ჯამში ლექსის ქარვას ჩავთლი,  
მერე ღვინით  
ღვინოს ვლოცავ...  
ბოთლია და  
ხაპია და  
„ჩეთვერი“ და  
მთელი ბოცა...  
რა საყვარლად გაპიარდა  
ღვინით  
ღვინოს როცა ვლოცავ!...  
როს ჭიქაში ჩაუბან ცოდვეს,  
ვახრჩობ ბოდვეს მტერ და აუზე —  
იმ ცარიელ ღვინის ბოთლებს  
მზით  
და ღვინის ლოცვით ვავსებ!..  
ლხინის ღღინზე დაუთვრები და  
დაუტკები და დაუბრუვდები...  
და არეულ დაუთრებიდან  
ფიქრით  
შენთან დაუბრუნდები...  
როს ღვინით და ხსოვნის ყინით

ალთა  
ბალთას აღარ მართავს...  
ვადღვერძელებ ღვინოს ღვინით,  
როგორც ძმაკაცს...  
ალალმართალს!.

\* \* \*

„შემოდგომის ყვავილებს  
დიდებასთან მივითან...“  
გალაკტიონი

ღუმს განწირული სულის ხავილი,  
ძლივს გაგაქვს ტანი ეკლესიიდან...  
ამ შემოდგომის  
ფერმკრთალ ყვავილებს  
შენ დიდებასთან ვედარ მიიჭან.  
თუ ფინჩხა ბედიც არ შეგეწია,  
დაგახრჩობს ლექსის კაცის აურა,  
სულ რომ ეძებდი რითმას ჰეიანს —  
არ ღირებულა თურმე შაურად.  
თუ მიწას მაინც ვერ დაქსნები,  
ფუჭია გედგას ცაში კარავი...  
არ იწერება ახლა ლექსები,  
არც წამკითხავი არ ჩანს არავინ.  
ამოხდილი გაქვს სული ხორციდან  
და თავში უზის სათქმელს წერტილი...  
ამ როკვიდან და ამ ხორხორციდან  
შეგრჩა ქვეყანა... ლექსდაწერტილი.

\* \* \*

და შენ უკრავდი აწეულ წარბით,  
მტკიოდა ნერვი და კლავესინი...  
...და ღამე იყო  
ცივი და ყალბი —  
გახარებული კაცის ლექსივით...  
და შეჩვეული ნოემბრის ქარი  
ჩვეულებრივად ახშობდა ბიზეს,  
მე კი გიწერდი,  
ათასჯერ მკვდარი,  
უკანასკნელი სიკვდილის მიზეზს...

\* \* \*

დახვავდა წლები გაჭრილ კარტივით,  
ორბი ვბერდები როგორც ნიბლია,  
თავს ვისულელებ იმ სიმარტივით —  
რომ სიბერესაც თურმე ხიბლი აქვს...  
ის, რაც არ მტოვებს არასდიდებით —  
ვერთობი ძველის-ძველი ზმანებით...  
(ბეჭედნატრული არათითებით  
დაბერდნენ ჩემი ლამაზმანებიც...),  
ტივით მიყვები დრო-ჟამს ჯიბრიანს,  
ტივი ტოკავს და  
ტოკავს სატივეც...  
...სიკვდილსაც, მგონი, რაღაც ხიბლი აქვს,  
არადა —  
მაგის დედაც ვატირე...



### ნობელი ბართია

\* \* \*

ვის არა ვკითხე  
ამქვეყნად, მაგრამ  
ვერაჟინ მითხრა,  
რატომ უყვართ  
ციმციმი თვალებს.

### ლოისის ცხის ლერწმებს

თითქოს და რაღაც გულზე მომწიწკნის,  
ამეშლებიან უმაღლ ფიქრები,  
როდესაც ქარის მიმართულებით  
ყველანი ერთად გადაიხრებით.

### ზაფხუბს

წლები გასულან, წლები გასულან,  
ო, მოგონებებს როგორ მივინებდი,  
რა დამავიწყებს პატარობისას  
ფეხის გულზე რომ მილიტინებდით.

\* \* \*

მადლობა დიდი,  
მადლობა დიდი  
სამყაროს ასე ლამაზად მომწყობს,  
კანონებიდან  
ყველაზე უფრო  
მიზიდულობის კანონი მომწონს.

\* \* \*

აქ, შარშან,  
ამ დროს,  
ჩია მოხუცი  
ხელის კანკალით  
ჰყიდდა იებს.

\* \* \*

გავდივარ გარეთ,  
მიგამგვანო  
იქნება ვინმეს  
და ასე მაინც  
გაგაყოლო  
ცოტა ხანს თვალი.

\* \* \*

ნეტავი,  
ახლა  
კახეთში სადმე  
მომასმენინა  
„ნეტაი შენა!“

\* \* \*

როგორ არა,  
ვცდილობ, მაგრამ  
ამაოა ეს ცდა, ვგონებ,  
ვერ იქნა და  
თავს საკუთარს  
თავი ვეღარ მოვაწონე.

\* \* \*

კიდევ კარგი, რომ  
გათენდა, თორემ  
გაუსკდებოდა  
უსათუოდ  
ერთ მამალს გული.

\* \* \*

არა, უთუოდ  
გავიგო უნდა,  
არ შეიძლება, ასე გაგრძელდეს,  
გამოხედვა აქვს ისეთი ზოგჯერ,  
არ შეიძლება, ლექსებს არ წერდეს

\* \* \*

ამა სოფლიდან წაიღო ვინ რა,  
ჩვენ რომ წავიღოთ, ბოლოს და ბოლოს,  
სულიერები ყველა ვართ, მაგრამ  
სულიერებით ცოტანი ვცხოვრობთ.

### კესანე

ეს სიტყვა თურმე  
ბერძნულია და  
„არ დამივიწყოს“  
ნიშნავს „კესანე“.  
რომც არა გეთქვა,  
ოდესმე განა  
დაგივიწყებდი,  
შენი კვენესამე?

# ღავით ახლოური

\* \* \*

ბუდეაშლილი მერცხლებივით ვეძებთ ერთმანეთს  
 ცხავატელები,  
 ჭურთვლები,  
 ცხრაზმისხეველნი...  
 რას მოვესწართ,  
 ეს რა ბედი დაგვყვა ღმერთმანი,  
 საკუთარ ჭერქვეშ ვედარა ვართ ღამისმთვევლნი.  
 სადღაა ის დრო, მშობლიური და საამური,  
 როცა ფრესკებზე ვკითხულობდი ლარგვისის სეგდას,  
 ღრუბლებს ვავედრებ, მომიკითხონ ჩემი ჟამური,  
 ჩემი ბერციხე — ქართველების მოხუცი დედა!..  
 ...სად წახვედიო —  
 წინაპრები მეკითხებიან,  
 არსად წავსულვარ, ისევ ქარჩოხს დავეხეტები,  
 დედის ხელები საჭედოვლემ ქვაბთან თბებიან  
 და ყველდაბისკენ მივიჩქარი გულისფეთებით...  
 რა ლამაზი ხარ, ახალგაზრდა, ასე შორიდან,  
 ახლოს რომ მოვალ,  
 ალბათ დამწვავს შენი ალერსი,  
 ნისლში ჩაფლული მეფერება ჩემი ცხმორი და  
 სამებისაკენ უფლის მაღლი მიხმობს ალევში.  
 წირქოლისა და ახშადურას ნახვა მწყურია,  
 კაბენზეც გეტყვიო —  
 მზისდარია,  
 მაინც სხვა არი...  
 ჩემს გზა-სავალზე კორინთა და საძვეურია,  
 სადაც წინაპრებს აღმერთებენ ნავროზაანი.  
 უნდა შევძლო და გადავლახო დარდის რიკოთი,  
 მერე მზის სხივი მივახატო ღრუბლის ქულაზე,  
 სატრფოს გულავით მელოდება ჩემი იკოთი  
 და ტატუნაანთ „ალავერდი“ ყანჩაურაზე.  
 მე მდიდარი ვარ:  
 ოსი ძმა მყავს, ოსი ნათლული,  
 რა მტერი უნდა მოერიოს იმათ სიყვარულს...  
 ჩვენ ერთად გვზრდიდა ღვთის ნება და მიწა ქართული,  
 ელამუნება ჯერაც კიდევ თბილი სიტყვა გულს...  
 წარსულიც გვახსოვს, არვინ იყო ჩვენი მძღვევი,  
 თუმც არ გვზოგავდნენ,  
 მოდიოდნენ ხაკის კიტელით...  
 საქვეყნო საქმეს განაგებდნენ ქვენიფნეველნი,  
 იერუსალიმს დაიბრუნეს ტაძრის კლიტენი...  
 ვინ შემაჩერებს,  
 როცა ქსანზე გული იწვევს და  
 პაპის ნაჯაფარს მედავება ვილაც ოხერი...  
 დასაწერი აქვთ ისტორია ბანდაისძეთა,  
 ნახვენ, როგორ დაამიწებს მტარვალს ოხირი.  
 ლომისის მაღლმა, დაიბრუნებს ქსნის ხევს პატრონი,  
 ღვთის დედა იცავს ჩემს სამშობლოს ჯვარ-ხედებიანს,  
 ძველ ციხეებზე ცეცხლს დაანთებს შანშე ბატონი  
 და ჩვენთან ერთად საფლავებიც ამხედრდებიან!..  
 ბუდეაშლილი მერცხლებივით ვეძებთ ერთმანეთს...



## ქსნის ხეობას

ველარ ვიშუშებ ჩემი წყალ-ჭალის ნატყვიარს,  
 მინდა დავბრუნდე,  
 მაგრამ გზა ჯერაც არ ჩანს...  
 იქ დედაჩემის ნაფეხურები ატყვია,  
 იქ საფლავების ცივი ლოდინი დარჩა.  
 ვფურცლავ დღიურებს — ატირებულებს ბალღივით,  
 ისევ ვინახავ  
 ქსანზე მოწვევებულ ყვავილს...  
 დავეხეტები ზიზნის მანტიით დაღლილი  
 და მონატრება გულში ხაროვით ბღავის!

\* \* \*

ჩემი გზა-ბილიკი დარდია და,  
 ასჯერ გაცვეთილი სინანული,  
 როგორ წაგვიხდა და გატიალდა,  
 მტერს რომ შევატოვეთ — ი მაშული...  
 აღარც ქარჩოხისკენ გავიხედეთ,  
 ვეღარც მოვიკითხეთ ძმა-მოყვრები.  
 გული მიეცემათ ა იმ ქედებს,  
 შენ თუ ახალგაზრდაში წამომყვები...

## შენა ხარ ევა

ჩამოშლილია მხრებზე დაღალი,  
 მუხლს ზემოთ ურცხვად მიიწვევს კაბა,  
 სურვილიც არ გაქვს ვნების დამალვის  
 და ცისფერ თვალებს მაცდურად ნაბავ.  
 მზეს მიელტვიან ცხელი წვივები,  
 და გაურბიან უბეს კერტებიც...  
 გალუმპული ხარ ვნების წვიმებით...  
 გვალვისთვის როგორ არ შემეტები  
 იცი და მიმხელ შეხსნილ გულისპირს,  
 ალბათ გინდა, რომ კოცნით დამღალლო...  
 აჰა, გავიღე გული გულის წილ,  
 აჰა, გაჩუქე მთელი სამყარო...

ამ ცისქვეშეთში შენი სადარი  
არც თვით მზეა და არც ღამის თევა...  
მე ღვთის ხატი ვარ, მე ვარ ადამი  
და შენ კი ჩემთვის შექმნილი ევა...

\* \* \*

ორმოცს უახლოვდები, იქნებ ცოტა გადაცდი,  
მაგრამ კი არ შშორდები,  
სხვა მიყვარდეს, არ მაცდი...  
არ გიცნობდი სულ ადრე, ახლა უფრო ვივსები,  
ხომ მოხვედი სულამდე  
დახეული ჯინსებით.  
არც ეს წლები გადარდებს — მოდიან თუ მიდიან,  
სიყვარული გადამდე  
და ფეხებზე გკიდია  
ასაკი და ღროება შენიცა და ჩემიცა,  
გახდა ამაოება  
შენს გარეშე ჩემი ცა...  
მთელ სამყაროდ იბევრე, მოგდევს უფლის წყალობა...  
ახლა უფრო იფერებ,  
მე თუ მკითხავ, ქალობას...  
ორმოცისაც იქნები... მაგრამ რა დროს წლებია,  
როცა შენზე ფიქრები  
ისევ ჩემთან წებებიან.

\* \* \*

ასე მგონია  
შეეცვალე ბედი,  
ვცხოვრობდი,  
სადღაც,  
ღრუბლების ზემოთ,  
თუ რამე ვთქვი და  
თუ რამეს ვწერდი,  
ისევ შენი ხმით,

უფალო ჩემო.  
არ დამიკარგავს  
იმედი ხვალის,  
არცა ვყოფილვარ  
სხვისი  
საშველი,  
მხოლოდ ბალახის  
მიმყვება ვალი  
ჩემს სამარეზე  
ამოსასვლელის!

\* \* \*

მამულო ჩემო,  
ყველამ დაგთმო,  
ყველამ გაგწირა,  
ჩამოგაქციეს,  
არ გაკმარეს  
ასჯერ გაყოფა,  
გაყიდულია  
ქართლის მიწა  
ნაწილ-ნაწილად,  
ფეხზე ჰკიდიათ  
შენი ყოფნა,  
შენი არ ყოფნა...  
მამულო ჩემო,  
არ ეღირსა  
ამოსვლა შენს მზეს,  
ამ ყრუ სოფელში  
აღარ ვიცი,  
ვიდას მივმართო...  
ხომ შესძელი და  
წამოდექი  
ათასჯერ ფეხზე,  
უნდა შეძლო და  
ერთხელ კიდევ  
წამომმართო!



### ანა ერისთავი

#### ჟაკვანთა

(ემდგენება არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას)

„ლალე, ლალე, დივლი და დალალე, ჩემო ლამაზო სამ-  
შობლო, შენ კი გენაცვალე“... — ბავშვობაში ხშირად რომ  
მღეროდა სევდიანად, გულში ჩამწვდომად, თვალებ აწყ-  
ლიანებული, ის ამოჩემებული სიმღერა გახშირდა სულში  
მარტვილობისას. ახლო მესობლები გაკვირვებულები, რომ  
იყვნენ, ამ ერთმა ციდა ყმაწვილმა, რა იცის სამშობლოს  
სიყვარული და ვინ ასწავლის მისთვის თავისდადებასო.  
ვინ იფიქრებდა, როდესაც დაფაჟკაცდებოდა, მამულისათ-  
ვის თავის შეწირვის მაგალითს გვიჩვენებდა ქართველებს,  
სულიერად აგვამაღლებდა, გაგვამხნეებდა და გამოგვაფხ-  
იზლებდა.

ქვეყნისადმი, მოყვასისათვის თავგანწირვაშია ქართველი ერის ისტორიის პათოსი და როდესაც დაფიქრდები თუ რამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდე, თუ რამ გადარჩინა ისტორიის შემხარავ ქართველებში რწმუნდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ თავისებურებამ. ეს თავისება სისხლში ჰქონდა გამჯდარი ერს და ქართველმა კაცმა კარგად იცოდა, რომ მისი სიცოცხლეცა და სიკვდილიც საქართველოსთან არის დაკავშირებული, რომ „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: ენა, მამული და სარწმუნოება“.

...მზე აფიცებდა ქართლის მიწას, შხის ოქროსფერ დისკოს წითელი სხივები ერია, უცნაური სანახავი იყო მინდორი, ყაყაობის თვალწმენველ მდინარეს თითქოს ცეცხლის ალი ქვია, მარტვილის ფეხქვეშ დაფენილი ყაყაობები იწვოდნენ...საწამებელი მოწყვით გამტაცებლებს, იცოდა წამება არ აცდებოდა, ჯვარცმას რომ უმზადებდნენ ქართველობისათვის, თავისუფალი კაცის გულში, თავისუფლების ზარები რეკდა, ცის თალი ეხსნებოდა მამულიშვილს, უფალს შესთხოვდა მოენიჭებინა მოთმინება წილხვდომილი ბედისა, „ბედი სასტიკისა და ლამაზისა“ აქამდე რომ მოიყვანა.

...ჯალათები თავის საქმეს აგრძელებდნენ და არ იღლებოდნენ... უჭერდნენ მარწუხებსა და ცეცხლით სცდიდნენ, შემინებული, დაბეჩავებული, დანებებული უნდოდათ, რომ ეხილათ., ერის სიწმინდეს — ბაირაღს ფეხი არ დაადგა, — ამითი აცოფებდათ ჯალათებს, ღოჯებს აჩენდნენ სიბრაზით. ...ჩიტების გუნდმა გადაუფრინა მინდორს, მზერა გააყოლა, გულით მათთან ნავარდს ნატრობდა:— გადამთიელო ვერასოდეს ვერ იგრძნობ ამ მიწის მადლსა და სურნელს, მიწისას, რომელიც თავისუფლებისათვის გვიბოძა უფალმა და ჩვენი წინაპართა სისხლით რომაა გაპოხილი, „ქართველი ერის გზა გოლგოთაა, ჯვარცმაა, ამაღლება და გასხივოსნება მომავალში“.

ძალიან დიდხანს გაგრძელდა დღე... მწუხრი დადგომას იგვიანებდა... სისხლის წვეთებით იწინწკლებოდა ბალახები, კანის ცოდვა ტრიალებდა, ცასა და მიწას ბზარავდა, გაახსენდა ბევრი რამ, ჩავლილი წუთისოფლისა, წმინდა ამბროსი ხელაიას სიტყვები ამხნევებდა: „გული სამშობლოს ეკუთვნის, სული ღმერთს, ხოლო ხორცი თქვენთვის მომიცია საჯიჯგნად მტერო“.

მარტვილისათვის ცა იხსნებოდა, მტრისგან დარბეულ, გადამწვარ ერთ-ერთ სოფელს, ყოველ დამით ღვთისმშობელი დასტირისო, გაახსენდა, თითქმის ყველა სამშობლოსათვის წამებულ წმინდანთა სახემ გაიელვა არჩილის თვალისწინ, ეს ამშვიდებდა და ნათელი გადასდიოდა ნაწამებ სახეზე. ღრუბლებში ჩანდნენ: მოწამენი დავითი და კონსტანტინე, ბიძინა, შალვა, ელიზბარი, იოთამ ზედგინიძე, ილია მართალი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, 300 არაგველნი და მრავალნი დიდმოწამენი და წმინდანნი, ზეცაში გალობა ისმოდა ანგელოზთა, შარავანდედსა ქარგავდნენ წამებულისათვის.

სადაც, შორს ძალი ეძუოდა ავის მოლოდინში, ალბათ სისხლის სუნი თუ ეცა...

ერთი ნაბიჯის გადადგმა იყო საჭირო, მხოლოდ ერთის— გაეთელა ფეხქვეშ ბაირაღი და წუთისოფლის მონა გამხდარიყო. 100 ათას მოწამეს, როგორ მიუუვალ ზეციურ სასუფეველში, განა ჩემი წინაპრებიც არ ირიცხებოდნენ იმ

წამებულთა რიცხვში, ჩემი ხატი და ჯვარი, დასაფიცარი, რომ შეეურაცყო, განა იმისთვის მეტყოდა ნანას დედა, შვილებს რა ვუთხრა, რა ვუამბო ამ ომისა.

გამხეცებული ჯალათი მიხვდა რომ ვერაფერს გახდებოდა ურჩ, გაკერპებულ ქართველთან, მასთან მთელი საქართველო იდგა — რა სჭირსთ ამ ქართველებს, სიკვდილს რომ არჩევენ მამულისათვის, ხომ იციან რომ ეს ომი არ დასრულდება, მამული ხომ სიკვდილს ურიგებთ, ისინი კი მაინც გვეჯიუტებიან: „ არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა“, მდერიან სიკვდილის გზაზე შემდგარნი, რა დიდი ძალა აქვთ, მზეც ტირის და ცრემლად იღვრება, ეს კაცი კი ლოცულობს სამშობლოსათვის და გულს მიკლავს მისი გაუტეხლობა.

აწამებდნენ დიდ ქართველ მამულიშვილს.  
(„ ხოლო უწყალოთა მათ მტარვალთა იწყეს რა მოჭრად თვითუელთა ასოთა ყოველნივე თითნი ხელისა და ფეხისანი მოჰკვეთეს თვითუელად სახსარ-სახსრად. და მერე, მაჯა-იდაყვნი, და მხარნი და ფერხნი კოჭებიდგან მუხლებამდე, და ესრეთვე თემონიცა“...)

...მახვილებით დაჩხეს, ტყვიებით დახვრიტეს.  
ხელ-თითების მოკვეთა დაუწყო, იესო ქრისტე იდგა და ჭრილობებს უხვევდა, ტანჯვას უმსუბუქებდა ვაჟკაცს, რომელიც საქართველოს სახეს და ლოცვას განასახიერებდა, სანთლად ენთო და იწვოდა, რომელიც წინაპართა სულის გამოძახილს იმეორებდა რომელშიც იწყებოდა არა მარტო ერთი კაცის სულის ამაღლება, არამედ ქვეყნის ამაღლება და გასხივოსნება.

ნაწილ-ნაწილ კვეთდა ჯალათი სხეულის ნაწილებს, უბედურ ჯალათს ქედუხრელი ვაჟკაცისა შურდა, რომელსაც არ დაუჩივლია, მარტვილობა შეუვალსა ხდიდა მამულის ციხე-სიმაგრეს, მისი სვლა თავისუფლებისაკენ წამების გზაზე გადიოდა. ეს გზა ღვთიური გზა იყო, რომელსაც ქართველი ერი აღუდაბებდა ათასწლეულების, მანძილზე.

— ხვალ, ისევ ამოვა მზე, მე სხვა მზე გამითბობს სხულს, ჭრილობებს დამიამებს და ზეცა შემიფარებს, მამულისათვის თავგანწირვა ყოველ დროს აერთიანებს ერს და ზრდის მომავლის ჯანსაღ ნერგებს.

რადაც ნათელი დასტრიალებდა ნაწამებს და ანათებდა მის გულს: წრფელსა და ალაღს, რომელზედაც ოქროცურვილით ამოქარგული ჯვარი ესვენა: ჩვენთან არს ღმერთი და საქართველო. სისხლიანი კვართის ჯიბეში იპოვეს წერილი, მტრისადმი მიწერილი:

„შენ რომელიც ავი გრიგალივით მოდიხარ ჩემს მიწაზე, ჩხვავ და წვავ უფლისმიერ ზვარს, ამხობ ათასწლოვან სახატე-სალოცავებს, კერას მიქრობ და თელავ თვალხატულა მინდვრებს და ჩხვავ ტყეებს, ნუ ამიძღვრეუ თავანკარა წყაროებს, ნუ მომიკლავ, მცხუნვარე შხის ქვეშ გარუჯულ დაკოჭრილ ხელებიან გამრჯე მთიბავს, ზამთრისათვის რომ ემზადება და ჩქარობს, არა გაქვს იმისი უფლება, გადამითელო იისფერი მინდვრები, სანთლად ანთებული გვირილები, თავთავდამძიმებული ყანები.

ჩემი ქვეყნის წარსული ათასწლოვანია, აქ წმინდათა ნატერფალებია, წმინდა ნინოს სანთელია დანთებული, ისაა ნათელია ამ მთისა და ბარისა.

ნუ მომიკლავ ქალს, ნაყოფით დახუნძლულს, ნუ შეაცლი თოთო კვირტებს, მოხუცსა და უმწიფოს ნუ აღენ მწარე

ცრემლებს, შენ მამა-პაპას არ უღვრია სისხლი ამ ქვეყნი-სათვის და ნუ მინგრევ არწივთა ბუდეს, სხვის კერაზე, ვერ ააგიზგიზებ ცეცხლს, ფუძის ანგელოზი შენი მწყალობელი არ იქნება, ხიზანი ხარ და როგორ მეტრძევი, ვერ წამართ-მევ, ვერც წარსულს, ვერც აწმყოსა და ვერც მომავალს. ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ საუკუნეების მანძილზე თავისუფლებისათვის და ის ბრძოლის ჟინი არ ჩამკვდარა ჩვენში, მშიშრებად არ ვქცეულვართ.

მე უსახელო უფლისციხელი ვარ, ვარძია ვარ, ზარზმა და სვეტიცხოველი, ილორი და გერგუტი, ნიკორწმინდა და გელათი, მოწამეთა და ბაგრატი, საფარა და ფიტარეთი, ბარაკონი და მინდა ციხე, დავით გარეჯი, მრავალძალი, იკორთა და ანანური, ალავერდი და სამება... მადლიანი მიწის ძახილი ჩამესმის და დამარცხების უფლება არა მაქვს. წმინდანების ნაცრემლზე ია და ვარდი ხარობს, მაკურნებელი წყაროები გადმოჩქებს, ჩემი რწმენა სანთე-ლივითაა კუნაპეტ ბაბილონში, ...შენ სნეული ხარ ბაბი-ლოვანო, განმეშორე. ჩემი ანბანი, ჩემი წიგნი, ჩემი ხატები წმინდათაწმინდაა, ვერ მოგვიშლი საბუდარს, სადაც ყველა

გმირია და მზად მყოფი ქრისტესათვის თავი დასდოს და მარადისობაში გაიცაიაგოს. ვერ წარტაცებ ჩემს სამშობ-ლოს ნათელ კართს უფლისას, გინდა წილი იყარო და ეს მთა-ბარი გერგოს, სიხარბით დაბრმავებულ, ვერ დაგით-მობ ამ ზვრებსა და მწვერვალებს, ვაზი არ მიგიკარებს, ნაყოფით ვერ დატკებები, ჩემსავით ვერ მოეფერები მზითა და მადლით ავსებულ მტკვნებს.

ბნელეთი სინათლით იძლევა, მრავალთა ნაკვალევს გა-დაშლის ქარი, ძნელბედობისას ამოკაწრულ სიტყვებს გი-ტოვებ, ქვებზე ამოტვიფრულს, წაიკითხე და ბანაკი აშაღე, წადი უკან არ მოიხედო, თორემ ქვად იქცევი, წადი!

გალეშილები ხარხარებდნენ და ქირქილებდნენ: რას არ მოიგონებენ ეს ქართველები, ჩვენგან თავის დასახსნელა-დო, ხარხარებდნენ დამარცხებულები და დასჩერებოდნენ ვაჟკაცის ჯერ კიდევ ცოცხალ გულს, რომელიც მზითა და ღვთიურ მადლით ივსებოდა.

თავისუფლების ქარიშხალი ეხეთქებოდა ქვეყანას, ზარი რეკავდა.

## გია ჯიჟონია

### ნანყვეტი სულის კონსტიტუციიდან


დიდ პოეზიას, აზროვნების უმაღლეს ფორმას, ყველა ეპოქის შედევრალურ მიგნებას რომ ჰგავს, არ ითარგმნება კლასიკური ეს ტრადიცია, რჩეულებისთვის განგებას რომ გადმოუცია, საუკუნეებს არ აძინებს და ასე ბორავს, მარადუკვდავი ჩვენი სულის კონსტიტუცია.

### ჩვენი თაობის კირბი

ჩვენი თაობა მისთვის ჩვეულ ლმობიერებით, მტკიცე განზრახვით და ღიმილშიც კი ძლიერებით, გასაცოდავდა ბევრი, თუმცა შემორჩა ჩვევა, როგორც ჰქონდა ღირსეული, ისე იქცევა, ასევე ბევრი ღირსებით თუ მანკიერებით, სილამაზით ან სისასტიკით გამოირჩევა.

### კორიბანტები\* ფრიგიაში

ხმოვნები დგანან გალაკული, მშვიდი თვალებით, აზიის ცხელი ღამეებით ძილგამკრთალები, ასონიშნები საბრძოლოა, როგორც მხედრული, ფრაზა, მასისთვის სტანდარტული, ტრაფარეტული, აზრები გაფრთხობს ერთმანეთთან შენამთვრალეები და ის ამბავიც უჩვეულოდ სიუჟეტური.



### ტრამალოს მგლის კირბი

მან აითვისა გადარჩენის ინსტინქტი როცა, ინსტინქტად ექცა გადარჩენის და ასე მორჩა, გამარჯვებასთან ის ეტაპი კვლავ ზიარების, ახლოს მოსვლასაც ვერ ბედავდნენ იმ დროს მხდალები, დასჯერდა იგიც ამომავალ იმ მთვარის ლოცვას, რა ქნას, მგელია მშვენიერი, ველურ თვალებით.

### კანონები ქალისთვის

მან თქვა: ქალისთვის კანონები არ დაწერილა, და დღის განრიგი, მითუმეტეს, არ გაწერილა, თუ დაიწერა, იცოდე, მას არ წაუკითხავს, არც წაიკითხავს (შენ კი გინდა, გითხრას, რომ იქ ხარ), რომც წაიკითხოს, ვერც გაიგებს იქ რა წერია და თუ გაიგო, არ გაღირსებს პასუხებს დიდხანს.

\*-კორიბანტები, კირბანტები, კირბების შემქმნელნი. ანტიკური ავტორების თანახმად, კორიბანტები, ქალღმერთ კიბელეს (ფრიგია) მსახური ქურუმები, რომლების აღმოსავლეთის ხალხებს უქმნიდნენ დამწერლობას, ასწავლიდნენ სახლის შენებას, ფუტკრის მოვლას და სხვა, წარმოშობით კოლხეთიდან იყვნენ.

ახალი ფესხაქმლის კირბი

ეს ფესხაქმელი როცა გუშინ ჩემთვის ვიყიდე, იმ ქვეყნად წასვლა ჩემთან ერთად გადაუწყვიტე. აქეთ ქუჩაში ათასგვარი ვნახე ზონდერი, გუშინ სხვა ციფრით, დღეს კი უკვე სულ სხვა ნომერით, ვიდრე ფესხაქმელს ამ შავ ზონრებს მე გავუყვრიდე, ერთხანს ვფიქრობდი, ჩამომეხრჩო თავი ზონრებით.

ლამაზი ქაღალდის

კოცნა სჭირდება დილიდანვე თურმე ლამაზ ქალს, მისი კისკისი კალორიებს უამრავს დაწვავს, მიშხიდველ ტუჩებს ღიმილებმა ფარდა ახადეს, რაც კი ფლირტები ოცნებისთვის მის სულს ადაგზნებს, იქ სიყვარულის ნაზი ცრემლი შეეხო წამწამს და ის ამბები, უჩვეულო, რაც გააზღაპრეს.

მარიანა პარნასელი

აჭარის მთებში

რეალობიდან ვდგეკარ არცა შორს, დროებით ვწყდები ქართლის მინდორ-ველს, რომ დაემგვანოს ქარი ქარაშოტს, პეტრას ციხეზე მაინც ვინდომებ ასვლას და აუალ და არა-მარტო, სადაც მეუღლის ნანგრევი ძველი, იქ მზე თითქოსდა სხვაგვარად ნათობს და მთვარის შუქსაც სხვანაირს ველი. პეტრას ციხიდან ზღვას გადავხედავ, ტაღლა ტაღლას რომ ეთამაშება, იდიდოს მათმა გვარმა, სახელმა, ციხე აშენეს ვინაც ვაყებმა. რომ ჩამოვჯდები ხეების ჩრდილში, წინაპართ სულებს პატივს მივაგებ. ხვალის იმედით, და არა შიშით მხერას გავტყორცნი მწველი მზისაკენ.

ძუძუსწყაროზე

ცხრა მერცხალი რომ ცაში გალობდეს, მოიძებნება მსმენელი მათიც... ღრმა რწმენით ჩავალ ძუძუსწყაროზე გულში ჩაკრული წმინდანის ხატი. ამ წმინდა ადგილს ხალხი ყვარობს და მეც გულ-გონებას განცდით ავაცსებ, რომ დავიჩოქებ ძუძუსწყაროსთან დიდი წმინდანის ფეხის ნავალზე. იქ წასასვლელად რწმენა მამზადებს, (თუნდ დავიფერფლო, მწველ არს ხან ხომ მზე) იმედითა და რწმენით აღსაუსე წყალს კრძალვით დავლევ ძუძუსწყაროზე. ძუძუსწყაროდან კი ჯვარზე ავალ, სადაც მრავალი მორწმუნე ადის! უნდა ავიდე, დრო მრჩება სანამ, გულში ჩაკრული წმინდანის ხატი!

\* \* \*

მეფე ერეკლეს ჯაჭვის პერანგს რიდით ვემთხვევი და ხმალს ნაომარს მოკრძალებით გულში ჩავიკრავ, ჩემო სამშობლო, არაფერი ზდება შემთხვევით, ქართველი რომ ვარ, ბედნიერი მე ვარ ამითაც. ქართველთა სისხლზე, მტვრად რომ იქცა ქართულ მიწაზე, მინდა დავაწყო უნაზესი იის კონები და ამ ყვავილებს მე მარადის უნდა ვ(ფ)იცავდე



სველი თვალებით, წრფელი გულით, ცხელი გონებით... მინდორ-ველები გადალურჯდა ია-იებით ჩემი სამშობლოს ამ გოჯიდან ბოლო გოჯამდე, მწამს ამ ყვავილის საოცარი ფერი, იერი, მსოფლიოს ყველა ადგილიდან უნდა მოჩანდეს. ჩემს ქვეყანაში ია-ია დედის ცრემლია, წყალი — ქვეყნისთვის დანთხეული წინაპრის სისხლი, მათი სულები შენდობას და ყვავილს ელიან, ვერ დავლევ, მაგრამ ერთი ჭიქა ღვინო დამისხით. მე ამ ყველაფერს უწრფელესით ვამბობ გონებით, გულწრფელი რომ ვარ, ბედნიერი მე ვარ ამითაც, მეფე ერეკლეს ჯაჭვის პერანგს ვეამბორები და ნაომარ ხმალს მოკრძალებით გულში ჩავიკრავ.

სად იყავ აქამდე?

(დემეტრეს)

გუშინ თუ ვერ ვთვლიდი ტკივილსა და სევდას, დღეს შენმა ღულუნმა ტკივილი გარიყა. ცარიელ სულს მხოლოდ სევდა თუ ავსებდა, დღეს ბედნიერი ვარ და მერე რა რიგად! დღეს ბედნიერების ღიმილი თანა მდევს და ლხენის ცრემლების ჩამომდის ნაჟური... მე შენ გეკითხები: სად იყავ აქამდე? შორს შენგან და ჩემგან ბოლმაცა და შურიც! დრო გადის და გაუა, დრო ჩემთან არ რჩება, წლებით თუ ვბერდები, განცდა არ მატერებს, ღიმილ-ალერსს შორის ვაკეთებ არჩევანს და მოგიალერსებ მშობელთა ნაფერებს. ვლელავ და სიმშვიდეს მე ვპოვებ წერაში და დავწერ ჩემს სათქმელს შეხვედრის ვადამდე. გულში ნაღვეთ სითბოს სიციფე ვერა შლის, პატარა ვაჟკაცო, სად იყავ აქამდე?



### ვინა ქალღანი

\* \* \*

თეთრ ნიჟარებში შემონახული  
 ბავშვობის წლები ისევ ხმაურობს,  
 საშინელია ისეთი ცოდვა,  
 რასაც სწადიხარ უსიყვარულოდ,  
 რამდენიც გინდა ილოცე მერე,  
 რამდენიც გინდა შესთხოვე ხატებს,  
 სხვისი ცხოვრება თუ გადაწერე,  
 შენი ცხოვრება დაგადალატებს.  
 ყველას თავისი ნიშანი აქვს და  
 გამობმული აქვს რაღაც ბაწარი,  
 კლდეს მონგრეული ლოდი თუ აგცდა,  
 არ შეიყარო თვალში ნაცარი.  
 დილა იფერებს სილურჯეს ზეცის,  
 წამს რომ დაემჩნე გიყვარდეს უნდა,  
 შენ, შენი წილი სითბო გაეცი,  
 დრომ ის ინანოს, რომ ვერ დაბრუნდა!

\* \* \*

პატარა გორში მიმოზების დამაქვს სურნელი,  
 შინდისის მიწას განახლების ელფერი დაჰკრავს,  
 მე დაბრუნებას ყოველ წამს და ყოველ წუთს ველი  
 და ეს იმედი გაცრუებულ იმედებს არ ჰგავს.  
 იქით მეძახის კელასური, მაჭარკა, დრანდა,  
 აქეთ ბანს აძლევს აჩაბეთი, ზეთი, კეხვი,  
 — ჩვენ დავბრუნდებით! — სიამაყით ამბობს მარაბდა,  
 დაწვევტილ სიმებს ჩემს ჩონგურზე ჰვიძებს კახეთი.  
 — ჩვენ დავბრუნდებით და ხსოვნებით ავივსებთ ჭიქებს,  
 გაიხარებენ ზემო ფშაფში მანდარინები,  
 პატვის მივაგებთ სამშობლოსთვის დაღუპულ ბიჭებს  
 და ზურგის მტერო, უხერხემლოდ გადაირევი.  
 გორის ციხიდან დღეს სამშობლო ისე დიდია,  
 ჭურვი კი არა, ვერ დაგვამსხვრევს თვითონ ეშმაკი,  
 ჩვენი ბიჭები შინდისიდან ტამიშს მიდიან.  
 ბონდის ხიდზეა გადაშლილი მთელი სენაკი.  
 — ჩვენ დავბრუნდებით! ამ იმედის ვსვამ სადღეგრელოს  
 და ამ იმედებს გულზე ვაყრი მთასა და მდელს,  
 ჭიჭე გორიდან ვეფერები ჩემს სამეგრელოს,  
 ქართლის გულიდან ალავერდი ჩემს საქართველოს!

\* \* \*

მხოლოდ ძველ ფოტოებს და ლექსებს შემორჩა  
 შენი სიზვიადე, წესი და ადათი...  
 ისიც კი არ ვიცი, „მადლობა“ მე ხოჩამ\*  
 ვის გადავუხადო და მიწვევს კამათი —  
 კამათი წარსულთან, დაკარგულ მიწებზე,  
 უიმედობაზე მომავლის აგება,  
 კამათი უდროოდ დაღუპულ ბიჭებზე  
 და სხვის შეცდომებზე თავის გამართლება.  
 კამათი გუშინდელ დღეზე და აწმყოზე,  
 შენ როცა დაიწყე, მაშინო მე მოვრჩი,  
 ჩემო აფხაზეთო, რა სამწუხაროა,  
 მხოლოდ ძველ ფოტოებს და ლექსებს შემორჩი...

\* - სვანი



\* \* \*

დმერთმა არ ქნას უმზეობა გამეფდეს,  
 არ გათენდეს, არ გაწვიმდეს, არ თოვდეს,  
 ღირსეული უღირსს შეიყვარებდეს,  
 უსინდისო სინდისზე კამათობდეს...  
 დმერთმა არ ქნას უღმერთობა მოგვედოს,  
 ერთმანეთის ბრმა-ყრუობა გვილხინდეს,  
 გულის ნაცვლად საგულეში ქვა გვედოს,  
 სითბოს ნაცვლად ვაგროვებდეთ სიხინჯეს...  
 დმერთმა არ ქნას, ქართველობა გვრცხვენოდეს,  
 დმერთმა ნუ ქნას, განმეორდეს ძმათ-შუღლი,  
 კითხვა, კითხვით, კითხვა იკარგებოდეს,  
 მომავლისთვის აღარ გვქონდეს პასუხი!

\* \* \*

არ გაგიკვირდეს არაფერი —  
 ისეთი დროა,  
 სიტყვა ფასდება  
 სიღძუით საუსე,  
 დმერთო ამდენი სისაძაგლე  
 ქვეყნად რატოა,  
 უბრალოებაზე თავი რატომ  
 არ დაიფასე?!  
 არ გაგიკვირდეს შინაური  
 ზურგის მტერივით  
 წამოგადგეს და დაგაყაროს  
 ქოქოლა ქვეების,  
 არც გაიფიქრო საკადრისი პასუხი გასცე,  
 რაში გჭირდება უზნეოსთან ამტკიცო შენი  
 სულის დიდება, სათნოება და სიმამაცე...

\* \* \*

ვერ დაბრუნების ტკივილებში იხრჩობა დარდი,  
 გაცივდა მიწა გაყინული დრო აღარ ხუმრობს,  
 იმ სითბოს მაინც ნუ წამართმევ შენ რომ მიყვარდი,  
 რომ მანსოვხარ და რომ გაღმერთებ, ჩემო სო ხ უ მ ო!

\* \* \*

ჩემი რომ იყოს დედამიწას, ცრემლს დავარქმევდი,  
აკრძალულ ხილით გამოვხდიდი არაყს ორნახადს,  
კეთილი ზრახვით გავაცდენდი ცოდვის გაკვეთილს,  
მერე სიკეთე თავისთავად სწორ გზას მონახავს.  
ნება რომ იყოს, ღმერთო, ისე გავთამამდები,

რომ სიყვარულსაც აგიხსნიდნენ ცელქი თვალები,  
ლამის საქვეყნოდ დავამტკიცო — ფუჭი ყოფილა,  
პლატონი, ნიცშე და კანტ-კუნტი იდეალები...  
მენუგეშება იცი ზოგჯერ გამოგონილი  
მითი, ზღაპარი,  
ჰო, უხდება გულის იარებს —  
ორსულ ქალივით ბედთანა ვარ წამოწოლილი  
და ველოდები ლექსი როცა იმშობიარებს!

## როზო სირბილაძე

### პეპელა

რა თენება და ლამაზია ჭრელი პეპელა,  
ნახეთ!..ჩემს კრებულს დაჰფარფატებს ეს სატიალე,  
ახლოს მიდის და თან გაურბის, თითქოს კითხულობს,  
ანდერძს,  
გადაშლილს,  
ჩემს გულისთქმას,  
ჩემს მატთანეს...

\* \* \*

მომეცი სიტბო, სიტბო უთვლელი,  
გაზაფხულმა, რომ აღარ გამათბოს,  
მომეცი თრობა მიუწვდომელის,  
სიყვარულმა, რომ ვეღარ დამათროს.  
მოდო, მაჩუქე შენი სურნელი,  
რომ აფერინდე და მზემ ვერ დამადნოს,  
მომეცი რწმენა, ძალა ულვეი,  
ლაჟვარდებში, რომ გავინაპარდო.  
შემაძლებინე შეუძლებელი,  
რომ მწვერვალები ზეცის დაგლაშქრო,  
შეუცნობელი, დაუძლეველი,  
დამაძლევინე გზები სალაშქრო...  
და მაპოვნინე ოქროს ფურცელი,



რომ ზეციური ცეცხლი ავანთო,  
ზედ მაწვრინე სიბრძნე უთქმელი,  
რომ ჩემი ხალხის გული გავათბო.  
მოდო, თუ არა მაგვიანდება,  
დღენი მიდიან, როგორც ღრუბლები,  
და რჩება მხოლოდ აკვიატებად,  
ჩემი სურვილი გამოუთქმელი.

## ქეთი ჯოლბორდი

### სტიქიაჰდე



თითქმის ყველა დაარწმუნე,  
საკუთარი სიჩუმის ზურგზე ამხედრებით,  
ნეკნებს შორის ლოცვა როგორ გიმძიმდება.  
ძვალში რომ არა იშვიათი თეთრის სიჭარბე,  
სევდის შემოსვლისას,  
ფარივით სიტყვებს  
ვინ გაგივლებდა რძეში?!  
ბუნებრივი სიტყბო და სიმბოლიკის მოქნილობა  
თუ გაგამსუბუქებს უარს ამ ხორციელი მადის კულტში,  
ამიტომ იქვე ვედრების კომპოზიცია —  
ხელები ცისკენ,  
თვალები სულში...  
ზმა — სიკვდილის არარსებული სიმაღლით — ჯავშანი ყელზე,  
რაც მეტი სიტყვა — დიდი მანძილი,

უპირობო ვზის გაშვება  
 ტკივილების ხელოვნური სიშორისთვის  
 და ექოსავით ბგერა  
 შინძლივსმოსული კაცის,  
 რომელიც ღმერთთან ბედავს გასაუბრებას,  
 გზადაგზა მწიფე ღიმილებით ნაშენებ ხიდზე...  
 ის კაცი, ბერკეტით შენი ვერტიკალებიდან,  
 ოღონდაც ცივი არ შეგნიშნოს, უხასიათოც...  
 სიმძიმის ნაპერწკლებიდანვე მზად რომაა,  
 ირიბი მზერის ცეცხლს შეუვარდეს.

**უხმო გადახრა**

როცა მომავლის მძვინვარება ჩაიძირება ილუზიებში,  
 ხმის სიყვარულის,  
 სიტყვების სიყვარულის მიუხედავად,  
 შენ არაფერი არ მკითხო,  
 რადგან სიფერმკრთალე უკეთ იმეტყველებს,

რომ ვერსაითკენ  
 ვერ ვიცვალე მხარი ზამთრისთვის,  
 და უფრო გაფიქრებდეს  
 პასუხი კითხვაზე — რატომ?  
 და უფრო გაშინებდეს ენაზე გადასმული აფაზია,  
 მოსალოდნელი სასჯელი —  
 შესაძლებლობა, აიტანო გაყურსული შენი სამყარო.  
 რა საჭიროა  
 მღუმარების ფეხისადგმა სიტყვიერ ნაბიჯებში,  
 ხსნაა სულ ახლოს,  
 თუ მხედავ, გესმოდეს,  
 შეხებით გიგრძნო.  
 რა საოცარია...  
 მაშინ, როდესაც ამ სიჩუმეზე,  
 გამოწურული გუგებიდან გესაუბრები,  
 სადაცაა სიყვარულმა,  
 უთქმელობით გამომამსხვრიოს.



**ნანა საბანაძე**

**ვაზის ფოთოლი**

გამოიკვართა ვაზის ფოთოლი,  
 ცივა და პირმშოს უბეში მაღავს.  
 ვაზო ქართულო, სისხლის ნაწილო,  
 შენა ხარ ჩემი დედაც და მამაც.  
 და მაგიწყდება ტკივილი მაშინ,  
 როცა ვამაგრებ ნასხლავ ტოტს ჭიგოს  
 ქალის ხელებით, სუსხშიც და ქარშიც  
 მასთან ვფუსფუსებ და მათზე ვფიქრობ...  
 ხანდახან, როცა დღე დღეს დაასწრებს  
 და მასთან მისვლას წუთი-წუთ ვცდილობ,  
 მონატრებული ჩამიჩურჩულებს:  
 „ამდენი ხანი სად იყავ შეილო?!“

**ეთერ ფაცური**

**მიყვარს**

მე მიყვარს მარტი თავის დღეებით,  
 თავის ცვალებად გამოდარებით,  
 მიყვარს მარტი და ქარი ძლიერი  
 ადამიანის მსგავსი ხელებით  
 ფანჯრის მინაზე რომ მიკაკუნებს,  
 მე მიყვარს მარტი, მიყვარს წვიმები,  
 თავის ცვალებად გამოდარებით.



# ელგუჯა ციგროვძილი

## მომნატრებია!

მახსოვს: გეფარავდა ღამის ფარდა და  
 გარს ჭინკებივით ხტოდნენ ჩრდილები...  
 ვერვის ვამჩნევდით ერთურთის გარდა,  
 ამურის ისრით დაკოდილები  
 და დახუნძლულნი ტკბილი კოცნებით,  
 თითით ვტუქსავდით სიოს, — ცქრიალას...  
 გულებს, პირამდე საესეს, ოცნებით,  
 ერთურთს ვახლიდით, — როგორც ფიალას.  
 ამ დროს ერთია ქება და გმობა...  
 გულიც შეუცნობ სიამით ხარობს,  
 გონების ტახტზე დამჯდარი გრძნობა,  
 „გულის თვალებით“ ხედავს სამყაროს.  
 გარდასულ დღეებს უხდება ქება,  
 მოგონებები მწვავენ მზესავით...  
 მე შენს კალთაზე თავის დადება, —  
 მომნატრებია სიცოცხლესავით!

## ეგ არი არაგველობა!

(ფშაურ კილოზე)

ქება და ლოცვა-კურთხევა,  
 წყევლა და ლანძღვა-გინება,  
 ერთი პირიდან ამოდის,  
 მოდი, ნუ გაგეცინება.  
 რასაცა ვთესავთ,  
 მას ვიმკით, —  
 უფალმა ასე ინება,  
 ჩვენზე ხელთ ნებას არი,  
 დაცემა-აღორძინება.  
 მომრავლებულა ბოროტი,  
 ცუდის კეთების მცდელობა...  
 გველობა არის ადვილი, —  
 ძნელია „არა გველობა!“  
 ბევრსა აქვს დიდი ქონება,  
 მცირეთ ხვედრია ქველობა...



ომში წასვლაა იოლი, —  
 ძნელია არაგველობა!  
 თავის გაწირვა  
 ცოტას გვსურს,  
 სული ხომ  
 თაფლზეც ტკბილია;  
 კარგს არ ვაკეთებთ,  
 სხვისაც გვშურს,  
 შურით მოკალით ილია!  
 ცრუ დიდებისთვის  
 მზადა ვართ,  
 თან არც გვსურს,  
 ვიყოთ ვნებული,  
 დიმიტრი უამრაგია, —  
 ერთი გვეყავს  
 თავდადებული!  
 ყველას წაგვიყვანს  
 სიკვდილი, —  
 იცის თავისი ხელობა...  
 სახელიანი რომ მოკვდე, —  
 ეგ არი არაგველობა!

# სალომე გოგოლაძე

## ანდერძი



ხატო ჩემო, გულო ჩემო, სისხლო ჩემო, უცოდველო,  
 სასთუმალთან მთვარე გიზის, მზე გინათებს მაღლა მდებლოს...  
 მთები, ვერცხლის აბჯარიან გმირებს ჰგვანან სასახელოს,  
 მაგ პატარა ხელის გულზე დაგეტევა საქართველო!..  
 თვალში სხვი უფლის მაღლად გედგენთება ცისფერ შუქად,  
 მუხლმაგარი ბერიკაცი ტოტებს გიწვდის ძველი მუხა.  
 შემოგვევლე პაწაწინა, აქ ვგრძნობ შენი გულის ფეთქვას...  
 სიოს სიზმრად გამოვატან ზღაპარს ულამაზეს ფერთა,  
 „ჭირი იქა, ფქვილი აქა“... მოსჩქეფს წყარო უკვდავების,  
 გაღმა ბებრის ნამოსახლარს ჰგვანან სოფლის ყორღანები,  
 შენ იძინე მშვიდი ძილით, გიდარაჯებს ანგელოზი,  
 ხატო ჩემო, გულო ჩემო, გამეზარდე სამხეოში...

სული გქონდეს, ისე წმინდა, როგორც მტრედის თეთრი ხუნდი,  
 ვერ მოუქსოვე შენთვის წინდა, ბებო, ისე დაუძღლურდი,  
 მხოლოდ სისხლი, მხოლოდ გენი,  
 მაგ ძარღვებში გიღულს ჩემი  
 და თვალები საოცარი დაგეოლია მამაშენის...  
 შენ გაბარებ, ამ მთას ამ ბარს, უპატრონე დაცავი,  
 და გახსოვდეს, რომ მამული არის ჩვენი საფიცარი,  
 ხატო ჩემო, გულო ჩემო, სისხლო ჩემო, უცოდველო,  
 მხოლოდ შენით, მხოლოდ თქვენით  
 გაბრწყინდება საქართველო!..

### თავისუფალი სივრცე

#### (გურჯები)

იბერთა ხნის ვარ,  
 ვერაფრით მომკლეს,  
 რა არ მინახავს,  
 რა არ მსმენია,  
 მე გმირი ვიყავ, ისე ვით ცოტნე,  
 მაგრამ გამცემი არ დამელია.  
 გამიბატონდა მრისხანე ხანი,  
 ამიწიოკეს მიწა ედემი  
 და აწყვეტილი, ვით დედოხარი,  
 ვებრძოდი მომხდურს თავგამეტებით,  
 ბრძოლის წინ ტანზე მაცმევედნენ აბჯარს,  
 შიშის ზარს ვცემდი კაცი მგლისთავა,  
 ვერ ამცდა მაინც დალატი, ტანჯვა,  
 სულგაყიდული ქართველისაგან.  
 რასაც მინგრევედენ კვლავ ვაშენებდი,  
 გარეჯს, ასპინძას, სხალთას, ვარძიას,  
 მიყვიის სისხლი აღმაშენებლის  
 და ტანთ მგლისფერი ჩოხა მაცვია,  
 როცა დამდება, მიმეჩქარება,  
 ხმალს მივაძინებ ვერცხლის ქარქაშში  
 და ჩემი ცოლი მერცხლისთვალეა,  
 არწვეს მძინარე მთვარეს აკვანში  
 და მერე როცა,  
 სისხლით გაპოხილ  
 აბჯარს გავიხდი გველისტანიანს,  
 მოდი და ისე მომიახლოვდი,  
 ვით ძუძუსავსე ამორძალია.  
 გურჯი ვარ, გურჯი,  
 გურჯად მოვკვდები,  
 ერთი ვარ მაგრამ, ათასს ვჯობივარ,  
 მტერო, იცოდე ჩვენი მომრევი  
 ამქვეყანაზე ჯერ არ შობილა!

#### თოვლი იბერთში

იმ ძველ სახლში,  
 იმ ძველ სახლში  
 მე ბავშვობა დამრჩა,  
 ახლა, ალბათ როგორ ბარდნის  
 ხეებს, ეზოს, ბაღჩას.  
 იმ ძველ სახლში,  
 ბუხრის ახლოს

სამერცხლეა ერთი  
 და შეღინდლულ ჩიტის ბარტყებს  
 ყოველ დილით ვჭვრეტდი,  
 მოფრინავდა თვალმახარა,  
 გულთუთრა და სკვინჩა  
 და ნელ-ნელა ბალახ-ბალახ,  
 სახლს აგებდა დინჯად,  
 იმ თბილ ბუდეს,  
 იმ თბილ კერას,  
 რა სურნელი ქონდა,  
 ბებომ ღილი დამიკერა,  
 მტრედისფერი ჰო და!...  
 მახსოვს როგორ მაჭრდებოდა,  
 ღვინობისთვის მადლი,  
 იმ ძველ სახლში,  
 ალბათ ღმერთო,  
 ბარდნის, როგორ ბარდნის,  
 მთელი დამე ქსოვდა ბებო,  
 თეთრი მატყლის წინდას,  
 შარშანდელი ქორს წაელო,  
 ქორს წაელო შინ და!...  
 ახლა მხოლოდ ცალი თვალით  
 ვუშხერ ცისფერ ნათელს,  
 იმ ძველ სახლში, სადაც ქარი  
 ვერ ჩამიქრობს სანთელს.  
 სადაც დადის დედაჩემის  
 სული ანათროლი,  
 ეზო-ეზო, ღობე-ღობე,  
 ეფინება თოვლი!..  
 სანამ კიდევ უდგას ფეხვი,  
 ანგელოზის კერას  
 და სიცოცხლე ანაკუნესი  
 მიხარია ჯერაც,  
 სანამ ისევ მეძახიან  
 შეფიფქული მთები,  
 მოვალ გზებით გადაღლილი  
 და ზედ დაგაკვდებით,  
 იმ ძველ სახლში,  
 იმ თბილ სახლში,  
 მე ბავშვობა დამრჩა,  
 ახლა, ალბათ, როგორ ბარდნის,  
 ხეებს, ეზოს, ბაღჩას!..

#### ტურენი

დათია პაპამ საშობაოდ კურატი დაკლა,  
 დათვრა სოფელი, დათვრა მიწა, დათვრა დათია,  
 ცხერის დუძასავით დაეკიდა მთვარე და სადღაც...  
 მთის ციცაბოზე სამიოდე ტურა აკივლდა...  
 ძილში დათია ალიცლიცებს სტუმრისთვის ჯამებს,  
 უღვაშზე ისვამს დათვისტორა ბოტოტა თითებს,  
 გაწვა სახლის წინ სისხლნაკლული ბებერი დამე  
 და ქარი ჩადგა სათივეში მოთოხარივე.  
 ველარ ეტევა ზღარბის ქურქში ყვითელი წაბლი,  
 სიზმარში ცოლი მოკაკანე კრუნ-წიწილს ითვლის,  
 ბაბუაჩემის ურემივით ჭრიალებს სახლი

და ეზო-ეზო ხორხოშელა ეშეება ფიფქის, შეკვილა ტურამ შმობიარე ქალოით სოფელს, აუთამაშდათ დეკეულებს თეთრი ცურები, კურდღლის ყურიოთ უცახცახებს ძარღვები ფოთლებს და მიწის მკერდში ბუბუნებენ საესე ჭურები.

ნაბიჯით ფრთხილით, კბილთა ღრჭრით, ღლიცინ-ღლიცინით, დავლურს უვლიან მძინარ სოფელს სისატურები, კაკლის ფოთლებში შეფერენილი ქარი სისინებს და იზლაზნება ბუხრის ალი საკვამურებში.

ვინა თქვა, ღმერთი რომ არა ჰყავთ დამშეულ ტურებს?!... აალბებული ნაკვერჩხლები უნთიათ თვალში, მოიშუშებენ ერთურთისგან დაკბენილ წყლულებს და ქვისთათება სისატურებს ლოკავენ ლაშით.

უხახუნებენ შშიერ ფერდებს ტურები ღობეს, ციცრის კვერცხით დაწინწკლულა შობის წინ დამე, ზამთარი თოვლის „ფუფეიკას“ მოუქსოვს სოფელს, რომ თბილ სამოსში გაახვიოს მძინარე მთვარე, როცა სიზმარი გადაგავა დათიას ცოლმა, საკეცით ფრთხილად შეადვიდა ბუხარში ცეცხლი, გამოეკიდა მგლისთათება ბებერი ლომა... ტურებს, რომლებსაც არ სწყალობდათ წუხელი ღმერთი, ყეფდა ნაგაზი და გარბოდნენ თოვლზე ტურები, ადგა დათია და გატენა ძველი ხირიმი, მიჭრიალებდნენ ორღობეში ქალაქს ურმები, დაფრთხნენ შაშვები და გაფრინდნენ ჟივილ-ხივილით, დილაა, შობა მიულოცა სოფელს დათიამ, წუხელი დიდხანს იჭუკჭუკეს ღვინით მთვრალეშმა, დათიას ღმერთი თეთწვერება გლეხი კაცია და თოვლი მოყავს საშობაოდ იისთვალება.

### წერილი მარიამს!...

გამარჯობა წმინდაო მარიამ, დღეს ღვთისმშობლობაა გავბედად და ასე, უბრალო ენით დაგვლაპაკები, გავბედად და გეტყვი, შენ რომ გიცქერი დედაჩემის მხერას ვგრძნობ შენს თვალეებში და რაღაცნაირად ვმშივდებები. მე ყოველ დღით ცახე შენი ფეხის ნაფეხურები მხვდება და ვხვდები, რომ წუხელ ჩემს ძილს შენ დარაჯობდი. შენ ჩემთვის ცოცხალზე ცოცხალი დედა ხარ, მე მრცხვენია, როცა ვაშავებ და კედლის იქედან ბავშვივით გამძვლები. ლოცვის მერიდება და ზანდაზან მალულად ვაპარებ თვალებს შენი სახისაკენ. ერთ დღეს მუჭით სულ ცოტა საქართველის მიწა მოგტანე, ჩემმა გოგოებმა მისახსოვრეს თომ და მაიკომ საქართველოდან რულუნებით წამოღებული, თეთრ ხილაბანდში გახვეული სათითაოდ დავინაწილეთ ემიგანტებმა. როგორც ცოცხალი დედა ისე დავიტირეთ და საკუთარი სატკივარი შევჩივლეთ. ახლა შენ და ჩემს წილ საქართველოს ერთად გეფერებით.

მე ემიგრანტი ვარ მარიამ!... როცა საქართველო დავტოვე გულში ჩახუტებულმა წამოგიყვანე და იმ იმედით, რომ შენ თუ ახლოს მყოფობდი ვერაფერი შემამინებდა. ასე მგონია ჩემი დაღლილი ხელი გიჭირავს, როცა მიჭირს, როცა ავად ვარ შუბლზე მადებ და ტკივილებს მიაძებ. ჩემო მარიამ, იქნებ აუცილებელი იყო მე და შენ ეს გზა ერთად გაგველო, რომ ასე ახლოს მეგრძნობ შენი ყოფნა. ჩვენ ემიგრანტები როცა ერთად ვართ, კრუხის წიწილებით ვეკრობით ერთმანეთს და ვთბებით, როცა მარტო — თავჩალუნულნი დავდევართ არეულ ბრბოში და ჩვენს ტკივილს ცხელი ნაღვერდალივით ვმაღავთ. აქ ყოველ მეორე ქართველ ქალს

მარიამს ედახიან უცხოელები და დედამიწის ყველა კუთხეში მიმოფანტული მარიამები — დავრდომილებს, ავადმყოფებს, მოხუცებსა და ბავშვებს ტკივილებს ეუმსუბუქებთ. როცა ჩვენი დედები და შვილები ჩვენს ხილვას არიან დანატრებულნი. კვების უჩვენოდ, იზრდებიან უჩვენოდ და ნელ-ნელა ეჩვევიან უჩვენობას. ჩვენ დიდი ზანია აღარ ვართ მარიამ. მხოლოდ იქ, საქართველოში მანამდე ვახსოვართ, სანამ ჩვენი დატოვებული სიკეთე ემახსოვრებათ ჩვენს ახლობლებს.

ჩემო ლამაზო ღვთისმშობელო!.. მე ჩემთვის არაფერს გთხოვ, მადლობელი ვარ ყველაფრისათვის. მხოლოდ გვედრები, ჩემი პატარა უცოდველი საქართველო გადამირჩინე. ეწლა მას ისე უჭირს, როგორც არასოდეს. ჯვარზე გაკრული შენი შვილივით მაჯებიდან სისხლის ნიაღვარი სდის და იტანჯება. ჩვენც მასთან ერთად ვიტანჯებით და მძიმე ქვასავით ვატარებთ ყელში გაჩხერილ ცრემლებს. ვატარებთ შიშს, რომ ჩვენს ქვეყანაში დაბრუნებულებს ის ლამაზი საქართველო აღარ დაგვხვდება, ლილეოს აღარ იმღერებენ და მრავალჯამიერს აღარ დასჭეკვენ ჩვენი ბუმბერაზი მთები. მარიამ, გვედრები ეს არ დაუშვა!.. ზვარაკად შეგეწირები. ჩემს გულს და სულს შემოგწირავ, ოღონდაც ჩემი დაფლეთილი საქართველო შენი მადლიანი ხელით გამიძილეთ. ქართველს სიყვარული ასწავლეთ. გული გაუთბეთ და ერთ მუშტად შეკარი. მერე ხომ ჩვენი მოძრევი ვერაზინ იქნება ქვეყანაზე.

დღეს ისეთი ლამაზი დილა გამითენდა. ფანჯარაში ოქროს გვირისტები შემომიგორა მზემ. შენი სათნო ღვთისმშობლივით სხივანაფენი და მადლიანი. ჩემო თავფლისფერო ღვთისმშობელო, მანდ ერთ ლამაზ ჩუქურთმებიან სახლში ჩემი ბავშვობა დავტოვე, დედაჩემის საფლავი დავტოვე, ერთი დანგრეული ეკლესია დავტოვე, კენტად ანთებული სანთელი დავტოვე და გვედრები, ნუ ჩამიქრობ ნურასოდეს!

### ძახილი

ჩემი სოფელი იქ არის, სადაც ყველაზე მაღალი და ლამაზი მთებია. ზაფხულში ქლიავისფერად იბურება იგი, ზამთარში კი ჭალარა შევერვა ხოლმე. მთიდან მდინარე ჯრუჭულა ხმაურითა და ზათქით მოედინება და ჩემს სოფელთან რომ მოვა, უხარმაზარი კლდის ნაპრალში ჩქერად გადმოვდის. სწორედ აქ იბადება ულამაზესი ჩანჩქერი, როგორც ქაფქაფა თეთრი რძე და წვეტიან ქვებზე თავგამოდებით მოხტის. მაღლა, ორ კლდეს შუა დაკიდებული ბეწვის ხილია, რომელიც საქანელასავით ირწვია. როცა ზაფხული დგება, კლდეებსა და მდინარის ნაპირებზე საუცხოო სილამაზის სურნელოვანი თეთრი ყვავილები გადმოვკიდება კლდის კალთებზე და ედემის ბაღივით ირთვება გარემო.

სწორედ, აქ მიმიწევს გული და აქ ვპოულობ ჩემი სულის საცხონებელს და ჩემი ოცნების კუნძულს.

სოფლის განაპირას, დგას ჩვენი ხის წითელკრამიტიანი სახლი და ასე მგონია მელოდება. შორიდან ვგრძნობ მის გულის ძგერას და ვერაზინ დამაჯერებს, რომ ეს სახლი მხოლოდ უსულო ქვის კედლებია და ადამიანივით ლოდინი და დარდი არ შეუძლია.

შევაბიჯენ თუ არა, მწვანე ბალახით დაფარულ, ხეხილითა და ყვავილებით გადაპნტილ ეზოში გული უცნაურად მიცემს. თვალით ვეძებ ჩემს საყვარელ ბებბაას, რომელიც სახლის ზღურბლზე დგას და მომდმარნი, სხივდაფენილი სახით შემომცქერის.

— რომელი ხარ გოგო შენ! — მეუბნება იგი და სახეზე და თმებზე მისვამს დაკოჟრილ თითებს.

— მე ვარ ბებო, მე!... ვერ მიცანი! — ვეუბნები და ჩიტვით სუსტ მხრებს გულში ვიხუტებ.

— მოხვედი? ბებია გენაცვალოს შენ!.. სად იყავი გოგო ამდენ ხანს? !..

— მოვედი ბებო, მოვედი!..

ბებიაჩემს სადა, რუხი ფერის წინწკლებიანი კაბა აცვია, ჭადარა თმებზე შავი თავსაფარი ახურავს და ნელი, მონომილი ნაბიჯებით ცალ ხელში ჯონდაბჯენილი დადის მუხლამდე ბალახში. მე ერთი სული მაქვს, როდის გავიზღი ფეხზე და როდის ვიგონებ მიწის საამურ სინოტივს დადლილ ტერფებზე.

— როგორ ხარ ჩემო ტკბილო ბებო? — ვეუბნები და ვკოცნი ჩამომჭკნარ ღაწვებზე, შრომისაგან დამზრალ ხელის გულებს და ვისრუტავ ნაცნობ სუნს ყველაზე ახლობელსა და საყვარელს!

ბებიას სიხარულისაგან მთელი სხეული უთრთის და ფეხებში ძალა ელევა. სად მიყვარე ჩემი ბარგი არც მახსოვს, ჩვენი ძალი კუდის ქიცინით გამორბის და მელაქუცება, გულზე მახტება, ენით მლოკავს.

ეზოში წითელი გეორგიები ყვავილობს, ღობის ძირებში კი, ქოჩორა ფურისულები შეყუჟულან, ბარხატის ფოთლები ფართოდ გაუმლიათ და მზეს ეფიცებებიან. ვენახში ბალი მწიფს და ფოთლებს ამრიალებს, მზე სხივებს ისე ისვრის, თითქოს უნდა შექარავით ჩაადნეს გულში ბუნებას. ეზოში ჩვენი ნაადრევი ვაშლის ხეც დამწიფებულა, კენწეროში წითელი ვაშლები მაცდურად ღუიან.

ეს ვაშლის ხე ბაბუაჩემმა დარგო, ბაბუა ხეებს ადამიანებოვით ესაუბრება, ყველა ხეს თავისი სახელი ჰქვია. მეც მყავს ჩემი სახელობის ალუბალი. თუმცა ჯერ თოთოა და სუსტ თითებზე მარგალიტის ბეჭდებოვით დაუბნევი თეთრი ყვავილები. განსაკუთრებით, ერთი ვაშლის ხე უყვარს ბაბუაჩემს, მკლავებზე სადაფისფერი ბუტკოები ებერება და ქარის შეტოკებაზე პეპლებოვით ფარფატებენ ისინი. როგორ მიყვარს ამ ხეების ყვავილთცვენა!... მათი საოცარი სურნელი, რომელიც მთელ სხეულში ჟრუანტელს მგვრის, გაზაფხულზე ეზოს არმიასავით მოედება ხოლმე ფურისულებითა ჯარი, აქა-იქ იებიც ურევია, ლურჯი, ვარდისფერი, თეთრი ფერის ხატულა ყვავილები პატარძლის არმიებოვით შემოველება მინდორს. ლურჯი პეპლები ფარფატით დანარნარობენ ყვავილებზე. დამდაბობით კი, ჰოი, საოცრებაჲ!.. ცა, თითქოს ვარსკვლავთა კორომს იხვევს თავზე. მილიარდი წვრილ წვრილი ხომლები შორიდან ციმციმებენ ჩვენი ეზოს თავზე. ვეღარ უძლებს ჩემი გული ამ სილამაზის ცქერას... ამ დროს ვერ გაიგებს ადამიანი სად ჯობია ყოფნა, მიწაზე თუ მაღლა ცაში. ღამით ციციანათლები მოდიან და სადღაც მიყვარ, ვარსკვლავთა ოკიანის სანახავად. ჭრიჭინები ჭრიჭინებენ ნაცნობ მელოდიას გარდასულ დროზე, ბავშვობის დღეებზე, ღამის სიჩუმეში დგას მხრებში მოხრილი ბებერი კაკლის ხე და ავსულობით ჩასაფრებია მგზავრებს. ბავშვებმა თქვეს, ამ ხის ფესვებში ჯადო მარხიაო! მე არ ვიცო რა არის ჯადო, მაგრამ ხე რომ კუდიან დედაბერს გავს უმთვარო ღამეში, ვხედავ. მე ციციანათლების შუქზე მივიკვლე ვზას და არაფრისაც არ მემინია. შევადებ ჩვენი სახლის ჭრიალა ჭიშკარს და სახლიდან გამომკრთალი შუქი ყველაფერს მავიწყებს. არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, რომ გეღიან და შენი სახლის ფანჯრებიდან შუქი გამოდის.

წლები გავიდა. ჯერ ბებიაჩემი მიიბარა მიწამ, მერე კი ბაბუა მიუწვა გვერდით საყვარელ მეუღლეს და დაცარიელდა ნელ-ნელა ჩვენი ეზო. მე ეს მოგონება იმხელა სედას მგვრის, იმხელა ტკივილს ბადებს ჩემში, რომ ლოდოვით მიმძიმდება გული. რა ჰქვია ამას ვერაფრით ვხსნი!..

წუხელ ბებია მესიზმრა. თავის ბოსტანში იყო და ფუს-ფუსებდა. გაზაფხული იდგა, ბებია კიტრისა და პამიდვრის ჩითილებს რეგადა. ყვოდა ჩვენი ბოსტინის მშვენება პრასის მოლურჯო ფოჩები, წვიმის წვეთებჩამდგარი, რა საოცარი იყო, ისე ვგრძნობდი ყოველივეს, თითქოს ცხადი იყო.... რა იყო ეს, რა სასწაული არ ვიცი, მაგრამ მგონი ეს არის სისხლის ძახილი, გაუწყვეტელი ჯაჭვი იმ სამყაროსა და ამ სამყაროს შორის, მე ხომ ასე ნათლად შევიგონებ მათ ყოფას, სადაც არ უნდა იყვნენ ისინი არ დაიკარგებიან ჩემს ხსოვნაში.

აღდგომა დღეს მათ საფლავებთან მისულს ასე მგონია, რომ მეღიან... მე რომ დედა მომიკვდა, ისიც იქ დავკრძალე ჩემი წინაპრების გვერდით, ვერ გავიძეტე ცივი და უგულო ქალაქისათვის. სადაც ყველაფერს მტკვრის ბული აწვეს. აღდგომა დღეს ამდენ მიცვალებულებს ხომ ყვოლება პატრონი... მე თუ ვერ მივალ ჩემიანი მივ ვინმე. ამოხედავს ამ მომლოდინე სულებს. ასე მგონია, ახლაც დგანან და მეღიან წვიმიანში, ქარიანში თუ თოვლიანში. იმ აღდგომასაც მივედი და ეზოს ჭიშკარი კი არა, სასაფლაოს პატარა კარები შევადე. თითქოს თვალები გაუბრწყინდათ, სახეზე დიმილი აუთამაზდათ ჩემს მოხუცებს. დემართო, არ ვიცო რა ქვია ამ შგერძნებას, ვიდექი და ვისუნთქავდი მათ საფლავებზე ამოსული ნარცისების სურნელს. დედაჩემს დიდხანს ვუყურე თვალებში და ვგრძნობდი, როგორ თბებოდა. მე დავინახე, ნამდვილად დავინახე, თუ როგორ ჩამოუგორდა გაყინულ ქვაზე ცრემლები და როგორ დაეცა გულზე. ცას ავხედე, ღრუბლიანი იყო, საიდანღაც ლურჯი სხივები გადმოფინენ და თავზე დამადგნენ. მე მივხვდი, ვიგრძენი მათი სიახლოვე და ჟრუანტემღმა დამიარა. ისინი აქ იყვნენ და მეფერებიდნენ. ავდექი, ბაბუაჩემს ერთი ჭიქა ღვინო წავუქციე, დახრული ძვლები დაეულბე, დედაჩემს წითელი კვერცხები გადაუგორე, ბებიას გულზე ამოსული სარეველა ბალახი ამოვგლიჯე და დიდხანს დავყავი მათ სიახლოვეს.

მიწაო, ჩემო დამბადებელო და მშობელო!... შემინახე ეს ძვირფასი ადამიანები. არასდროს მოაკლო მათ ნათელი და მომგონებელი. მე რომ არ ვიქნები, ნუტავი ვინ მოვა, ვინ იფიქრებს, ვინ დამინახავს დაუნახავში?!

დემართო, მაღალო, გვედრები არ გაწვევით ეს ძლიერი ჯაჭვი, რასაც სისხლის ძახილი ქვია, მერე აუცილებლად მოვა, მომაგნებს ჩემიანი. ჩემი სისხლი დაუძახებს და მოიყვანს ცხრა მთას იქედან. მოვლენ, ერთ ხელადა ღვინოს და წითელ კვერცხებს არ დამამადლიან ვინძლო... არაფერი იკარგება ამქვეყნად და არც მე დავიკარგები ცასა და მიწას შუა. ეს დაუწერელი მცნებაა სამყაროს ბრუნვისა და ასე იქნება, სანამ იარსებებს წუთისოფელი!

### ქაბრი (მგელი)

შემოდგომის პირს ცივი ქარები იცის ჯუთას ხეობაში. წვიმა ისე წამოუშენს ხოლმე ძვალ რბილში ატანს. ზის შუაგეცხლთან ლუკა მათურელი და სველ ტყავის ტყაპუჭებს ბუხრის ცეცხლზე ამრობს, იქვე ორნახალი არაყი და ღორი უდევს. ნივრისა და შავი პურის სუნი ტრიალებს ოთახში. თუთუნს ძველი კალენდრის ნახევში ახვევს და ერთი ამოსუნთქვით შუამდე ჩააყოლებს ხოლმე ფილტვებს. სასმელი მოეკიდა და თავმიდებულს მიეძინა. შუაღამე გადასულზე ცხენები აჭიხინდნენ თავლაში. ლუკა მაშინვე გამოფხიზლდა. წვიმდა დაქვევამდე. ცხენები, თითქოს რაღაცას დაეფეთებინა, ფლოქკებით კედელს ქნლებოდ-

ნენ და თავლის გამომტყვევას ცდილობდნენ. სანქაროდ ჩაიცვა ლუკამ ჯერ კიდევ სველი და ნოტიო ქურთუკი ტანზე ცივად შემოეჭდო. წინკარში გაგარდა. გააგებულ პირუტყვს სულზე მიუსწრო. თავლის კარები შეგლიჯა და მხოლოდ წამით მოკრა თვალი, ფანჯრიდან როგორ გაძვრა დიდი შავი მგლის ლანდი. იატაკზე დაიხედა ლუკამ, ფეხებთან ჯერ კიდევ თბილი და მოფართხალე სისხლიანი კვიცი ეგდო და სულს დაფუტა. ლუკამ კვარი მიანათა ერთი თვის დაბადებულ წითელ ბალნიან კვიცს და სახემოქუფრულმა უყურა კარგა ხანი. ლუკას ძარღვი უკრთოდა საფეთქელთან, კბილს კბილზე უჭერდა. მერე კი სწრაფად იძრო ბასრი, ძვლისტარიანი დანა ქარქაშიდან და ყელში გამოუსვა სულთმობრძვეს. სისხლმა შადრევანივით იფეთქა, ლუკას ხელები, გულსპირი და სახე სისხლით შეეღებო. ხმელი თივა ბლუჯა-ბლუჯა გაგლიჯა და ტანზე ჩამოსვა.

ლუკამ დაფეთებული ცხენები ძლივს გაიყვანა გარეთ და ეზოში დიდი მსხლის ძირში დააბა. იმ დამეს საშინელი ქარი და წვიმა დიდხანს ღმუიდა და სახლის დარბაზებს ეხლეპოდა, თითქოს უღრანიდან იხმოდა გააგებულ ნადირთ ტყეში ლაწალუწი და მტრევის ხმა არ წყდებოდა, გადაღმა მთებიდან კი სისხლნასკაში მგელის ყმული მოისმოდა, როგორც გამოძახილი შურისმაძიებლისა.

ლუკა უთენია ადგა, ქარი ჩამდგარიყო. ცხენები ადგილზე თქორავდნენ და თავდახრილი იდგნენ ტოტებალქილი მსხლის ძირში. ჭაკი არ იძროდა, ნესტოებდაბერილი ჰაერს ისუნთქავდა ხანდახან. ლუკა მივიდა და კისერზე მოეფერა, ცხენმა კისერი გადმოიგდო და მხარზე გადაკიდებულ თოფის კონდახს ნიშნულად დასუნა. „ნუ გემინია, ნუ, ქორია, ყველას თავისი მიეზღობა!— უთხრა ლუკამ და ცრემლიან თვალებზე აკოცა შეიშქვადარ ჭაკს.

დილის ნაწვიმარ მიწას ნემოს სუნი ასდიოდა. წითელი ხაოიანი ხავსი აყალო მიწაზე ხალიჩასავით გაფენილიყო. ლოკოკინას ვერცხლისფერი ძაფებით შემოქსოვა თავის სამფლობელო. მაღლობზე მზის მაცოცხლებელი სხივები არიანდას გორგალს შლიდნენ, საიდანაც შაშვი გამოვრდა და ჭახ-ჭახით გადაუფრინა გადაღმა მინდორს. ჯერ კიდევ სახლთან ახლოს შეამჩნია ლუკამ დიდი მგლის ნაბრჭყალები, ისიც კი იცოდა რა ზომის იქნებოდა ნადირი. თვალწინ დაუდგა კაცისხელა, აფოფრილ ბეწვიანი რუხი მგელი. ალბათ აქეთ მიძუნძულებდა პირზე სისხლმთხვრილი. არც კი ცდილობდა დამალვოდა ლუკას. ასე მგლური სინაგლით ტოვებდა იგი კვალს. შუადღემდე მისდია ლუკამ. ხან სუნით ხედეებოდა, ხან ბალნის ნაბუნდღარით საით მიდიოდა მგლის კვალი. მერე კი მდინარის პირას დაიკარგა, გვიმრინაში გადადიოდა კვალი. იქ კი ძნელი იყო ჩაყოლა, ძალიან ძნელი. ლუკამ იქვე, მდინარის პირას დაისვენა. პური და ლორი ამოიღო აბგიდან, ერთი ლუკმა ჩამოაჭრა და გაღეჭა. მდინარე ერთ ადგილზე ისეთი სუფთა იყო ფსკერზე კენჭებსაც კი დაითვლიდა კაცი. მზის სხივები აღმაცურად ეშვებოდნენ წყალზე. ლუკა ჩაიმუხლა და ტუჩებით კამკამა წყალს დაეწაფა. მიწა ისუნთქა, როგორც პური და ჰაერი, როგორც კვამლი. ესლა მას ნადირის ალღო ჰქონდა. ასე იცოდა ხოლმე ნადრობისას. სისხლი უცნაურად უყფოდა, გულიც უცნაურად უცემდა.

ადგა ლუკა და გზა განაგრძო. დაღამებულზე მიაღწია ფარულ გამოქვაბულამდე. ეს გამოქვაბული მარტო მან იცოდა, შესასვლელს ძეძვები მოსდებოდა, წვიმას ტალახი და სილა ჩამოეტანა და ამოეჭოლა ქვა-ღორღით. დანით გაკაფა ეკალ-ბარდი და ფიჩხი და ხმელი ტოტები შეხიდა ცეცხლის დასანთებად. ქამრის საღებში გზად ნანადირევი ნაცარი კურდღელი ჰქონდა გაჩრილი. ის-ის იყო კურდღელი

გაატყავა და თხილის ჯოხზე უნდა წამოეცვა, რომ საიდანაც მგლის ყმული მოესმა. ლუკამ თოფი მოიმარჯვა და ღამიანში გაუჩინარდა. სადღაც ახლოს იყო მგელი, გრძობდა მის სუნთქვას და პირზე მომდგარ ღორბლიან ქაფს, ახალგაზრდა არ უნდა ყოფილიყო იმასაც გრძობდა ლუკა. ალბათ, ეს მისი ბოლო ნადრობაა, თორემ ასე ცალად არ გამოერიდებოდა მოძმე მგლებს, — ფიქრობდა ლუკა, იცოდა ყველაფერ მათი ზნის და ხასიათისა. ახალგაზრდა რომ ყოფილიყო, მათთან ერთად წაიდოდა ნადავლის მოსაპოვებლად. ეს კი ახლა, გაბოროტებული და საშიშია, რომელიც სიკვდილის მოლოდინშია, სულის ამოხდომას ელოდება. იცოდა ლუკამ, იცოდა, რომ აღარ მოდგამდა მას ჯანი და ღონე, სირცხვილს მარტოობა ამჯობინა ამოტომაც.

კლდის თავზე მგლის ორი მანათობელი თვალი დალანდა. იდგა და უყურებდა, ისეთი სიმშვიდით და მოლოდინით, ისე ამაყად, როგორც ამ ბნელეთის მბრძანელი. ლუკამ გაისროლა, თითქოს ნიშანი მისცა მოუღივარ და მიფრთხილდო. მგელმა კისერი გადაიგდო და ვარკვლავებით მოჭიქულ ცას შეჭყმულა. ლუკამ ქვემოდან მოუარა, სადმე შეხედებოდა, სხვა გასასვლელი არსად იყო. ნელ-ნელა ზეცას განთიადის მაუწყებელი მკრთალი სხვები შეერივნენ. ლუკა კლდის ქიმზე იჯდა თოფმომარჯვებული, ხედავს აკერ დგას ისიც საპირისპირო მხარეს. ერთი ნახტომი და მასთან გაჩნდება, ერთი გასროლა და აღარ იქნება. ბასრი კბილები დაუდრჭიალდა მგელმა. გაცვეთილი ხმალივით ბზინავდა მისი ეშვები. „ვაჟკაცურად უნდა რომ მოკვდეს!“— გაიფიქრა ლუკამ. რაღაცნაირად ესმოდა კიდევ მისი. მგელი რომ ყოფილიყო ლუკა, განა ვინმეს დაანახვებდა, რომ დაუძღვრდა და ძველებურად აღარ შეუძლია ბრძოლა. მაგრამ ლუკა მგელი არაა და ამ კაცისტოლა მგელს მისი სისხლი მართებს ახლა. კარგა ხანს უყურეს ერთერთს, ლუკას მგელი მიზანში ყავდა ამოღებული. ის კი, თითქოს გაქვავებული, უძრავად იდგა და უცქერდა. ქარი რუხ ბალანს უწვევდა და მზის სხივები ელაფენენ მის ტანზე. ხედავდა ლუკა როგორ აუღ-ჩაუდიოდა მამაცი მკერდი. უცებ აიწია და უმაღლად გამოეფლო კლდის თავს. ლუკამ უკან დახევა მოასწრო მხოლოდ და გაგარდა კიდევ მისი ნაცადი თოფი, მიზანს არ ააცდინა ლუკამ, მკერდში დაჭრა ნადირი. ლუკა წაიქცა, ის კი ზემოდან მოექცა. იარაღი გადააგდო და ახლა კისერში წვა. მგელი საკებნად წაეტანა, სისხლი თქრიალით მოსდიოდა გაგლეჯილი ფერდიდან. ლუკაც სისხლში ცურავდა, ასე დიდხანს იჭიდავებს მგელმა და კაცმა. ლუკას ეგონა, რომ კბილი გაკრა მგელმა „დაჭრილი ვარო!“— გაიფიქრა. ვერა და ვერ დაღალა ბებერი, ძუ მგელი ლუკამ, ბოლოს, როგორც იქნა, ხელით დანას მიწვდა და ყელში გამოუსვა. მხოლოდ მაშინ მოემუა მგელი, მოდუნდა და ლუკას ძმასავით ჩაეწნა მკლავებში. „მაინც რომ თავისი გაიტანაო!“— გაიფიქრა ლუკამ. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლა ნამღვრილი ვაჟკაცივით. ლუკამ მოწყვეტით გადაიგდო ჩაბლუჯული ნადირი. ფეხზე წამოდგა და ხელით მოისინჯა ტანი. ცხელი სისხლის ოხმივარი ასდიოდა მის სხეულს. ლუკას რატომღაც შეებრაღა, ფრინველთა საძიძვნად რომ დაეტოვებინა იგი. დანის წვერით იქვე კაცის სიგრძე მიწა გათხარა და ასე მიაბარა სამარეს მოსისხლე მტერი.

დაღამდა და ბებრის მთვარე ამობობდა ცაზე. მდინარე თურვის ღმული მოისმოდა ხევებიდან. ლუკა სახლისაკენ დაღლილი ნაბიჯებით მიემართებოდა. საიდანღაც, მესამე მთის იქით, მოტირალი მგლების ყმული მოისმა, როგორც შორეული ექო.



## გიორგი ჭოლიაური

გიორგი მიქაელის ძე ჭოლიკაური (წიკლაური) 1934 წელს არხოტის თემის სოფელ ამლაში დაიბადა. სოფელ ხამხის (ინგუშეთი) დაწყებითი სკოლა დაამთავრა. სწავლა დარიალის არასრულ საშუალო სკოლაში გააგრძელა, რომელიც ვერ დაასრულა. უაღრესად ნიჭიერი მელექსე იყო.

\* \* \*

ვისთვის ვიცოცხლო, რისთვის ვიწვავლო,  
ვიღას ვუძღვრო ტკბილი ჰანგებით,  
ჩემგან დაკარგულ აღმასის თვალს,  
ვის უხეშ ხელში დაიჟანგები?!  
მე შენთვის ვქსოვდი ლამაზ სტრიქონებს,  
ყველაფერ ძვირფასს შენ გადარებდი.  
გიკრუფდი ვარდებს და იის კონებს,  
მეგონა შენს გულს გუგახარებდი.  
შავ მერცხალივით შორს გამიფრინდი,  
უშენოდ დამრჩა კვლავ სიმარტოვე,  
მე გადავადგე კალამი ხრამში  
და პოეზიის ცაც მივატოვე  
და რადგან ბედმა ასე გამთელა  
და რადგან ფიქრთგან ასე დამახშო,  
მშვიდობით, ჩემო ციციანთელა,  
ჩემგან ალერსით გაზრდილო ბავშვო.  
მშვიდობით, წავალ, სადმე, შორეთში,  
გავყვები ბნელს და დამეს უსიერს,  
ეგება სადმე გადავიშორო  
დარდები ჩემს გულს რომ შეუსიე.  
ავედევნები ღრუბელთ ქაოსებს,  
გამითავდება სიცოცხლის წლები.  
შორს, სადღაც, უცხო სასაფლაოზე  
დაისვენებენ დაღლილი ძვლები.  
დღე დღენს გაჰყვება წყებად და წყებად,  
როგორც ფოთლები მაღალ ვერხვების,  
სიცოცხლე შენზე ფიქრს შევალიე,  
სიკვდილსაც შენზე ფიქრში შევხვდები  
და რადგან ბედმა ასე გამთელა  
და რადგან ფიქრთგან ასე დამახშო,  
მშვიდობით, ჩემო ციციანთელა,  
ჩემგან ალერსით გაზრდილო ბავშვო!



\* \* \*

ოცდამეთექვსმეტე გელოცება,  
ოცდათხის დამეგათუელსა,  
ლოცვა კეთილადამც აცოცდება,  
ქალს, ნამუსის ქერქში დატეულსა.  
ვაკცე ვაკცე კიდევ ვერ ავაკცე,  
მომთოვს, მომთოვს შენსკენ დატეულსა,  
ნღობა ნამცეც-ნამცეც მიასკეცე,  
სულს ესაკენკები დამშეულსა,  
შენსკენ შენზე ლოცვით მომაცოცებს  
ჟამი ტაატითა სწრაფმავალი,  
ლოცვით გაგაერთე-გაგაოცე,  
მაინც მოუხდელი მრჩება ვალი.  
შენი კარგად ყოფნა მესმოდეს და...  
მეყო, ოლონდ, ნაღდად გიგონებდე,  
ჩემგან იდეალი გეთქმოდეს და  
თავს ჩემ დაწუნებით იწონებდე.  
ისე, მოსალოცის აბჯრად გითხარ,  
ნათქვამი ართქმულად მაინც რჩება,  
მაგრამ ამ გულიდან არ გადიხარ,  
ეგ მჭირს — აუხდენის აჩემება,  
ალბათ, კი არა და, მეჩვენება,  
სული შენდა მარად მეჩქერება,  
წადილს ნუმც სწერია შეჩქერება!

# ივორ ხარიჩვი

## პიკნიკი ზაქანზე

ერთმანეთს მეტროში შეხვდნენ.

— ხომ არ დაგავიწყდა, დღეს ჩვენი გაცნობის წლისთავია.

— დამავიწყდა, — დამნაშავესავით აღიარა კაცმა, — მაპატიე.

— წლისთავი უნდა აღვნიშნოთ. — ქალმა ჭრელი ქალღალდიდან ღვინის ბოთლი და შოკოლადის კოლოფი გამოაჩინა.

როცა ესკალატორით აღიოდნენ, კაცი მშვიდი ნეტარებით შეჰყურებდა, მერე გულში ჩაიკრა და ჩასჩურჩულა:

— გიხარია, ერთად რომ ვართ?

— კი.

— ძალიან მიყვარხარ.

— მეც ძალიან მიყვარხარ.

— საშინლად მომენატრე.

— მეც.

მეტროდან მიწისქვეშა გადასასვლელში აღმოჩნდნენ. კედლებს კომერციული ჯიხურების მკვეთრად განათებული ვიტრინები მიუყვებოდა, რომლებიც ათასგვარი ნივთებით გამოეტენათ — რადიოაპარატურით, ვიდეოკასეტებით, უხეში საბავშვო სათამაშოებით, საგლანტერეო საქონლით, სუვენირებით. კაცს სახე მოედუნა — ეზიზღებოდა მდარე ხარისხის ნივთებით გადაჭედული ჯიხურები და ქონმახები, ორი წლის წინ, ათას ცხრასს ოთხმოცდათორმეტ წელს სოკოებივით ერთბაშად, რომ ამოიხარდა.

ქუჩაში ცივი ქარი ქროდა, ქალს გრძელ, შავ თმებს უწაწავდა და სახეში წვრილ, ნემსივით მჩხვლეტავ თოვლის ფნტელებს უხეშად აყრიდა. ქალი ქარს ზურგს აქცევდა, იღიმებოდა და კაცს აღერსიანი თვალებით უყურებდა. ისიც მოსიყვარულე მხერით პასუხობდა.

ერთხანს, ერთმანეთს მიწყობილი ჯიხურების სიახლოვეს მიდიოდნენ. კაცი კვლავ მოიღუშა და აღმაცერად გაჰყურებდა საეჭვო ნივთებით გაძეპილ ვიტრინებს.

ქალმა უხასიათობა შეატყო.

— ძველებურად მხიარული არ ხარ, რა ხდება?

— არა... უბრალოდ საქმეებზე ჩაფიქრდი, — არ უნდოდა საკუთარ საზრუნავზე ელაპარაკა, — ვშიშობ, ამ სულელური ლიბერალიზაციის გამო ყველაფერი დაიღუპება, დადებითი ცვლილებების მოლოდინიც ამაოა...

ქალი უთავბოლოდ დიდ სახლში ცხოვრობდა, რომელიც მაღლობზე იდგა. ფანერით ამოჭედული გასასვლელები, მოგლეჯილი სახელური. ჭუჭყიან კედლებზე უწმარური სიტყვები ამოეკაწრათ. კაცი ამ ყველაფერს შეეგუა, რადგან საკუთარ სახლშიც ყოველდღიურად მსგავს სურათს ხედავდა.

ისინი ჭუჭყიან ლიფტში შევიდნენ, ყველა ღილაკი გადამწვარი იყო.

— ეს ქვეყანა ვერასოდეს აყვავდება. — გაღიზიანებით წარმოთქვა კაცმა.

— რა მოხდა?

— ხედავ, — მან ხელი ლიფტს შემოატარა, — ჩემთანაც ზუსტად ასეა, ასეა ყველგან, ეს უკვე ცხოვრების წესად იქცა. ჩვენს ხალხს მოწესრიგებული ცხოვრება არ სურს,



მისი მოთხოვნილება ბოსელია.

— დაწვინარდი, — თქვა ქალმა, თან თხელი თითებით ლოყაზე ეფერებოდა, — ვცდილობ ეს ყველაფერი არ შევამჩნიო, სხვაგვარად ჭკუიდან გადავალ.

ის ბოლოსწინა სართულზე ცხოვრობდა.

კართან ქურქის ჯიბეებს დიდხანს იჩხრეკდა, ხელჩანთაც გადააქოთა. დაბნეული გამომეტყველება ჰქონდა.

— გასაღები არ არის, — ქალს სახეზე უმწეო ღიმილი გამოესახა, — პოლიკლინიკაში შესვლისას ნამდვილად თან მქონდა. ალბათ, ქურქის გახდისას ამომვარდა. ქურქი სკამის სახურგეზე გადავიკიდე, კაბინეტთან.

— კიდევ მოძებნე. — სთხოვა კაცმა.

ჩანთა კვლავ ამოქექა, ქურქის ჯიბეები ამოაბრუნა — გასაღები არ იყო. ქალმა სვედიანად გაიღიმა. კართან იდგე და შესვლა არ შეგეძლოს, საშინელებაა.

— პოლიკლინიკაში წავიდეთ, — თქვა კაცმა.

— წავიდეთ.

გარეთ თებერვლის არასასიამოვნო ამინდი იდგა. ქარი ყველგან აღწევდა და აიძულებდათ უფრო მჭიდროდ შეეკრათ საყელოები. თოვლი ასფალტზე დაცემისას ტალახს ერეოდა, გზა ბლანტი წუმპით იფარებოდა და ქუჩა უხალისო, დაღვრემილი გეჩვენებოდა — გულგრილ, გამოხუნებულ ქალაქს თითქოს საკუთარი თავი მოებზრდაო.

პოლიკლინიკის პირველ სართულზე, გასაველელებში ჩატყედილი ჯიხურები ყოველი მხრიდან გავიწროებდნენ და ალყაში გაქცევდნენ. სასმელები, ვიდეოკასეტები, კოსმეტიკა, რადიოსაქონელი — ყველგან ერთი და იგივე. მკვეთრი ეტიკეტები, ფერთა და დასახელებათა სიუხვე.

„ღმერთო, აქაც შემოაღწიეს“, — ნაღვლიანად გაიფიქრა კაცმა.

მესამე სართულზე ავიდნენ, ქალი კედლის გასწვრივ ჩამწკრივებული სკამების ქვეშ იხედებოდა. პაციენტები დაკვირვებით ადევნებდნენ თვალს. გასაღები არსად იყო.

— მაპატიეთ, გასაღები ხომ არ დაგინახავთ?

— არა, — სვედიანი სახით უპასუხა განაპირას მჯდომმა ფაშფაშმა, ხანში შესულმა ქალმა, — ექიმს ჰკითხეთ.

ჰკითხეს. გასაღების ექიმმაც არაფერი იცოდა.

— შესაძლოა ვინმემ იპოვა და ქვევით ჩააბარა, — ექიმმა პირქუში მხერით ივარაუდა.

გასაღები არც რევისტრატურაში აღმოჩნდა და არც მეგარდერობესთან. ბოროტი ბედისწერა სახლში განმარტობის საშუალებას არ აძლევდათ.

— რა ვქნათ? — დაფარული ირონია გამოკრთა კაცის

ხმაში.

— არ ვიცი, — ჩუმად უპასუხა ქალმა და კაცს დამნაშავესავით მიაჩერდა, — მიბრახდები?

— არა, რას ამბობ... უბრალოდ, საწყენია.

ქარი ცდილობს საყელოში თავხედურად შემოვიძვრეს და სიცივისგან აგაცახცახოს. ქუჩაში ჭუჭყია, გუბები სანახევროდაა გაყინული და იძულებული ხარ ასფალტზე დამკვდარი ნაცრისფერი წუძვე ფეხით აზილო.

ქალმა ხელკავი გამოსდო.

— მაპატიე. არ მინდოდა.

— მესმის... — კაცმა გაიღიმა, — სახლში როგორ შეხვალ?

— ოთხი საათისთვის ბიჭი სკოლიდან მოვა. ინსტიტუტში რა ხდება?

— ცუდი ამბებია, — თქვა კაცმა, — ხელფასების დასარიგებლად ფული ისევ არ არის. გაუგებარია, როგორ უნდა იარსებო.

— შენი წიგნი?

— სასაცილოა. წელიწადნახევარი ვიმუშავე, პონორარით კი ხეირიან ქურქსაც ვერ შეიძენ. ამბობენ, სამეცნიერო-პოპულარული წიგნები ცუდად იყიდებაო. ბევრის გადახდა არ შეუძლიათ, — მძიმედ ამოიოხრა, — გონებრივი შრომით ვეღარ იცხოვრებ. რა იდიოტიზმია. არა, ამ ქვეყანას სწავლულები არ სჭირდება, — წყენით თქვა კაცმა.

— დამშვიდდი, — ქალი კაცს იმ ბავშვივით უყურებდა, რომელიც უნდა ანუგეშო, — ყველაფერი კარგად იქნება. დარწმუნებული ვარ, გრანტს მოგცემენ.

— მე კი არ ვარ დარწმუნებული.

— ცდები, — მკაცრად თქვა ქალმა, — საკუთარი თავი ასე არ უნდა განაწყო. სად მივდივართ?

მყუდრო ქუჩაზე მარტოდმარტო მოკალათებულ კომერციულ ფარდულს კაცი გაღიზიანებული შეჭყურებდა. ორი წლის წინ ცოლმა სამეცნიერო საქმიანობა მიატოვა და სამუშაოდ ფარდულს მიაშურა, რათა დღეგამომშვებით, დიდიდან საღამომდე მკვეთრ ფერებში შედებილ ჯიხურში მჯდარიყო და სასმელები, სიგარეტები და საღეჭი რეზინი გაეყიდა, არადა ცოლი ვაჭრობით მასზე მეტ ფულს შოულობდა. თავდაპირველად ამან შეაცბუნა. მერე შენიშნა, ცოლს ნივთებისადმი, უაზრო ლაყობისადმი დაუოკებელი ყინი გაუჩნდა და ისინი ერთმანეთისთვის უცხო ადამიანებად იქცნენ. ქალიშვილი — აი, რა აიძულებდათ ერთად ყოფნას. ასევე, ძველი გრძნობებიდან შემორჩენილი რაღაც ინერციის ძალა.

ქალიშვილს მამა უყვარდა — კაცსაც უყვარდა. ძალიან განიცდიდა, რომ ქალიშვილი ერთთავად დედის ჯიხურთან იყო ატუხული. ეშინოდა, დედის კვალს არ გაჰყოლოდა, რომელსაც წვრილი კომერციის, რაღაც ცარიელი, უდარდელი, უბადრუკი, მაგრამ მაძლარი ცხოვრების გარეშე თავი ვეღარ წარმოედგინა.

ისინი ქუჩაში აუჩქარებლად მიდიოდნენ და არ იცოდნენ რა ელონათ. უცებ, კაცს სახე გამოუცოცხლდა.

— ჩემთან, აგარაკზე წავიდეთ. გასაღები თან მაქვს.

თითქოს ჯიბრზე, ტროლეიბუსი კარგა ხანს არ გამოჩენილა. თანდათან გაჩერებაზე ხალხი შექუჩდა. მერე გადაჭედილი და დაღლილი ტროლეიბუსიც ჩამოდგა. უკანა ბაქანზე ძლივს ააღწიეს. მგზავრობის საფასური არ

გადაუხდია. ასეთ ჭყლეტაში, კონტროლიორმა ძალიანაც რომ მოიწადინოს, ბილეთს ვერ შეამოწმებს. ცოტათი რცხვენოდა და როგორც მსგავს შემთხვევებში, ახლაც თავს იმშვიდებდა, რომ ასეთი ხელფასით მორალური უფლებაც აქვს და ვალდებულიც კია უფასოდ იმგზავროს.

გაღიზიანებული მგზავრები იდაყვს ურტყამდნენ, ხელს შურგსა და ფერდებში უბიძგებდნენ, რასაც წყვილი ყურადღებას არ აქცევდა, ერთმანეთს თვალებში შეჭყურებდნენ და ღუმდნენ. მერე კაცმა ყურთან ჩასწურჩულა.

— მიყვარხარ.

ქალმა პასუხად თავი დაუკრა. ცისფერი თვალებიდან კი სიყვარულს ასხივებდა.

— მოდი, იქითა კვირას გამოფენაზე, ან კინოში წავიდეთ.

— მოგვიანებით თქვა ქალმა.

— კარგი. — დაეთანხმა კაცი.

სადგურში შესვლისთანავე კაცი მატარებლების განრიგს მივარდა. ქალი ფეხდაფეხ მიჰყვა. განრიგს შეხედა თუ არა კაცს სიბრაზე მოერია.

— ყველა ჩვენს წინააღმდეგაა, ყველა. მატარებელი ახლახან გავიდა. ორი საათი მოგვიწევს ლოღინი. ტროლეიბუსები განრიგს რომ იცავდნენ, მოვუსწრებდით. ახლა კი, რა? სამსახურშიც აუცილებლად უნდა გამოვცხადდე. არანორმალური ქვეყანაა. აქ როგორ უნდა იცხოვრო?

ქალი კვლავ ისე უყურებდა, როგორც ბავშვს, რომელიც აუცილებლად უნდა ანუგეშო.

— ნუ ჯავრობ, ყველაფერს ფილოსოფიურად მიუდექი. რატომღაც ვთვლით, რომ ბედმა ყოველთვის უნდა გაგვიღილოს. ერთმანეთს რომ შეგვახვედრა, ამისთვისაც მადლობა. სურვილები მუდამ არ სრულდება. მთავარია, ერთად ვართ.

კაცმა მოღუშული გამომეტყველებით შეხედა და ძალიან ძალად გაუღიმა.

უკან გაბრუნდნენ. ქალმა პატარა ხელი კაცის ძლიერ ხელს მოუჭირა. კაცი ღუმდა. გაღიზიანებამ თითქმის გაუარა, მაგრამ გონება კვლავ გამოსავლის ძიებაში იყო. წამის შემდეგ შესძახა:

— ბიჭს გასაღები სკოლაში გამოართვი!

ქალმა ნათქვამი გაიაზრა და ყოყმანით წარმოთქვა:

— არ მახსოვს, შესვენება როდის აქვს.

— სამიში არაფერია. თუ გაკვეთილი ექნება, კლასში შეიხედავ, მასწავლებელს მოუბოდიშებ და აუხსნი, რომ გასაღები დაკარგე.

ქალმა მხიარულად შეხედა.

— კარგი, წავიდეთ.

ამჯერად ტროლეიბუსმა არ დაიგვიანა, დასაჯდომი ადგილებიც იყო. ქალმა თავი მხარზე დაადო.

— ხედავ, ყველაფერი მშვენიერადაა, — თქვა ქალმა, — ერთად ვართ, თავზე არ გვაწვიმს, თბილა. ბედნიერების ოაზისია. შენც ბედნიერად გრძნობ თავს?

— თავს მეც ბედნიერად ვგრძნობ... — არც თუ ისე მხნედ უპასუხა კაცმა.

ფანჯრებს მიღმა ძველი, მოუვლელივით გაოხრებული სახლები მიცურავდნენ, რომლებიც ადამიანთა უსასრულო ლაყობითა და კაცობრიობის უთავბოლოებით გადაღლილიყვნენ.

— მოდი, პარიზში წავიდეთ. — ჩუმად თქვა ქალმა.

— პარიზში, — გაუკვირდა კაცს, — როგორ?

— როგორღაც. სხვაგვარი ცხოვრება მინდა. ლამაზი, მოწესრიგებული. შენც გინდა?

— მინდა. — შემწყნარებლურმა ღიმილმა გადაჰკრა სახეზე.

— ნეტავ იქ როგორ ცხოვრობენ? მათ სულ სხვა პრობლემები ექნებათ.

— ჰო, სხვა.

ქალის სახლთან ჩამოვიდნენ, გვერდი აუარეს ჭუჭყიან, რკინის ფარეხებით გადაჭედებულ ეზოს და პარალელურ ქუჩაზე გავიდნენ.

— ორი გაჩერება ტრამვაით გავიაროთ, — თქვა ქალმა, — უფრო სწრაფად მივალთ.

კაცს მხოლოდ ერთი რამ ეწადა — ქალის მყუდრო ბინაში რაც შეიძლება სწრაფად განმარტოებულიყვნენ. როგორც ჩანს, ბოროტმა ბედისწერამ, მთელი დღე უკან რომ დასდევდათ ფარ-ხმალი დაჰყარა.

კაცი ქალს სინარულით აღსაესე თვალებით უყურებდა, — მართლაც ლამაზია და ძალიან კეთილი. იდიოტია მისი ყოფილი ქმარი, ასეთი ქალი მიატოვა.

ტრამვაი არა და არ ჩანდა. კაცი საათს ახლა უკვე ნერვულად დაჰყურებდა, გაურკვეველობა მოსვენებას უკარგავდა.

— ალბათ, ავარიაა, — ჩაილაპარაკა ქალმა, — სხვა გზა არაა, ფეხით წავიდეთ.

— მაშინვე ფეხით უნდა წავსულიყავით. — კაცმა შუბლი შეიკრა.

— რას წარმოვიდგენდი ასე თუ დაიგვიანებდა. არ გაბრაზდე.

ოც წუთში ოთხსართულიან, მოსაწყენ, ნაცრისფერ შენობას მიუახლოვდნენ. კაცი ქუჩაში დარჩა, ქალი შიგნით შევიდა.

კაცი კვლავ საათს დააცქერდა და ივარაუდა, რა დრო დასჭირდებოდა მესამე სართულზე ასვლას, კლასში შეხედვას, მასწავლებლისთვის ვითარების ახსნას და გასაღების აღებას. წესით, უკვე უნდა მოსულიყო, მაგრამ არსად ჩანდა.

ქალი დამნაშავეს გამომეტყველებით დაბრუნდა.

— რა მოხდა? — განწირული ხმით წარმოთქვა კაცმა,

— რა, გასაღები შენმა ბიჭმაც დაკარგა?

— არა, — თქვა ქალმა, — მასწავლებელი არ გამოცხადდა, გაკვეთილი გაუცდათ და კლასელებთან ერთად სადღაც წავიდა.

კაცი მოდუნდა. იმედი, რომ ქალის ოთახში განცალკევდებოდნენ, საბოლოოდ გაქრა.

— ვგრძნობდი, რომ ბოროტი ბედისწერა თავს არ დაგვანებებდა, — თქვა პირქუში გამომეტყველებით, — აი, ესეც წლისთავი. ყველაფერი ამაოა, დრო ტყუილად დაგვკარგეთ.

— მთავარია, ერთად ვართ.

— მერე, აქედან რა სარგებელია?

ქალმა არაფერი უპასუხა.

უხმოდ ბრუნდებოდნენ. გვერდით ტრამვაიმ ჩაიგრიხინა, რომელიც კაცმა მტანჯველი მხერით გააცილა. ახლა, როცა საჩქარო აღარაფერია, ტექნიკის ეს ხმაურიანი ქმნილება მაშინვე აქ გაჩნდა.

— ნერვები არ აიშალო, — როგორც იქნა თქვა ქალმა, — გემუდარები. რა თქმა უნდა, ყველაფერში დამნაშავე

მე ვარ, გასაღები არ უნდა დამეკარგა. მეც განაწყენებული ვარ. ძალიან მინდოდა ჩვენი შეხვედრის წლისთავი აღგვენიშნა.

კვლავ დადუმდნენ. ძრავების ბუყბუყით საქმიანად დაჰქროდნენ ავტომობილები, თუმცა ვერ გაიგებდი სად მიეჩქარებოდათ. თავად კი აუჩქარებლად მიდიოდნენ.

უცებ ქალმა მზრუნველად შეხედა:

— ძალიან გეშიება.

— კი.

— არადა, სახლში კარგი სადილი მქონდა გამზადებული. ყველაფერი ცუდად აეწყო... წავიდეთ. — გადაჭრით თქვა ქალმა.

თავდაპირველად საფუნთუშეში შევიდნენ. ქალმა ფუნთუშა, მეზობელ მაღაზიაში კი მდნარი ყველი და შაშხი იყიდა. კაცი ირონიული ღიმილით აკვირდებოდა.

— პიკნიკს სად მოაწყობთ? — დაინტერესდა მაღაზიიდან გამოსვლისას კაცი, — ქუჩაში სიცივე და ნესტია. სადარბაზოში? სურვილი არ მაქვს.

— არის ერთი ადგილი, — მშვიდად თქვა ქალმა, — ნახავ.

კაცმა შეცბუნებით აღმოაჩინა, რომ მეტროსკენ მიდიოდნენ. მათ სიახლოვეს უკვე მერამდენედ იწელებოდნენ კომერციული ჯიხურების ვიტრინები.

მართლაც მეტროში შევიდნენ. მერე ქვევით დაემშენენ, ბაქნის ბოლოში გავიდნენ, სადაც კედლის გასწვრივ გრძელი სკამები იდგა და უკანასკნელ სკამზე ჩამოსხდნენ.

კაცი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალს. ქალმა პოლიეთილენის პარკიდან ამოაღა ფუნთუშა, ყველი და შაშხი, ღვინის ბოთლი კი კაცს გაუწოდა:

— გახსნი?

— შევეცდები. — მხიარულად თქვა კაცმა, აგარაკის დიდი გასაღები ამოიღო და კორპის საცობის ბოთლში ჩაგდებას შეეცადა.

გვირაბიდან ხმაური სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, მერე მატარებელი გამოვარდა და ვიწრო სივრცე გრუხუნით აავსო. მანათობელმა მართკუთხა ფანჯრებმა გაიელვა და მატარებელი გაჩერდა. უკანასკნელი კარი, ზუსტად მათ წინ ზოზინით გაიხსნა. ბოლო ვაგონიდან სადგურში არავინ გადმოსულა. მგზავრები ცნობისმოყვარედ შესცქეროდნენ ბოთლიან კაცსა და ფუნთუშიან ქალს. კაცმა უხერხულად იგრძნო თავი და ჩუმად წარმოთქვა, ცდილობდა ბუნებრივად გამოსვლოდა.

— ასე უნდა გვითვალთვალონ?

— ახლა ისინი წავლენ, — თქვა ქალმა, — და მათ აღარასოდეს შევხვდებით.

კარი დაიკეტა, მატარებელი მსუბუქად დაიძრა და ცნობისმოყვარე მგზავრები თან გაიყოლა.

კაცმა როგორც იქნა საცობი ბოთლში ჩააგდო, ღვინო დააგემოვნა და სიამოვნებით წამოიძახა:

— კარგია!

— მოდი, ერთმანეთი ვადღეგრძელოთ, უკვე ერთი წელია ერთად ვართ, — თქვა ქალმა და კაცს ფუნთუშის დიდი ნაჭერი გაუწოდა.

კაცმა ღვინო მოსვა, ბოთლი ქალის წინ დადგა, საოცრად ჰაეროვანი, გემრიელი ფუნთუშა ჩაკბინა და ყველის ნაჭერი დააყოლა. ნამდვილი ნეტარებაა. შორიდან კვლავ ხმაური მოისმა, მალე მატარებელი ჩამოვარდა, კარი გაიხსნა

და მგზავრებმა დაინახეს: ფუნთუშით პირგამოტენილი კაცი და ქალი ღვინის ბოთლით ხელში. სკამზე კი, წყვილს შორის, ცალი მხრიდან ჩამოტეხილი ფუნთუშა, ყველი, შაშხი და შოკოლადის კოლოფი იდო. პიკნიკი ბაქანზე. ყველაფერი ლოგიკურადაა: მათ ზომ ერთმანეთი ამ სადგურზე გაიცნეს, როდესაც კაცი მძიმე ჩანთის ტარებაში მიეხმარა.

„ცოლმა რომ დამინახოს, — წამიერად გაიფიქრა კაცმა, — ან თანამშრომლებმა. მეტროში ისე ვსვამ, როგორც უკანასკნელი ბომჟი... დაე, ასე იყოს“.

კარი კვლავ დაიხურა და მატარებელმა ცნობისმოყვარეთა მწერა თან გაიყოლა.

— ნამდვილად არ ხარ ნაწყენი? — ჰკითხა ქალმა.

— რის გამო?

— იმის გამო, რომ გასაღები დაუკარგე და დღესასწაული ჩაგიმწარე.

კაცი ქალს თვალელებში დიდხანს შესცქეროდა და ფიქრობდა: რა კარგია ამ ქალთან, თუნდაც აქ, მეტროს ბაქანზე, ასეთ უცნაურ ვითარებაში. მერე, ნახად გაუღიმა და უთხრა:

— არა, დღესასწაულს ველარაფერი წახდენს. ძალიან მიყვარხარ.

ქალი თავისკენ მიიზიდა და აკოცა. კაცმა გაიგონა სადგურში როგორ შემოგრიალდა მატარებელი, სვლა შეანელა, გაჩერდა და კარი გაიხსნა. ცნობისმოყვარეთა მწერაც იგრძნო, მაგრამ ეს მისთვის უკვე სულ ერთი იყო. დაე გვიყურონ, თანახმა ვარ.

რუსულიდან თარგმნა აკაკი დაუშვილმა

### პირჯინია ჰულფი

#### ჰერროგინია და ოქრომჭედელი

ოლივერ ბეიკონი ცხოვრობდა პიკადილიზე, მრავალსართულიანი სახლის ზედა ნაწილში, რომელიც გრინპარკს გადმოჰყურებდა. მის მყუდრო ბინაში სკამები წესისამებრ დაელაგებინათ და ზედ ცხოველების ტყავები გადაეკრათ. დივნები, ფანჯრების ნიშებს რომ ავსებდნენ — გობელენით მოეფარდაგებინათ. ფანჯრებზე, უფრო ზუსტად კი სამ გრძელ ფანჯარაზე, ზუსტად რომ შესაფერისი ტიულის ბადეები და ორნამენტებიანი სატინის ფარდები ჩამოეკიდათ. წითელი მაჰაგონის ბუფეტი დიდი სიფრთხილით გამოეტენათ შესაფერისი ხარისხის ბრენდით, ვისკითა და ლიქიორებით. ოლივერი შუა ფანჯრიდან დასცქეროდა ძვირფასი მანქანების პრიალა სახურაებს, რომლებსაც პიკადილის ვიწრო ქუჩა გაეკსოთ. უფრო მეტად ცენტრალურ ადგილს ვერც კი ინატრებდით. დილის 8 საათზე ოლივერი აუცილებლად შეექცეოდა შინამოსამსახურის მიერ სინით მორთმეულ საუზმეს, იგივე შინამოსამსახურე შემოაცემედა მქნამულ ხალათს, წაწვეტებული ფრჩხილებით უცებ გაფხრეწდა წერილებს და ამოაცურებდა იქიდან თეთრ მოსაწვევე ბარათებს, რომლებზეც მტკიცე ხელით ამოეკვეთათ ჰერცოგინიების, გრაფინიების, ვიკონტესების, გინდ სხვა ღირსეული ქალბატონების სახელები. ამის შემდეგ ოლივერი ხელ-პირს დაიბანდა, გახუხულ პურს შეჭამდა და ელექტრო ცეცხლის ციმციმა ნაკვერცხლებთან გაზეთის კითხვას მოჰყვებოდა.

— ხედავ, ოლივერ, — უმეორებდა თავისთავს, — შენ, ვინც პატარა, ბინძურ უბანში გაიზარდე, შენ, რომელმაც... და დახედავდა თავის ფეხებს, მოხდენილად რომ გამოკვართულიყვნენ შარვალში, თავის ჩექმებს, თავის წინდებს — ჰოი, რა კოხტა და პეწიანი ჩანდნენ და თანაც, სვილ როუელ საუკეთესო მკერავებს გამოეჭრათ საუკეთესო ნაჭრისგან. თუმცა, ხანდახან, ტანსაცმელივით შემოიძარცვავდა თავის ახლანდელ მეს და ისევ პატარა ბიჭი ხდებოდა შავბნელი ქუჩიდან. ახსენდებოდა, რომ ერთ დროს მისი მთავარი ოცნება ის იყო, როგორმე მოპარული ძაღლები მიეყიდა მოდაზე გამოპრანჭული ქალებისთვის უაითჩეპელში. აგონდებოდა, რომ ერთხელ ციხეშიც კი უკრეს



თავი. „ოჰ, ოლივერ“, მოსთქვამდა ხოლმე დედამისი, „ოჰ, ოლივერ! გონს როდის მოგეები, შეილო?“ ახსოვდა, რომ დახლიდარადაც მუშაობდა, იაფფასიან საათებსაც ჰყიდა, საჭირო კონვერტის მალულად ჩატანაც ზომ მოახერხა ამსტერდამში... ამის გახსენებაზე გულიანად ხითხითებდა — დიდი ოლივერი პატარა ოლივერს დასცინოდა. ჰო, მერე იმ სამი ბრილიანტისგან კარგი მოგება ნახა; ზურმუხტისგანაც მშვენიერი გასამრჯელო გამოუვიდა. სწორედ ამის შემდეგ გახსნა კერძო სახელოსნო ჰატონ გარდენზე, მაღაზიის უკან — სასწორებით, საიმედო და სქელი ლუპებით სავსე სახელოსნო. შემდეგ... შემდეგ... ისევ ხითხითებდა. ადრე, როცა ოქრომჭედლებს ჩაუვლიდა ხოლმე, ცხელ საღამოს ერთად რომ შეჯგუფდებოდნენ და ოქროს საბადოებზე, ალმასებზე, მათ ფასებზე და სამხრეთ-აფრიკულ ახალ ამბებზე დავობდნენ, ოლივერის დანახვაზე ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად შემოიდებდა ხელს ლოყაზე და ჩაიბურტყუნებდა: „ჰმმმ“. სულ ეს იყო — ცოტა ბურტყუნი, მხარზე წყნარი ქიმუნჯი, ხელის ლოყაზე შემოკვრა, ძლივსშესამჩნევი ბზუილი, მათ გუნდს რომ დაუვლიდა ხოლმე ცხელ შუადღეს — ოჰ, რა დიდი ხნის წინ! თუმცა, ისევ ახსოვდა ოლივერს ის ჟრუანტელი, ხერხემალთან რომ დაურბენდა მუჯლუგუნების კვრასა და ბურტყუნის გაგონებაზე, რომელიც ალბათ ამას ნიშნავდა: „აი, პა-

ტარა ოლივერი, ახალგაზრდა ოქრომჭედელი, — ერთი ამას დამიხედეთ!“ მაშინ ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო. მერე კი, თანდათან, სულ უფრო უბადლოდ დაიწყო ჩაცმა; ჯერ ორთვიანი გადახურული ეტლი ჰქონდა, შემდეგ მანქანა. თუატრში ჯერ ბოლო რიგებში იჯდა, მერე კი პარტერში გადაინაცვლა. რიხმონდში ვილაც გაიჩინა, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა და წითელი ვარდების ხეივან ბუჩქებით იყო სავსე. მისი სატრფო დილაობით ერთ ვარდს მოწყვეტდა და ღილ-კილოზე დაუბნევდა ხოლმე.

— მაშ, — თქვა ოლივერ ბეიკონმა და ფეხების გასაშლელად წამოიწია. — მაშ...

ადგა, ხელები ზემოთ ააპყრო და ქვემოდან შეხედა მოხუცი ქალის სურათს, რომელიც ბუხარზე საპატიო ადგილას მოეთავსებინათ. „მე შევასრულე ჩემი სიტყვა“ თქვა და ხელისგული ხელისგულს ისე შეატყუპა, თითქოს თავი უნდა ეცა მისთვის. „მე მოვიგე ნიძლაჲი“. ასეც მოხდა. ის ხომ უმდიდრესი ოქრომჭედელი იყო ინგლისში, მაგრამ მისი სპილოს ხორთუმივით გრძელი და მოქნილი ცხვირი, რომლის ნესტოებიც უცნაურად თრთოდნენ (თუმცა ისე ჩანდა, გეგონებოდა, მარტო ნესტოები კი არა, მთელი ცხვირი თრთოდა), მოწმობდა, რომ ოლივერი სულაც არ იყო ამით კმაყოფილი; იგი ალღოთი გრძნობდა, რომ იქვე, შორიახლოს, მიწისქვეშ, რაღაც ელოდა. წარმოიდგინეთ, უზარმაზარი ტახტი ტრიუფელებით სავსე მინდორზე. წარმოიდგინეთ, როგორ თხრის, თხრის ტახტი ტრიუფელებს, და მაინც გრძნობს უფრო დიდ, უფრო შავ ტრიუფელს სადღაც მიწის სიღრმეში. სწორედ ასე, ქშენა-ქშენით, მეიფეარის ახლომახლო დაქებდა ოლივერი სხვა ტრიუფელს — უფრო შავ-შავს, უფრო დიდს.

ოქრომჭედელმა შეისწორა ძვირფასი მარგალიტი ყელსახვევზე, კოხტა, ლურჯ პიჯაკში გამოიწყო, აიღო თავისი ყვითელი ხელთათმანები, ხელჯოხი და რწევა-რწევით ჩაუყვა კბეებს. პიკადილიზე შეუხვია და თან თავის გრძელ, წვეტიან ცხვირში ჯერ ამოიქშინა, მერე ამოიხვნეშა, რადგანაც, განა არ იყო იგი კაცი ნაღვლიანი, კაცი უკმაყოფილო, კაცი, რომელიც ეძებს დამალულს, მიუხედავად იმისა, მოიგო თუ არა ნიძლაჲი?

სიარულისას მსუბუქად მიირწეოდა, ისე, როგორც აქლემი მიირწევა ზოოპარკის მოასფალტებულ ბილიკებზე და რომლის ზურგზეც ბაყლები და მათი ცოლები შემოსკუპულან, ქაღალდის პაკეტებიდან რომ ილუკებიან და მერე ოქროსფერ დაჭმუჭნულ ნაგლეჯებს ბილიკზე ისვრიან. აქლემს ეზიზღება ბაყლები; აქლემი უკმაყოფილოა თავისი ხვედრით; სადღაც, შორს, აქლემი ხედავს ლურჯ ტბას და მის წინ ჩამწკრივებულ პალმის ხეებს და ასე, რხევა-რხევით, ხელთათმანებითა და ჯოხითურთ უნაკლოდ გამოწკეპილმა დიდმა ოქრომჭედელმა, უდიდესმა ოქრომჭედელმა, ჩაიარა მთელი პიკადილი; თუმცა, მაინც უკმაყოფილო გამომეტყველება ჰქონდა, სანამ პატარა, ბნელ მაღაზიას არ მიადგა, სახელგანთქმულს საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიასა და მთელ ამერიკაში — პატარა, ბნელ მაღაზიას ბონდ სტრიტის შესახვევთან.

როგორც საერთოდ სჩვეოდა, დიდი ნაბიჯებით, ხმის ამოუღებლად გადასერა მაღაზია, გვერდით ჩაურა ოთხ მამაკაცს, რომელთაგან ორნი, მარშალი და სპენსერი, რომლებიც ხნიერები ჩანდნენ და კიდევ ორი, ჰემონდი და უიკსი, ახალგაზრდულად რომ გამოიყურებოდნენ, მის

შემოსვლაზე მაშინვე წამოხტნენ და შემპარავი შურით მიამტყრდნენ. მან კი ქარვისფერთათმანწამოცმული ხელის ერთი თითი დაუქნია, ანიშნა, შეგამჩნიეთო, შევიდა თავის ოთახში და კარი გადარაზა.

ოლივერმა ფანჯარაზე აკრული ცხაური გამოხსნა. ოთახში ბონდ-სტრიტის მყვირალა ხმაური და შორეული ტრანსპორტის ღრჭიალი შემოიჭრა. მაღაზიის შუშაბანდმა არეკლილი შუქი ზემოთ აისროლა. ივნისი იყო. იქვე, ფანჯარასთან მდგომ ხეზე, ექვსად-ექვსი ფოთოლი კონწილობდა. მოაგონდა, რომ თავისი საყვარელი სატრფო სხვაზე დაქორწინდა. ვისზე? ჰო, ბატონ პედერზე, რიხმონდელ ლუდის მხარმაზე. ასე რომ, ახლა უკვე აღარავინ უბნევდა ვარდებს ღილ-კილოზე.

— მაშ! — თითქოს დაიხვნეშა, თითქოს დაიფრუტუნა, — მაშ...

ოლივერმა ხელი მოავლო პატარა ზამბარას და კედლის ერთი ნაწილი გვერდით გასრიალდა. მის უკან ხუთი თუ ექვსი მბზინავი ფოლადის სეიფი გამოჩნდა. ოლივერმა გასაღები გადაატრიალა; გახსნა ერთი, მეორე, მესამე... სეიფებში ალისფერი ხავერდის საფენები ჩაეგოთ და ზედ ძვირფასი სამკაულები დაეხვავებინათ — სამაჯურები, ყელსაბამები, ბეჭდები, დიადემები, დიდებულთა გვირგვინები. მინის ქილებში ნაირნაირი ქვები ჩაფანტულიყო; ლალის თვლები, ზურმუხტები, მარგალიტები, ალმასები. ასე ეწყო მანათობელი, თუმც სუსხიანი, ამავე დროს კი მხესავით მწველი ქვები და თავიანთ გამჭოლ სხივებში ჩაძირულიყვნენ.

— ცრემლებო! — დახედა მარგალიტებს ოლივერმა.

— გულის სისხლო! — ნახად მოეფერა ლალის თვლებს.

— დენთო! — განაგრძო და ალმასები ააჩხრიალა, ცეცხლის ალებად რომ კრთოდნენ და ციალებდნენ.

— იმდენი დენთია, მეიფეარს ააფეთქებს — ცისკენ, მაღლა, მაღლა, სულ მაღლა! — ამის თქმაზე თავი უკან გადააგდო და ცხენივით დაიჭიხვინა.

ტელეფონმა მლიქვნელურად დაიხუზუნა დაბალი, მოგუდული ხმით. ოლივერმა სეიფი დაკეტა.

— ათ წუთში, — თქვა ყურმილში, — ათ წუთში შემოვიდეს.

ოქრომჭედელი მაგიდასთან დაჯდა და სახელოების მანუეტებზე ამოკვეთილ რომელიმე იმპერატორების თავებს დახედა. ისევ შემოიძარცვა თავისი ახლანდელი მე და ის პატარა ბიჭი გახდა, მარმარილოს კოჭებით რომ თამაშობდა ბინძურ უბანში, სადაც მოპარულ ძაღლებს ყიდიდნენ კვირაობით — ის პატარა, ეშმაკი, ცბიერი ბიჭი, ტუჩები სველ ალუბლებს რომ მიუგავდა. ბიჭი, ხელებს რომ ურვედა ძროხის ფაშვში, თითებს რომ აწობდა შემწვარი თევზით სავსე ტაფაში და ბრბოში წინ და უკან დაძვრებოდა. გამხდარსა და მარდს თვალები ალოკილ ქვეშ მიუგავდა. ახლა კი... ახლა.. საათის ისრები შეუჩერებლად წიკწიკებდნენ — ერთი, ორი, სამი, ოთხი... ლემბორნის ჰერცოგინია, ქალი, რომელიც ასე ჰერცოგის შთამომავალი იყო, მას უცდიდა. ჰო, ოქრომჭედლისთვის ათი წუთი უნდა მოეცადა, გარეთ, სკამზე. უნდა მოეცადა, სანამ ის, ოლივერი, მზად იქნებოდა მის მისაღებად. შაგრენის ტყავში ჩასმულ საათს ახედა. ისარი მოძრაობდა და ყოველ წიკწიკზე რას არ სთავაზობდა ოქრომჭედელს: ბატის ღვიძლის პაშტეტს; შამპანურიან ჭიქას; შესანიშნავ ბრენდის; სიგარას, ერთი

გინეა რომ ღირდა. და გავიდა თუ არა ათი წუთი, ცხვირწინ გადმოულაგა საათმა ნანატრი. ოლივერს მშვიდი ნაბიჯების ხმა მოესმა. კარი გაიხსნა. ჰემონდი კედელს აეკრა.

– მისი ბრწყინვალეობა! – საზეიმოდ გამოაცხადა ისე, რომ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია.

ოლივერი ძალაუვნებურად ფეხზე წამოიჭრა. თანდათან გაისმა ჰერცოგინიას შრიალა კაბის შარიმური დერეფანში და აი, თითქოს ნისლიდან ამოიმართა მისი სილუეტი; მალაზია და ოთახი დიდებულთა არომატითა და პომპეზურობით აავსო; ქედმაღლობისა და მედიდურობის ნიაღვრად აზვირთდა და როგორც კლდეს მინარცხებულ ტალღა იშლება, ისე დაიშალა ოლივერის დანახვისას. შხაპუნითა და დგაფუნით თავს გადაეველო უდიდეს ოქრომჭედელს და ზედ მიმოაფანტა ბრჭყვიალა ფერთა მთელი გამა: ჭაობისფერი, ვარდისფერი, იისფერი. ახლარა სურნელი ასდიოდა, ანდა რა თვალისმომჭრელი სხივები უთამაშებდა თითებზე, აბრეშუმის კაბაზე, ქანქარა ბუმბულებზე... ძალიან მსუქანს და ფართეს ვარდისფერი თავის კაბა მჭიდროდ შემოტმასნოდა (საერთოდაც, მისი გაფურჩქვნის ხანას კარგა ხანია ჩაველო). ქალმა ოთახში შემოაბიჯა და როგორც მზის ქოლგა იკეცება, როგორც ფარშევანგი ჩამალავს თავის ბუმბულებს, ისე ჩაკეცა კაბის ნაოჭები, ჩამალა ბუმბულები, ჩაემვა ტყავის სავარძელში, ჩაქრა, ჩაცხრა.

– დილა მშვიდობის, ბატონო ბეიკონ, – თქვა ჰერცოგინიამ და ხელი გაუწოდა. ოლივერმა თავი დაუკრა და როცა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მათ შორის კიდევ ერთხელ შეიკრა უცნაური კავშირი. მეგობრებიც იყვნენ, მაგრამ უფრო მეტად კი მტრები; ერთი მბრძანებელი იყო და მეორეც. ერთი თვალთმაქცობდა და მეორეც. ერთმანეთი სჭირდებოდათ, ერთმანეთის ემზინოდნენ და ყოველ ჯერზე, როცა ერთმანეთს ხელებს გადააჭდობდნენ ამ პატარა, ქუჩის ხმაურით ავსილ, თეთრშუქმოფენილ ოთახში, რომლის ფანჯარასთანაც ხეზე ექვსად-ექვსი ფოთოლი ლივლივებდა, შესანიშნავად ხვდებოდნენ ერთმანეთის მიზნებს.

– ამჯერად რით დაგეხმაროთ, ჰერცოგინია? – რბილად წარმოთქვა ოლივერმა. ჰერცოგინია მოეშვა, უკარება გულში თითქოს ნდობა შეეპარა, მერე ერთი ამოიოხრა და ჩანთიდან უსიტყვოდ ამოიღო ნატის ქისა, ასე ძალიან რომ წააგავდა გამხდარ, ყვითელ ქრცვინს. ჰერცოგინიამ ქრცვინი წამოაპირქვა და მისი მუცლიდან ათიოდე მარგალიტი გადმოგორდა. – ერთი, ორი, სამი, ოთხი – თითქოს რომელიღაც ზეციური ჩიტის კვერცხები ყოფილიყო.

– სულ ესაა, რაც დამრჩა, ბატონო ბეიკონ! – დაიკვნესა ქალმა. ზუთი, ექვსი, შვიდი... მარგალიტები ქვემოთ, ჰერცოგინიას კაბის კალთის ვიწრო ხეობაში ჩაგორდნენ. ესეც მერვე, მეცხრე, მეათე. ატმის ყვავილისფერი კაბის ჩრდილში ათი მარგალიტი ელავდა.

– ჩვენი საგვარეულო სარტყელისგანაა... – შესტირა ოქრომჭედელს. – მისგან უკანასკნელნი!

ოლივერი ცერა და საჩვენებელი თითით დასწვდა ერთ მარგალიტს. მრგვალია, და თან ბზინავს. ვითომ, ნამდვილია? იქნებ ყალბია? ისევ? ნუთუ გაბედავდა?

ჰერცოგინიამ კოტიტა თითი ტუჩებთან მიიტანა.

– ჰერცოგმა რომ გაიგოს... – ჩაიჩურჩულა, – ოჰ, ბატონო ბეიკონ, რა უდიბლობაა...

ნუთუ ისევ ბანქოს თამაშობს?

– ეგ არაშხადა! თაღლითი! – წაისისინა ჰერცოგინიამ.

იმ კაცზე ამბობს, ყვრიმადლი რომ აქვს ჩამტვრეული? ჰოო, საზიზღარი ვინმეა. აი ჰერცოგი კი, დაფანჯული ულვაშები რომ დაჰკიდავს, იმისთანა აზირებულობა, რომ გაუგოს, მეგვიდრეობას ხომ ჩამოართმევს და სულაც შინ გამოკეტავს. ეჰ, ჩემოდენა რომ იცოდეს, გაიფიქრა ოლივერმა და თვალი სეიფისკენ გააპარა.

– არამინტასთვის, დაფნასა და დიანასთვის მინდა, – დაიწუწუნა ჰერცოგინიამ, – მხოლოდ მათთვის.

ახალგაზრდა ქალბატონებს, არამინტასა და დაფნას ოლივერი კარგად იცნობდა, მოსწონდა კიდევ ისინი. აი, დიანა კი... დიანა სულ სხვა იყო. ოლივერს ის უყვარდა.

– შენ ჩემი ყველა საიდუმლო იცი! – ჰერცოგინიამ ოლივერს ბოროტად შეხედა და ღაპ-ღუპით ჩამოუგორდა ბრილიანტის სიმსხო ცრემლები, რომლებმაც ღრმულები დაამჩნიეს ალუბლისყვავილისფერად შეპურულ ლოყებს.

– ძველო, კეთილო მეგობარო! – ჩაიბუტბუტა ქალმა

– ძველო, კეთილო მეგობარო, – ძლივს ამოდერდა კაცმა და ბოლოს ჩაკეითხა, – მაინც რამდენი?

ქალმა მარგალიტებს ხელი დააფარა.

– ოცი ათასი, – დაიჩურჩულა მან.

ვაითუ მარგალიტი, ოლივერს ხელში რომ უჭირავს, ყალბია? აკი საგვარეულო სარტყელი უკვე გაყიდა? სპენსერს ან ჰემონდს უნდა გამოუძახოს. ისინი შეამოწმებენ. ოქრომჭედელმა ხელი ზანზალაკისკენ გაიწვდინა.

– ხვალ გვესტუმრეთ, – მოულოდნელად შესძახა ჰერცოგინიამ და დაჟინებით მიაშტერდა, – მისი უმაღლესობა და პრემიერ მინისტრი გვეწვევიან, – უცებ გაჩუმდა და მერე დაამატა, – დიანაც იქნება!

ოლივერმა ხელი უკან წაიღო.

ოქრომჭედელმა ფანჯარაში გაიხედა და ბონდ სტრიტის სახლებს თვალი შეავლო, მაგრამ სახლებს კი არა, აქაფებულ მდინარეს და იქიდან ამოსხმარტალეზულ კალმახებს და ორაგულებს ხედავდა. ხედავდა თავის თავს, თეთრ ჟილეტში გამოწყობილს, პრემიერ-მინისტრისა და დიანას გვერდით. ახლა ხელისგულზე მარგალიტი უდევს, მაგრამ როგორ გინდა, რომ შეამოწმოს, როცა მდინარეზე და დიანას თვალეზე ფიქრობს? ჰერცოგინიაც რომ თვალმოუცილებლად შეჰყურებს?!

– ოცი ათასი, – ისევ დაიჩვილა ქალმა, – ჩემი საკადრისი!

დიანას დედის საკადრისი! დიანაც! ოლივერმა ჩეკის წიგნაკი თავისკენ მიიციურა და კალამი აიღო. ჩეკზე ოცი მოხზა და მერე თითქოს შეყოყმანდაო, წერა შეწყვიტა. სურათიდან მოხუცი ქალის თვალები დაჟინებით უცქერდნენ.

– ოლივერ, გონს მოგე, არ გასულელდე! – გააფრთხილეს თვალებმა.

– ოლივერ, – ვედრება გამოურია ჰერცოგინიამ ხმაში (ბატონი ბეიკონი აღარ იყო, ახლა ოლივერი გამხდარიყო), – იქნებ მთელი შაბათ-კვირით გვესტუმრო?

დიანასთან ერთად, ტყეში, მარტო იჯირითებს ცხენებით, მარტო!

– ათასი, – დააბოლოვა რიცხვი და ჩეკს ხელი მოაწერა.

– ინებეთ! – თქვა და ქალს გაუწოდა.

ჰერცოგინია წამოდგა. მისი კაბა, დაკეცილ მზის ქოლგას და ფარშევანგის ჩამალულ კუდს რომ მიაგავდა,

ერთბაშად აბრიალდა, გაიფურჩქნა, ტალღასავით აციმციმდა, აზენკურის ხმლებივით და შუბებივით ალაპლაპდა. როცა ოლივერმა ქალბატონი მაღაზიის კარამდე მიაცილა, სპენსერი, მარშალი, უიკსი და ჰემონდი ფეხზე წამოხტნენ, წელში გაიმართნენ და მიმავალთ შურიანი მხერა გააყოლეს. ოქრომჭედელმა, საპასუხოდ, ქარვისფერთათანწამოცმული ხელის ერთი თითი დაუქნია მათ. ამასობაში კი, ჰერცოგინიას საიმედოდ ჩაებლუჯა ოცი ათასი გირვანქა სტერლინგის ჩეკი, რომელიც ზუსტად მის ღირსებას შეეფერებოდა.

– ყალბია თუ ნამდვილი? – თავისთავს შეეკითხა ოლივერი, როცა ოთახში დაბრუნდა და კარი საუკუნედაგულოდ გადარაზა. მარგალიტები, მაგიდაზე საშრობ ქაღალდზე

რომ ელაგა, ფანჯარასთან მიიტანა და სინათლეზე ლუპით დააკვირდა. ეს სწორედ ის დიდი, შავი ტრიუფელი იყო, ამდენ ხანს რომ ეძებდა, ოღონდ გულში ერთიანად ფუტურო და ფუყე.

– მაპატიე, დედაჩემო! – ამოიგმინა ოლივერმა და ხელები ისე აღმართა მაღლა, თითქოს პატიებას შესთხოვდა სურათიდან მოშინარალ მოხუც ქალს იმ პატარა ბიჭვივით, რომლის უბანშიც მოპარულ ძაღლებს ჰყიდიდნენ კვირაობით.

– სამაგიეროდ, – ჩაიბუტბუტა მან და ხელები მოიფშვნიტა, – წინ გრძელი შაბათ-კვირაა.

მთარგმნელი ანა ბოგოჭური

### იანა ხუვალა

#### მუხა

ტრიალ მინდორზე გაუშლია ამაყად მხრები და არ აღარდებს ქარიშხლის და გრიგალის ხმები. თავისუფლებას შეუპყრია მისი სხეული, გვირგვინოსანი, ბუმბერაზი, მაგრამ ეული. წლებია უკვე, ეგებება ღამეს, ალიონს, ზღაპრებს ინახავს, ისმენს ჰანგებს, რომ დრო გალიოს; გამოუფატრავს წლებს ფულურო დაშაშრულ ტანზე და თვლემს ნებივრად მუხა წვიმის სვედიან ხმაზე.

#### ჩვენ ხშირად ვცირით

ჩვენ ხშირად ვცირით — მწუხარენი უბედურებით; ჩვენ ხშირად ვცირით, ბედისწერას რომ ვემდურებით. და ასეც ხდება, როცა არ ჩანს არსაით შვება: ტირილი გვინდა, მაგრამ თვალში ცრემლები შრება.

#### ნამიყვანე

ჰო, წამიყვანე იმ შორეულ მთებისკენ, სადაც საუკუნოვან ხვთარებში მზის სხივი ცხოვრობს,



სადაც იშლება ჰორიზონტი მკრთალად და სადაც, სიჩუმეს არღვევს არწივის ფრთის დაქნევა მხოლოდ. სადაც არ არის ნიადაგი, თიხა და ქვიშა, არსაით ისმის საძულველის მტანჯავი ხმები, სადაც ვერა ვგრძნობ ტვირთს და უკვე ეს იმას ნიშნავს, რომ ფრთხილად ვზიდო ჩემი წილი ჯვარი ამ მხრებით. ჰო, წამიყვანე! სიყვარულით გაუყევით იმ გზას, მონატრებული ნიაგი სად გამოსცემს ბგერებს, ნაძვებს შორის და მარადიულ ყვავილთა მიღმა, ცისკრის ქაღალდმერთი ღიმილსაც რომ შემოგვაგებებს. აქ ნაცრისფერი ნისლი დგება, თვალისთვის რიდედ და ჭაობებშიც თავს იხრჩობენ ლექსის რითმები; მინდა, დუმილი შეგიყვარდეს, თუნდაც სულ მცირედ, წამიყვანე და იქ სიჩუმეს შევეხიზნებით!



### ალა ნეგრი

#### ისევ გლალატობ

და ისევ გლალატობ, დგება ეს საათიც, მინდა, საიდუმლო შთანთქას ზღვის მორევმა, ალივით მცხუნვარე დემონი ტაატიო მოდის და შუბლს ეამბორება.

ეს ჩემი სათუთი და თეთრი სხეული, კანკალებს დაღლილი, ჩამოჰგავს ემბრიონს; არ ვიძინე, ვდგები და მიყვები ეული, თმაში რომ ალერსი მებნის.



და მეჩურჩულეა მდელვარედ ტუჩებთან,  
სკივრს თავი ეხსნება, იდუმალ განცდების,  
ამ გულში, ჩემს მკერდზე, ჩვენ შორის, თუ ჩემთან  
ჰანგებით ფიქრებსაც გავცდებით.

თავისი სილალით შემოვა მუსიკა,  
დემონის სუნთქვაშიც გაჩნდება ბგერები,  
სიკვდილზე სიმღერას ვინც სევდით უსმინა,  
სიყვარულს შემატა ფერები.

ტკივილით შემოსილ მშვენიერ სხეულზე,  
დამქროლავს ჰანგების მსუბუქი მარაო  
და კარზე, წარსულში დარდების ხვეულზე,  
ნათელი სხივოსნობს, ნანაობს.

ეს ჰანგი განკურნავს ტკივილს და ხარვეზებს,  
რადგანაც სიცრუემ არ მისცა მათ შვება;  
სიმღერა, რომელიც უფსკრულებს არ ეძებს,  
ვარსკვლავთა ციმციმში იშვება.

ოჰ, ნუ ეჭვიანობ, ნუ მკიცხავ მე ახლა,  
რომ არის სიგიჟე, შფოთვაა გონების  
და შთაგონებაა, რომელიც მეახლა,  
ეს განცდა რჩეულებს მოელის.

მე კვლავ დაებრუნდები, სურვილი მომიყვანს,  
შენს მკლავებს ხომ ისევ მორჩილი ვახსოვარ,  
თმის ჩადრი დაფარავს უხერხულ მიმიკას,  
ვიქცევი მაგ კოცნის მათხოვრად.

ჩემს თეთრ შუბლს შემორჩა ტუჩების სისველე,  
მცხუნვარე ამბორი სულაც არ მებევერა,  
მორცხვი და თავნება გოგონა ისევე,  
შენს მკერდზე ჩამოთვლემს ნებივრად.

სიამაყე

არ ემახი არავის, იტანჯები დუმილით,  
არც გითვლიან არასდროს ცრემლებს, თვალებზე მონადენს,  
თუნდაც დანაშაული მარტივად ვერ მოგვარდეს,  
სხვასაც არ სთხოვ, გაბედოს და გამოთქვას წუხილი.

უსათუოდ დათვალე საიდუმლო ყოველი,  
თუნდ მუხლები მოხარე, ფრთხილად ჩამოისვენე  
და ამოთქვი გულიდან, წყენასაც თუ იხსენებ,  
მაგრამ სხვის თანაგრძნობას ნურასოდეს მოელო.

შემზარავი რამეა: გლოვა და სინანული,  
ნებისყოფის მოთოკვა, საკუთარი ძალებით  
და დარდის დავიწყება ისე, ფიქრებს არ აჰყვე...

მე გასწავლი, რომ დათმო, ეგ ცრემლები, ფარული,  
ყვავილებმაც ლავიწზე რომ მიხაბონ თვალები...  
ცოდვის სასწაულია, უთუოდ, სიამაყე.

მკვდარი კოცნა

გაზაფხულზე, ადრინადად, ბალახს შორის,  
ლურჯთვალეა აყვავილდა ია,  
შესცივდა და შემოუდგა სუსხი ჟრჟოლით,  
მიესვენა ბალახს, ყინულიანს.

სადამოხანს გეამბორე და ჩემს გულსაც,  
დასაკვირტად არ დასჭირდა მოცდა;  
გამეჩქეცი... არ გადარდებს ახლა სულაც,  
დარჩენილი ჩემი მკვდარი კოცნა.

ნიშანი შუბლზე

წითელი კაბით და ტანის რხევით,  
მოდის ბოშა და შუბლზე მადებს თითს,  
მე მხიბლავს მისი ნატიფი ხელი.

ამბობს: „ — ნიშანი გადევს შენ შუბლზე,  
ამოტვიფრული ფიგურა ფორმით,  
ჯვარს გამოსახავს თითქოს მზის შუქზე.

საბედნიეროდ, გაგყვება სულ თან,  
როგორც ვამპირის ნაკბენი, დამლა  
და შვება, როგორც მსუბუქი სუნთქვა.

ის შენი ყოფის ნაწილად რჩება,  
ვენების ცეცხლად და ფორიაქად;  
ეს ვამპირია დღეს ხელოვნება.

გსურდა, იყავი ზოგჯერ ეული,  
ის ხშირად ბალიშს სტუმრობდა შენსას,  
პირქუში, მაგრამ უფრო გრძნეული.

ვით აპოლონი აკრძალულ კუნძულს,  
შენ მოველინე ამ საუკუნეს,  
მას შემდეგ სევდა გიპყრობს, თან სულ გბუღს.

მოდი, გაშიშვლდი ლექსში იოლად,  
გამოაჩინე გულის იარა,  
შემოგცინებენ ირონიულად.

ახალგაზრდები დახვეწენ სმენას,  
აამღერებენ სიყვარულის ჰიმნს  
და ეს იქნება სიგიჟის ენა.

კრიტიკა მოგდევს მგელივით უკან,  
ხან გითვალთვალებს, რომ დაგწიოს,  
გადაგაქციოს საკუთარ ლუკმად.

შუბლზე ნიშანი რომ არ გახსოვდეს,  
ინატრებ წაშლას, მაგრამ ვერ შეძლებ  
ველარასოდეს, ველარასოდეს!“

\* \* \*



## ანა ახმატოვა

### წარწერა წიგნზე

„რასაცა გასცემ, შენია“.  
შოთა რუსთაველი

მე ნანგრევებზე ვსაუბრობ მიწვივ  
და ვყვირი ისე, როგორც მეწყერი;  
თან ჩაუმქრალი კირივით ვიწვი,  
სარდაფის თაღებს კრძალვით შევცქერი.  
გარინდებული ვხედები ზამთარსაც,  
კარებს უუხურავ მუღმივად ჯერაც...  
აღიარებენ ჩემს ხმას, მართალს და  
სიტყვებს ჭეშმარიტს, მე ამის მჯერა.

### ჯვარქმა

„ნუ მტირ მე, დედაო, მზილველი  
საფლავსა შინა ძისა...“

ანგელოზები დიდ დღეს, ჟამს ამას,  
ადიდებდნენ და ცას ჰქონდა ალი;  
— რად დამიტევე? — ჰკითხავდა მამას,  
— ნუ მტირ, დედაო! — ეტყოდა წყნარი.

მაგდალინელი მოთქვამდა, ელღამ  
გამოაბრუნა მოწაფე ქვისკენ,  
იქვე ჩუმად რომ იდგა ღვთის დედა,  
ვერვინ გაბედა გახელვა მისკენ.

ოცნებებმა და იდეებმა დამლალეს წინათ  
და ახლა ისე ველი ზამთარს, როგორც არავინ;  
შენ მპირდებოდი, გახსოვს, აღარ მოვაო წვიმა,  
მაგრამ არ წყდება, წვიმა მოდის, მოდის ბარაქით.

გაოცებული ჩემი მზერა სარკმელსაც სცდება,  
ისიც არ ვიცი, ცხადია თუ ძილს თვალი ვკიდევ;  
გახსოვს, ამბობდი, რომ ცხოვრება არის ოცნება,  
უცნაურია, გავიღვიძე და ვცოცხლობ კიდევ...

ხვალ ჩემი როლის თამაშიც რომ ქვეყანამ ნახოს,  
კვლავ გავიცინებ, თვალთმაქცობა ჩემი ხვედრია;  
ტკივილიაო სიყვარული, ამბობდი, გახსოვს?!  
როგორ ცდებოდი, სიყვარული ჯოჯოხეთია!

\* \* \*

მოსაწყენი ხარ, თან დარდით საესე,  
დათმე დიდება, ოცნება ყველა.  
თუმც ჩემთვის ისევ ტკბილი ხარ, მავსებს  
მაგ იღუმალის გრძნობების ენა.

ღვინო გაქვს ახლა ღამეულ ხარჭად  
და არც კი იცი სიზმრების გემო,  
მწვანე თვალეში ჩამდგარი ტანჯვა  
ამბობს, რომ ღვინით შვება ვერ გერგო.

გული გამოთქვამს სურვილს სიკვდილის  
და ბედის ზანტად სვლას ეძღურები;  
დასავლეთის ქარს, სულაც არ მიკვირს,  
რომ მოაქვს შენი საყვედურები.

მე დაბრუნებას თუ ვბედავ ისევ?  
ჩემს ცის ქვეშ მინდა, ჩამოვისვენო,  
მოგონებებით სულსაც ავივსებ,  
შენ არ გაბედო, რომ გამიხსენო.

მრავლობენ დღენი სევდით მიღეთის,  
შენთვის როგორ ვთქვა ლოცვები მე კვლავ?  
ჰო, სიყვარული ვიცი ისეთი,  
რომც შეეცადო, შენ მას ვერ მოკლავ.

მთარგმნელი  
მარი თაბაგარი

# ნანა ჭიჭინაძე

## ზაირონიდან გალაქტიონამდე

ინესა მერაბიშვილს ვიცნობთ, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებულ ბაირონოლოგს, თუმცა, როგორც თავად ჩემთან საუბარში აღნიშნა, ბაირონი მის ცხოვრებაში შემთხვევით შემოიჭრა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც დიდმა რუსმა მეცნიერმა, ილია გალპერინმა ოპონირება გაუწია მის საკანდიდატო დისერტაციას და გაეცნო რა მის ნაშრომს, შესთავაზა სადოქტორო დისერტაციაზე პირადად მასთან მუშაობა ტექსტის ლინგვისტიკაში. პირველი დისერტაცია ინესა მერაბიშვილმა ლინგვო-სტილისტიკაში დაიცვა და ის ეძღვნებოდა XX საუკუნის ინგლისური და ამერიკული პოეზიის უჩვეულო შესიტყვებებს. ცხადია, პოეზიაში იგი თავს ისე გრძნობდა, როგორც თვეზი წყალში. ამდენად, მან სთხოვა დიდ მეცნიერს, რომ საკვლევ ობიექტად ისევ პოეტურ ტექსტს აიღებდა. გალპერინმა ახალგაზრდა ინესას XIX საუკუნის დიდი ინგლისელი რომანტიკოსის, ბაირონის, კვლევა შესთავაზა. ქალბატონი ინესა იხსენებს: „მაშინ მე ბაირონზე არ ვფიქრობდი, ისე არ ვიცნობდი, როგორც XX საუკუნის პოეზიას, მაგრამ უარი ვერ შევბედე. მხოლოდ ეს ვუთხარი, ისე ღრმად ბაირონს არ ვიცნობ მეთქი.“ ეს საუბარი მოსკოვში, გალპერინის სამუშაო ოთახში, მიმდინარეობდა. დიდმა მეცნიერმა ასე უპასუხა ახალგაზრდა მკვლევარს: „წაბრძანდით ხვალ საჯარო ბიბლიოთეკაში, წაიკითხეთ ბაირონი და სადამოს პასუხი მომეცით“. „დილის 8 საათზე წავედი მაშინდელ „ლენინკაში“. მთელი დღე ბაირონი ვიკითხე. ერთ დღეში შეუძლებელია მიხვდე, რა გსურს, რა შეგიძლია და დავიწყე მუშაობა და ვგრძნობდი, რომ გალპერინი კმაყოფილი დარჩებოდა. აი, ასე დაიწყო ბაირონის ტექსტთან სიღრმ-



ისეული ურთიერთობა“ — იხსენებს ქალბატონი ინესა. მაგრამ, შემდეგ, მოხდა ის, რაც, ალბათ, თავად დიდმა მეცნიერმა იწინასწარმეტყველა: ბაირონმა სრულიად მომნუსხა და მომაჯადოვა. კვლევის პარალელურად გამიჩნდა დაუოკებელი სურვილი — მეთარგმნა ბაირონი. იქიდან მოყოლებული ვიკვლევ და ვთარგმნი დიდ ინგლისელს. ამასთანავე მიმაჩნია, რომ თარგმანი სერიოზული კვლევის გარეშე, თუნდაც, ზოგადად, ფილოლოგიური, არ უნდა შესრულდეს, რაც საგრძნობლად ზრდის თარგმანის ხარისხს. სხვათა შორის, გალპერინმა მოასწრო და ჩემი დისერტაციის ერთი თავი სიცოცხლეში წაეკითხა. ჩემს არჩევში დიდი მოწიწებით მაქვს შენახული მისი შეფასებები, რამაც კიდევ უფრო განმიმტკიცა რწმენა, რომ სწორი გზით მივდიოდი. რაც შეეხება ბაირონის თარგმანს, ამ მიზნით მე სიღრმისეულად შევისწავლე თარგმანის თეორია, წავიკითხე ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია ამ დარგში ქართულ, ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე. აი, ასე და ამგვარად, გარდა იმისა, რომ ვიყავი ლინგვისტი და ბაირონის მკვლევარი, გავხდი თარგმანის თეორიტიკოსი და შევქმენი ჩემი ახალი კონცეფცია ამ დარგში.



ინესა მერაბიშვილი

სადოქტორო დისერტაცია ინესა მერაბიშვილმა უკვე თარგმანის თეორიაში დაიცვა, მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში ბაირონის 200 წელი აღინიშნებოდა. ინესა მერაბიშვილმაც უნივერსიტეტში სამეცნიერო კონფერენცია ჩაატარა და მისი შედეგები ლონდონში ბაირონის საზოგადოებას გაუზიარა. ეს იყო 1988 წელს, საიდანაც დაიწყო ამ საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობები. 90-იან წლებში ქალბატონი ინესა ბრიტანელი კოლეგებისა და ბაირონის საზოგადოების მიწვევით ლონდონს ეწვია. სწორედ აქ აღიარეს იგი, როგორც ბაირონოლოგი. მის მიერ წაკითხულმა მოხსენებამ — „ბაირონი და საქართველო“ — დარბაზი ფეხზე წამოაყენა.



თუ რას წერდა ბაირონი საქართველოზე ამის შესახებ ქალბატონმა ინესამ მიაგნო: 19-20 წლის ბაირონმა გამოსცა პოემა, რომელშიც ჩანს პოეტის სურვილი — ქვეყნის სილამაზის მშობლიურ მხარეს, სადაც კავკასიონს გვირგვინად მყინვარი ადგას. ბაირონი თავის ნაწარმოებში — „დონ-ჟუანი“, ქართველ ქალს გამოსახავს, როგორც სილამაზის ეტალონს. მას მიაჩნია, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე ლამაზი მხარე საქართველოა და ყველაზე ლამაზი ქალი — ქართველი ქალი. რის საფუძველზე აღეძრა ქართველი ქალისადმი ასეთი სათუთი გრძნობები ინგლისელ პოეტს? — ვკითხე ქალბატონ ინესას. „მე ჩაუტარე კვლევა ბრიტანეთის მუზეუმის ბიბლიოთეკაში და საოცარ მასალას მივაგენი პოეტის ცხოვრების ამსახველ მესამე ტომში, სადაც მოთხრობილია ვრცელი ამბავი, რომ 22 წლის ბაირონი, მცირე აზიაში მოგზაურობისას, მონათა ბაზარზე გასაყიდად გამოყვანილ 13 წლის ქართველ გოგონას გადაეყარა. ბავშვის ასაკმა და გარეგნობამ ბაირონი შეძრა. მან იქვე გამოისყიდა გოგონა და აღუთქვა, რომ საქართველოში დააბრუნებდა. ჩანს, რომ ვისაც ეს გოგონა ანდო, მან უღალატა და პოეტმა გოგონას კვალი ძალევე დაკარგა. წელიწადნახევრის ძებნის შემდეგ ბაირონმა ის იპოვა, მაგრამ გოგონას ჯანმრთელობა უკვე შერყეული ჰქონდა. შეხვედრას პოეტზე ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია და კვლავ დაჰპირებია გოგონას — სამშობლოში დაგაბრუნებო. გოგონა კუნძულ კრეტაზე წაუყვანიათ სამკურნალოდ, მაგრამ სამშობლოს მონატრებული ძალევე გარდაცვლილა. ბაირონზე ამ ამბავს დიდად უმოქმედია და იმავე დღეს დაუწერია ლექსი — „თირზასადმი“, რასაც შემდგომში მთელი ციკლი მიუძღვნა...

ინესა მერაბიშვილმა ოთხასგვერდიანი ინგლისურენოვანი მონოგრაფია მიუძღვნა თემას: „ბაირონი და საქართველო“, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა სახელწოდებით — „ინესა მერაბიშვილი, შეხვედრა ლორდ ბაირონთან“. მასვე ეკუთვნის ბაირონის ლექსების თარგ-

მანები, გამოკვლევა და კომენტარები თემაზე — „სიმართლე ბაირონის შესახებ“.

ბაირონს ვაჟი არ ჰყავდა და რომ გარდაიცვალა, ლორდის ტიტული ბიძაშვილზე გადავიდა, რომელიც მემკვიდრე ლორდი გახდა. დღეს გყავს მე-13 ლორდი ბაირონი. ჯონ ლიტონი ლორდ ბაირონის პირდაპირი პირდაპირი შთამომავალია. სწორედ მასთან და მის შთამომავლობასთან აქვს ახლო კავშირი ინესა მერაბიშვილს, რომელსაც ოჯახშიც მასპინძლობენ და ემეგობრებიან.

1995-2005 წლებში ინესა მერაბიშვილი ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის დირექტორთა საბჭოს წევრი იყო. 2014 წელს ბაირონოლოგიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდა. ეს ის წელია, როცა ჯავახიშვილის უნივერსიტეტმა ბაირონის საერთაშორისო კონფერენციას — „ბაირონი დედანსა და თარგმანში“, უმასპინძლა. ამ კონფერენციაში მსოფლიოს 20 ქვეყნის 100 დელეგატი იღებდა მონაწილეობას. დელეგატებს შორის იყვნენ ინგლისელი პოეტის შთამომავლები: ლორდ ბაირონი, ლედი ბაირონი, გრაფი ლიტონი და გრაფინია ლიტონი. შეხვედრა გახსნა პროფესორმა ინესა მერაბიშვილმა, რომელიც 1990 წლიდან დღემდე ბაირონის საერთაშორისო ასოციაციის წევრია. ამ შეხვედრას, მოსაწვევი ბარათით, მეც ვესწრებოდი. 2000 წელს ბაირონის საერთაშორისო საზოგადოებამ ინესა მერაბიშვილს ბაირონის მედალი გადასცა.

1996 წელს ინესა მერაბიშვილმა ბაირონის სკოლა ჩამოაყალიბა. ბაირონის შთამომავლებმა ეს სკოლა რომ დაათვალიერეს, ერთხმად აღნიშნეს, რომ მსგავსი დონის სასწავლებელი ევროპაში არ არსებობს. ვინც ბაირონის სკოლაში ყოფილა, დაგვეთანხმება, რომ ქალბატონი ინესას ხელი აქ ყველაფერს ატყვია, დაწყებული სკოლის დიზაინიდან — თითოეული აუდიტორია, მაგიდა, სკამი და ფარდაც კი მისი გემოვნებითაა შერჩეული. ეს იმიტომ, რომ სწავლების პროცესი ისეთ გარემოში წარიმართოს, რომელიც მოსწავლეს კიდევ უფრო მეტად უბიძგებს კულტურისა და ენის შესწავლისაკენ სკოლის ეზოს ფარშევანგები და ლომები ამშვენებს. როგორც ქალბატონი ინესა ამბობს, ინტერიერი ბაირონის საკადრისია და ფარშევანგებიც შემთხვევით არ აუსებენ სასწავლებლის ესთეტიურ გარემოს. თურმე ეტლით მოგზაურობისას ბაირონს თან ცხოველები და ფრინველები დაჰყავდა. მათ შორის, აუცილებლად იყო ფარშევანგი: „ჩემთვის ეს ბაირონის სიმბოლოა. მოსწავლეებმაც იციან ამის მნიშვნელობა და მოსწონთ. ლომები კი ჩვენი ძალაა, ისინი მფარველობენ სკოლას და ბავშვებს“.

ბაირონის სკოლაში ორი პორტრეტი ჰკიდია — ბაირონის მერი და გალაქტიონის მერი... სკოლა გრიბოედოვის ქუჩის დასაწყისში მდებარეობს — იმ გრიბოედოვის ქუჩაზე, რომელიც პირველი გზამკვლევა ბაირონისა საქართველოში.

გარდა იმისა რომ ქალბატონმა ინესამ ქართულად აამეტყველა ბაირონი, მან ასევე გალაქტიონის უნიკალური პოეზიის ხიბლი ინგლისელ მკითხველს გააცნო. იყო პოეტების მეფის შემოქმედების მთარგმნელი ინგლისურ ენაზე — ეს მხოლოდ ინგლისური ენის უბადლო ცოდნას არ ნიშნავს, რადგან გალაქტიონის გაგება საქართველოშიც კი

უჭირთ, არათუ იგლისურ ენაზე... და აი, საქართველოში დაიბადა გალაქტიონოლოგი — ინესა მერაბიშვილი, რომელმაც მსოფლიოს გალაქტიონის ხიბლი გააცნო.

გალაქტიონის თარგმანზე უცხოელი პროფესორი, გამოცემლობის ხელმძღვანელი ბერნარდ მაკ გარკი წერს: „დიდი პატივია, რომ გალაქტიონი დიდ ბრიტანეთში პირველად ჩვენ დავბეჭდეთ, ვიმედოვნებ, ინესა მერაბიშვილის თარგმანი უამრავ მკითხველს დააინტერესებს ამ განსაცვიფრებელი პოეტით, რომელიც საუკუნის დაგვიანებით მოვიდა ჩვენამდე და მხოლოდ ახლა ხდება მსოფლიოსათვის ხელმისაწვდომი“.

ამერიკელი იურისტი და დიპლომატი რობერტ გიფსონი კი ამბობს: „რომ არ მცოდნოდა, რომ ჩემს წინაშე თარგმანია, ჩავთვლიდი, რომ ეს ყოველივე ინგლისურ ენაზე შექმნილი დედანია, თუმცა აქ საქართველოზეა საუბარი. ეს ხომ ძალიან იშვიათი მიღწევაა ნებისმიერ თარგმნილი ლიტერატურაში და განსაკუთრებით პოეზიაში. ამკარაა, რომ ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისური ენის სიღრმისა და სინატიფის წვდომა აღემატება იმას, რაც ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანს ხელეწიფება“.

გალაქტიონის თარგმანზე და მის ენიგმებზე საუბრისას ქალბატონი ინესა იხსენებს, რომ თარგმანზე მუშაობისას მუდმივად გრძობდა პოეტთან სულიერ სიახლოვეს: „კარგად გავიცანი — მეთქი, ვამბობ, რადგან თავად მეხმარებოდა ენის სიღრმეებში წვდომის პროცესში. სხვაგვარად ვერ თარგმნი მის სტრიქონებს. მახსოვს, ერთხელ, მთხოვეს გალაქტიონის წაკითხვა და წავიკითხე „ქარი ქრის“ ინგლისურ თარგმანში. ჯანსუღ ჩარკვიანიწინა რიგში იჯდა და უცებ წამოიყვირა: ტყუილია! ეს თარგმანი არ არის, ეს გალაქტიონს თავად დაუწერია ინგლისურად, რადგან მასში თავად გალაქტიონის მუსიკაა... ჩემთვის ეს ბედნიერებაა“ — ამბობს ქალბატონი ინესა.

ინესა მერაბიშვილის „გალაქტიონის ენიგმები“ 2003 წელს გამოიცა. „გალაქტიონის მერი — პროტოტიპის ძიებაში“ კი ქართულმა საზოგადოებამ 2012 წელს იხილა.

ინესა მერაბიშვილს 2019 წელს გალაქტიონოლოგიაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, მრავალწლიანი ლიტერატურული და საზოგადოებრივი საქმიანობის გათვალისწინებით, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა გალაქტიონ ტაბიძის სახელობის პრემია გადასცა. მანამდე, 2013 წელს, ამავე შემოქმედებითმა კავშირმა მას ქართული კულტურის დესპანის წოდება მიანიჭა ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის. 2014 წელს საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციამ ინესა მერაბიშვილს პრემია — „ოქროს ფრთა“ გადასცა, 2014 წელსვე იგი დაჯილდოვდა საერთაშორისო პრემიით — „ოქროს რტო“.

2016 წელს ქალბატონ ინესას გორის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს. ის ხომ 1950 წელს გორში დაიბადა. მანამდე კი, 2005 წელს, მას ბრიტანეთის აკადემიური წრეების წარდგინებით, ამერიკის ბიოგრაფიის საერთაშორისო ცენტრმა საერთაშორისო ელჩის წოდება და ორდენი გადასცა.

2018 წელს ინესა მერაბიშვილი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროებია: ენათმეცნიერება,



ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანის თეორია; მას 12 კონკურენტი ჰყავდა, მათგან ინესა მერაბიშვილი გამოარჩიეს, როგორც თავად ამბობს: „კონკურსში ბევრი ღირსეული მეცნიერი მონაწილეობდა, მათ შორის ჩემი გამორჩევა ჩემის საქმიანობის ყველაზე დიდი გვირგვინი იყო“.

დაბოლოს, მინდა გაგაცნოთ დიდი ბრიტანეთიდან გადმოგზავნილი ინგლისელი მწერლის მარტინა ნიკოლასის წერილის ამონარიდი: „...მე მწერალი გახლავართ და სიტყვებზე ვარ შეყვარებული. ამდენად, გალაქტიონი ჩემთვის ყველაზე ღრმა პოეტია საქართველოსი. ამიტომაც, ნუ გაგიკვირდებათ, რომ როდესაც 2020 წლის მარტში სამყაროს წყვდიადისა და გაურკვევლობის ხანა დაუდგა და ის კორონავირუსის პანდემიამ მოიცვა, მე გალაქტიონს მივმართე. მისი წინასწარმეტყველური სიტყვები ჩემთვის ნუგეშისა და იმედის მოძველებული იქცა, მარტო ის რად ღირს, რომ ჩაკეტილ სივრცეში ყოფნისას ჩემს განცდებს ის ზუსტად გადმოსცემდა:

„ქვეყანა გაცვდა, ვით ძველი გროში, უდაბურებად იქცა სოფელი, ნუ გააოცდები, რომ ასეთ დროში მცირე ბედისაც ვარ მაღლობელი“.

მაღლობას ვუხდი საქართველოს იმისათვის, რომ მას ჰყავს გალაქტიონი და ჰყავს ინესა მერაბიშვილი, ქალბატონი, რომელმაც ასე, დიდებულად, უტყუარად მოიტანა ჩემამდე ქართველი პოეტი.

ყურადღასაღებია ასევე კონსტანტინე გამსახურდიას მიერ გალაქტიონის შეფასება: „საქართველო იამაყებს სამი გენიოსის სახელით — რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაქტიონ ტაბიძე, ხანდახან ასე მგონია, რომ ვერც რუსთაველი და ვერც ვაჟა გალაქტიონის უფაქიხეს ღირსეულ შედევრებს ვერ დაწერდნენ. მე, ასე თუ ისე, ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და გალაქტიონისთანა დიდი ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვება, მსოფლიო პოეზიაში მე არ მეგულება პოეტი, რომელსაც ამდენი შედევრი ჰქონდეს“.

# ღალი ბალაშვილი

## არხილოსკალო

გეოგრაფიულად სოფელი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე. მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სოფელი ქვემო ქედი, სამხრეთ-დასავლეთით — შირაქის ველი, ჩრდილოეთით კი მთა-გორიანი დაღმართი ეშვება ალაზნის ველისკენ.

ამ მხარეს დიდი ისტორიული წარსული აქვს. ამას მოწმობს მიწის წიაღში თუ მის ზედაპირზე შემთხვევით ნაპოვნი ნივთები — ქვის ხანის კაქის საფხეკები, ოფსიდიანის (ვულკანური მინა) დანები, ბრინჯაოს ბოლოკვეთილი მახვილები. ეს ბრინჯაოს და სხვა ნივთიერი საბუთები ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულს ეკუთვნიან. სოფელ არხილოსკალოს მიდამოებსა და მდინარე ალაზნის გაყოლებით გადიოდა აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ მიმავალი დიდი საქარაგრო გზაც.

ისტორიული წყაროების მიხედვით XIV საუკუნეში მტრის განუწყვეტელი თავდასხმები შირაქის მკვიდრთ ხელს უშლიდა წყნარ ცხოვრებასა და მუშაობაში. როგორც ცნობილია, თემურ ლენგი საქართველოში შირაქის მხრიდან შემოსულა. ხალხის გაჟლეტასთან ერთად მას ნათესების, ვენახის და ხეხილის სრული განადგურება უბრძანებია. დაიცალა და დაყრუვდა აყვავებული მხარე, მაგრამ დროთა განმავლობაში აქ ცხოვრება კვლავ აღსდგა, თუმცა დროებით.

1618 წელს საქართველოს შაჰ-აბასი შემოესია, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა ქართველები სრულიად მოესპო და მათ ადგილას თურქმანები ჩამოესახლებინა. ყველაზე მეტად კახეთი იქნა აოხრებული. მამინ დაატყდა თავს დიდი უბედურება სოფელ არხილოსკალოს. ზეპირსიტყვიერი გადმოცემით შემორჩენილია სოფლის ტრაგიკული ფაქტის ამსახველი ლეგენდა:

გამხეცებულ შაჰ-აბასს ძუძუმწოვარა სამასი ბავშვი, რომელთაც სიარული არ შეეძლოთ და არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ, დაუყრევინებია ერთ ვაკეზე.



ოცდაათიანი წლების სახლი სოფელ არხილოსკალოში



ახლადდაჭვდილი გაუხედნავი ცხენები შეუყენებია მათთვის და გაულეწია.\* ცოცხლად დარჩენილ და ტყვედ ჩაყარდნილ ხალხს, რომელიც ამ საზარელი ამბის შემდეგ ირანისკენ გაურეკიათ, მწარე ოხვრითა და გმინვით გაუვლია ტყვეობის მძიმე გზა. გზაში გამწარებული ხალხი ამბობდა თურმე: „არ იხილოს თვალმა ასეთი კალოო“, მაგრამ ხალხში სხვა აზრიცაა — ამბობენ, რომ იმ უბედურების დროს ორი ბავშვი გაქცევია მტრის რისხვას, გზაში პირველთა შემხვედრისათვის შიშისაგან თავზარდაცემულ ბავშვებს შეუძახიათ: „არსახილველი ამბავიაო“. პატარების ეს სიტყვები დასდებია საფუძვლად სოფლის სახელწოდებას — ამბობს მეორე ლეგენდა.

მილიანად განადგურდა სოფელი, მოისპო მოსახლეობა. მრავალი წლის განმავლობაში ამ არემარეში არ დაუყვფია ძაღლს, არ ამოყარდნილა კერიდან კვამლი, გავერანებულ, უკაცრიელ მიდამოდ გადაქცეულა ეს ტერიტორია. ხანდახან მოთარეშე ლეკები ან თათრები თუ გადავილიდნენ ზედ და ზამთრის საძოვრებზე ჩამოსულ თუმ მეცხვარეებს მოსვენებას არ აძლევდნენ.

მე-XX ს-ის დასაწყისში, 1905 წლიდან დაიწყო შირაქის ველის ხელახალი დასახლება. პირველად ჩამოსახლდნენ ფშაელები და მთიულები დუშეთის მახრიდან, შემდეგ კი თიანეთის მახრის სოფლებიდან.

არხილოსკალო წარმოშობილია სიტყვიდან „არ-ხალი-ყალა“. სიტყვა „არხალი“ — ბურჯიანს ნიშნავს, ხოლო „ყალა“ — გავრცელებული არაბული სიტყვაა და ციხეს ნიშნავს, ე.ი. ბურჯიანს ციხეს. სახელწოდების სისწორეზე მიგვითითებს თვით ადგილი: არხილოსკალოში დღესაც კარგად განირჩევა ძველისძველი, უზარმაზარი ფართობის მქონე ციხის ნაშთები. ციხის ტერიტორიას სამი მხრიდან ბუნებრივი დაცვა ჰქონია კლდოვანი ხეობებით, მეოთხე მხარეს კი განიერი არხი იცავდა. საგულისხმოა, რომ

\* — თავად ვარ შემსწრე, არხილოსკალოს ტაძრის საძირკვლის გათხრისას ამოვიდა თოთო ბავშვების ძვლები, რომლებიც შეგროვდა და ცალვე დაიმარხა. ამჟამად კი — ლუსკუმაში ჩაბრძანებული, არხილოსკალოს ტაძრის საკურთხეველშია — რედაქტორი.

მე-19 საუკუნეში ქართულ პრესაში ეს სოფელი კიდევ იხსენიებოდა „არხილოსკალოდ“.

დამაჯერებლად ჩანს ენათმეცნიერ გურამ ბედოშვილის მიერ აღნიშნული ტოპონიმის „არხილოსკალო“ ახსნა-გაგება. მისი მოსაზრებით ამოსავალი გახლდათ ის ფაქტი, რომ შირაქი, კერძოდ მისი ზამთრის სამოვრები, წოვა-თუშების ოდინდელ სამომთაბარეო ადგილს წარმოადგენდა. სწორედ ამის გამო უნდა წარმოდგარიყო ტოპონიმი „არხილოსკალო“. „არხილო“ ქართულად ნიშნავს „არხთან/არხისწყალთან“. „ლო“ ამ შემთხვევაში სუფიქსია — გავიხსენოთ ომა-ლო, დიკ-ლო, დართ-ლო.

1929 წელს სოფელ არხილოსკალოში ზემო ქედის მსგავსად შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კომუნა, რომელსაც ეწოდა „განთიადი“. მას სათავეში ჩაუდგა მთიული ივანე ქავთარაძე.

კომუნაში ყველაფერი გაერთიანებული იყო: კვება, ტანსაცმელი, ფული, შემოსავალი. მასში პირველად 11 ოჯახი იყო გაერთიანებული. კომუნას ჰქონდა თავისი წესდება, შემოსავალი არ ნაწილდებოდა, მთელი ჭირნახული ერთ ბედელში იყრებოდა, სალაროც საერთო ჰქონდათ. წესდებით უქმდებოდა ყოველგვარი კერძო საკუთრება; ორი ხელი ლოგინი თუ გქონდა, ერთი იმისთვის უნდა მიგეცა, ვისაც სულ არ ჰქონდა. ორი ხელი ტანსაცმელი თუ გქონდა, ერთი იმისთვის უნდა დაგეთმო, ვისაც ის უფრო უჭირდა; იკრძალებოდა ლოთობა და ერთმანეთისთვის შეურაცხყოფის მიყენება.

კომუნა მალე არტელად გადაკეთდა. კომუნაში თუ ყველა ერთნაირად იკვებებოდა, იცვამდა და ცხოვრობდა, არტელებმა უკვე სხვა სახე მიიღო. ადამიანს თავის ნაშრომს აძლევდნენ და არტელის საერთო დოვლათთან მის დამატებით კავშირს წყვეტდნენ. სოფელში სულ ოთხი არტელი დაარსდა:

- 1) შირაქის სახელობის
- 2) ქართველიშვილის სახელობის
- 3) არხილოსკალოს სახელობის
- 4) კომუნა „განთიადი“

1935 წელს წვრილად დაქსაქსული არტელები გაერთიანდნენ ერთ კოლმეურნეობად. სოფლის მცხოვრებლებმა მას „კიროვის“ სახელი უწოდეს და თავმჯდომარედ ივანე ქავთარაძე აირჩიეს.



მკა სამკალ-საკონავი მანქანით არხილოსკალოს კომუნაში



**ივანე ქავთარაძე** 1902 წელს დაიბადა დუშეთის მაზრის სოფელ ფასანაურში. 17 წლის საცხოვრებლად წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოში გადმოვიდა და მდიდარ გლეხს დაუდგა მოჯამაგირედ. 1928 წელს 26 წლის ახალგაზრდა სათავეში ჩაუდგა სასოფლო-სამეურნეო კომუნას „განთიადი“, რომელიც შემდეგ არტელად, ბოლოს კი კოლმეურნეობად გადაკეთდა. იგი 33 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას.

როგორც საკოლმეურნეო ცხოვრების თავდადებულ და ნიჭიერ ორგანიზატორს, მას სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის ბრძანებულებით ხორბლის უხევი მოსავლის მიღებისთვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცა ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“. (1050 ჰექტარ ფართობზე მიიღო 17 ცენტნერი ხორბალი (ჰექტარზე) და 20 ჰექტარ ფართობზე 39 ცენტნერი ხორბალი (ჰექტარზე).

მეორე მსოფლიო ომის წლებში მან თავისი პირადი დანაზოგიდან თვითმფრინავი ააგებინა სახელწოდებით „კომუნარი“ და მებრძოლებს ფრონტზე გაუგზავნა. დაჯილდოებულია ორი ლენინის შრომის წითელი დროშის ორდენით და ორი საპატიო ნიშნის ორდენით. ამასთან ის საქართველოდან ერთადერთი იყო მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის წევრად არჩეული. ივანე ქავთარაძე 1961 წლამდე მართავდა „კიროვის“ კოლმეურნეობას, ხოლო შემდეგ გზა ახალგაზრდებს დაუთმო და პენსიაზე გავიდა. კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებით მას შრომადღეებისა და ფულის სახით დაუნიშნეს მუდმივი პენსია.

აქვე გთავაზობთ მოთხრობას „არხილოს კალო“, რომელიც დედოფლის წყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გამოუგზავნა ავტორმა — ვალერიან მამუკელაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ.

არხილოსკალი

„ხალხსაც, ვისაც შეეძლო სიარული იტყვევებოდა, ვისაც არა იხოცებოდა, კოცონზე სწავდნენ მათ უსუსურ ბავშვებს ან მალლა ჰაერში ისროდნენ და სკვდინენ მათზე თავისი ხმლების მკვეთლობას. ცოლებს ქმრებისა, დედებს შვილებისა, გასათხოვარ და ზოგჯერ ისევე ნორჩ ბავშვებს თავისი მშობლების წინ ბილწავდნენ და აწარმოებდნენ სამინელს, სამარცხვინო სატანჯველ გახრწნილობას, აღარ იყო დანდობა, არც დიდის, არც პატარის, არც კაცის, არც ქალისა, არც სამღვდელის და არც ერის კაცისა. მთელ ქვეყანას მოედო საერთო გოდება, მთელი კახეთი ისპობოდა ქვეყნის პირისაგან“.

სპარსი მემატანე

შუადღის ხანს მზემ თავისი ძალა აგრძნობინა დელამიწას, მისი სხივები ხრუკავდნენ, სწავდნენ არემარეს. სოფელში აღარ ისმოდა ძროხებისა და ცხვრის ბღაილი, მამლების ყივილი, აქა-იქ ძაღლის შემაზრუნენი ყმუილი თუ დაარღვევდა მდუმარებას, წატრუსული ბალახი ფეხის ტერფებს უწვავდა იმათ, ვინც ჰაიპარად გამთენიისას შიმველ-ტიტველნი გამოირეკეს სახლებიდან. ბუხების ჯგრო თავს დასტრიალებდა მიწამიუყრელ ცხედრებს. ცხენების, ჯორების, აქლემების სკორის სუნით მოწამლულიყო ჰაერი. გადამწვარი სახლებიდან ავარდნილი ბოლი წყეულივით იკლაკნებოდა თაკარა ცის ტატნობზე. ონშივარი ასდიოდა ნახირივით თავშეყრილების სიმწრითა და სიცხით, სხეულზე ცვარნამად ქცეულ მლაშე ოფლის წვეთებს. გაჩქილი ბაღები, გაკაფული ვენახები, ალანძული სახლის ფარღალა კედლები უფრო ამძაფრებდნენ გაპარტახებული ნასოფლარის იავარქმნილ კარმიდამოს.

— შაპ გელდი! შაპ გელდი!

— ალაპ, ილალაპ! — უეცრად ამოვარდა ათასეულთა პირიდან. პირქვეწავარდნილებს სირაქლემასავით წაყვით თავი მტვრიან მიწაში და სულმოუთქმელად ბლაოდნენ. დროშების ფრიალით, ველური ყიჟინით, ზურნის ჭვიტინით, დოლის ბაგაბუგით ეგებებოდნენ შაპის გამოჩენას, რომელსაც ვერა და ვერ მოენელებინა ბოლო მარცხი ხორნაბუჯთან. გაბორბტებული, პირგამეხებული მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გადაეხადა სამაგიერო წყეული გიპურებისათვის.

ასკერებს უკვე მოესწროთ ახალგაძრდა, ლამაზი ქალებისა და ახლადწამოჩიტული, პირმშვენიერი გოგონების შერჩევა, ახლა მათ სანახავად მიუძღოდა ყორჩიხანი, თავის სწრაფ მერანს სადავეს უჭერდა, რათა წინ არ გაესწრო პატრონის ფაშატისათვის.

მბრძანებელი არაფრის გამომხატველი მხერით უყურებდა მისთვის საგანგებოდ შერჩეულ ლამაზმანებს: ჭუტალა, მბურღავი მხერით აკვირდებოდა თითოეულს, რიგის ბოლოს შეჩერდა ულამაზეს გოგონასთან, რომელსაც ჩვილი ბავშვი ჰყავდა გულში ჩახუტებული, მას დაჰყურებდა და აინუნშიც არ ავდებდა გარშემო ატეხილ ფაციფუცსა და ფუსფუსს.

მრისხანე თვალებით გადახედა შაპმა საჭურის გამრიგეს და ბავშვზე მიანიშნა.

— ვერაფრით ვერ გამოვგლიჯეთ ხელიდან თქვენო

ბრწყინვალეებო, შეგვეძლო ძალით წაგვერთმია, მაგრამ შეგვეშინდა, ზიანი რომ არ მიგვეყენებინა, ეს შირაზის ვარდოვითა და თქვენი იქნება... — მწიფანა ხმით შეჰკადრა საჭურისმა. შაპმა ხელი აიქნია და გაშორდა იქაურობას. — თქვენი ბრძანებით მოგროვილ ძუძუმწოვარა ბავშვებს რა ვუყოთ, ალაპის სადარო? — კითხვა დაადევნა სარღალმა. შაპმა აღვირი თავისკენ მოსწია.

— ძუძუმწოვარა ბავშვები, ძუძუმწოვარა? აგერ იმ მოტიტვლებულ ადგილზე რა ჩანს?

— ხორბალია, კალოა, მბრძანებელი.

— იქ მოუყარეთ ყველას თავი.

გავშვებულ დაეძებდნენ გადამალულ ჩვილ ბავშვებს, სარდაფიდან, გომურიდან თუ მარნიდან ისმოდა წივილი-კივილი. დედები ცოცხალი თავით არ ანებებდნენ თავიანთ პატარებს, ფიწლითა თუ ნამგლით, წაღლითა თუ ხანჯლით ებრძოდნენ აკვანთან მიჭრილ მოძალადეებს. ერთი კალომდე მოჰყვა და როცა ყორანივით გაშავებულმა სპარსმა მისი პირში კვერის გვერდით მოისროლა, ცა გაკვეთა მისმა შემზარავმა კივილმა, მივარდა, თითებით ჩააფრინდა და ფრჩხილებით ჩამოღადრა პირსახე. გამწარებულმა ახმახმა ჯვარედინად დაჰკრა მოღუნული ხმალი და ეხლა ერთად დაფავდნენ სულს დედა და შვილი.

თერთმეტი წლის გიორგი გვერდიდან არ შორდებოდა საბძელში დამალულ ოთხი წლის ძმას, ძუძუმწოვარა დასა და დედას. საომრად წასული მამის შემდეგ თავის თავზე აიღო ოჯახის პატრონობა, მზის გროვა გამოღრუნტა, აკვანი შიგ შეიტანა, მათთან ერთად იჯდა და რამდენჯერაც პატარა თამრო წამოიტირებდა, ფეხზე წამოვარდებოდა, მამის ხანჯალს ხელს სტაცებდა და აკვანს გადაეფარებოდა ხოლმე.

— ჩუმიდ ჩემო თამრო, თორემ გაიგებენ და ... აი წაეთრევიან და მერე გინდა იცინე და გინდა იტირე.

იმ სისხამზე ხმაური შემოესმა და როცა ეზოში ორო ყიზილბაში შენიშნა, აკვანს ხელი დასტაცა, დედას ანიშნა მომყვითო, უკანა კედლის ფიცარი გასწია, ყველანი თივით დაფარულ საძრომელადან გამოიყვანა და რიჟრაჟის ბინდში გაუჩინარდნენ. ტყის პირას იყვნენ მისულნი, უეცრად შეჩერდა, შეტრიალდა, დედას გამოსძახა — ეხლავე მოვალო. დადმართზე დაეშვა, ეზოში უჩუმრად შევიდა და საბძელში იმ ორი ურჯულოს ლაპარაკს მოჰკრა ყური, კარი გარედან უჩუმრად ურდულით გადაუკეტა და სირბილით თავისიანებთან დაბრუნდა.

საბძლიდან ავარდნილმა ცეცხლის ალმა გაანათა აისის გაცრეცილი სიბნელე.

კალო გაავსო ერთმანეთის გვერდით ჩალაგებულ ბავშვთა რიგებმა, დამშეულები ქარის მიერ ატოკებულ ხეთა ფოთლებივით ირხეოდნენ, ტუჩების ცმაცუნით ეძებდნენ დედის ძუძუს და რაკი ვერ პოულობდნენ, გაბმული ტირილით გამოხატავდნენ თავიანთ წუხილს, რომელიც მთლიანობაში ერთ ზარად ქცეულიყო და რექვიემივით ისმოდა ალაზნის ნაპირზე.

არაფერია ჩვილ ბავშვთა ტირილზე უფრო გულსაკლავი, განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთად თავშეყრილთა ურვად და ვაებად გაისმის, არ შეიძლება გულის ერთი ძაღვი მაინც არ შეგიტოკოს უმწეოთა გოდებამ, პირუტყვიც კი ზმუილით, ბუხუნით, ხავილით თუ ყფით ეხმაურება თავის პატარას და ცდილობს შემწეობა აღმოუჩინოს.



\*\*\*

უკან მობრუნებულმა ბეგლარბეგმა იუზბაში იხმო:

— ხომ გაიგონე, რა თქვა მზის სადარმა? უღლიანი კამეჩებია საჭირო!

— მერე და სად ვიშოვოთ, მთელი ნახირი გუშინ და გუშინწინ გარეკეს ჩვენებმა.

— უნდა იმოვონ, ტყეში ეყოლებათ გადამალული, წადი, ყორჩიები და ღაზები გაიყოლე და სასწრაფოდ აქ გააჩინე!

შუადღე კარგახნის გადასული იყო, კამეჩები რომ მორეკეს კოჭლ პატრონთან ერთად, ქაიხოსროს შირვანთან ბრძოლაში ხმლით გადაუჭრეს სახსარი, მას შემდეგ ნამგალივით იქნევედა მარჯვენა ფეხს, იფნის ჯოხი გამოთალა და მისი დახმარებით ახერხებდა გადაადგილებას. ოჯახს ვედარ მოეკიდა, თავმომწონე ვაჟკაცმა, გამორჩეულმა აღნაგობითა და ქცევით, სხვა თვალთ შებედა ცხოვრებას, ერცხვინებოდა ტოლ-სწორებში ძველებურად გავლა-გამოვლა, ღზინი და ლაღობა, საქონელს მიეჩვია, იმათზე ზრუნვით ათენ-ალამებდა, უვლიდა, პატრონობდა და როცა მისი სოფლები მთაში გაიხიზნნენ, არ გაჰყვა: ასე ხანხალით ხელს შეეუშლიო, კამეჩები, ძროხა და დეკუული ტყეში გადამალა, ლასტებით პატარა ქოხი შეკრა და იქ ელოდა მშობლებისა და ნათესავ-მეზობლების სოფელში დაბრუნებას, ყიზილბაშებმა იქ შეიპყრეს და კამეჩებთან ერთად კალოზე მოიყვანეს. ბევრის მნახველი მეომარი გაკვირებული იყო იქ დანახულით. შესძრა თოთო ბავშვების საცოდაობამ. იფიქრა, ალბათ დედებიც აქვე ახლოს სადმე ეყოლებათ გაყვანილიო, მაგრამ უკვირდა, როგორ დატოვეს თითის ტოლა პატარები უპატრონოდ, ხან ერთ მხარეს გაიხედა, ხან მეორეზე და ვერსად რომ ვერ დაინახა, მხრები აიჩეჩა:

— სად წავიდნენ ის ჩემი ცოდვით სავსენი? — ჩაილაპარაკა და კამეჩებს მიუტრიალდა.

— კვერი გამოუბი! — უბრძანა მიმბაშმა.

— მერე?

— კალოს გაუარ-გამოუარე! — ხელით ანიშნა საჭურისმა. უეცრად მიხვდა მტრის განზრახვას, ყელში რაღაც მოებჯინა, საბელივით წაუჭირა და გონებაში ბურღივით დაუტრიალდა, სახრე მოისროლა და მთელი ხმით იყვირა:

— ღმერთმა დაგწყევლოთ ჯალათებო, ჯოჯოხეთის მოციქულნო, წყეულიმც იყავით უკუნითი უკუნისამდე. — მიმბაშთან მივარდა, ყელში ხელები წაუჭირა და ალბათ მიახრჩობდა კიდევ, უკანიდან მიპარულ შათირს ზურგში ბებუთი რომ არ ჩაერთყა, დაჭრილი ქაიხოსრო ხელებს მაინც არ უშვებდა ახროტინებულ მსხვერპლს. მაგრამ, როცა მეორედ დარტყმულმა მახვილმა მარცხენა მხართან თავი ამოყო, ძალა გამოეღია და კამეჩების ფეხებთან ჩაიკეცა. გამწარებული ყიზილბაში გინებითა და წყევლა-კრულვით კამეჩებთან მივარდა, უღელზე შუბტა და წვეტიანი დანა ნიკორა კამეჩს ფერდთან დაჰკრა გამეტებით, გამწარებული პირუტყვი ფეთიანივით შევარდა წრეში და თრევით გაიყოლა უღლის მეორე გამწვევი.

პირველი ბავშვის კვილიმა შესძრა ირგვლივ არემარე, მოუთმენელი ტკივილი უეცრად შეიჭრა პატარა სხეულში, დაიპყრო იგი სიმწრითა და ელდით, შიშითა და ძრწოლით, ელვის სისწრაფით დაიმონა ყველა უჯრედი და თავისი მბრძანებლობის ქვეშ მოაქცია. მას მეორე მოჰყვა, მერე მესამე და დატრიალდა ცოდვის კალო. დაკუთხ-

ვილი კოხები ლურსმანივით ერჭობოდა ბავშვთა ჩვილ სხეულს, სისხლმა შედეგა მიწაზე აქა-იქ მოფენილი, ღვთით კურთხეული ხორბალი, ადამიანის არსებობის პირველი წყარო, კაცობრიობის საზრდო და მარჩენალი, აჭრულდა ცოტახნის წინ თავთუხმობნიული კალოს პრიალა ზედაპირი, ტალახივით იხილებოდა თოთო ბავშვების ნაზი სხეული, ღვარად მოდიოდა წებოვანი სითხე, კალოს შუაგულში გუბდებოდა და ჩამავალი მზის სხივებზე შავად ელვარებდა, თანდათანობით ღუნდებოდა ბავშვთა მოთქმით შემძრული გარემო. მხოლოდ საფენებიდან გამომძვრალი ერთი პატარა ბიჭი გაღოლებულიყო გვერდით, წყობისად დალაგებულ ძნებს მოჰფარებოდა და თავაწეული აქეთ-იქით იყურებოდა, როცა მის გვერდით საიდანღაც მოვარდნილი უღვაშებიანი იუზბაში დაინახა, თავის პაპას მიამსგავსა და სიხარულით აჭყლოპინდა. პა... პა... იძახდა. ყორჩმა თვალი შეავლო, მივიდა, თავზე დაადგა, კარგა ხანს უყურა, ბავშვმა გაუცინა და ხელები გაუწოდა, თვითონაც გაიღიმა, აიტაცა, მოეფერა, ცხენს ყაჯარი მოხსნა, შიგ შეახვია, წითელ უღაყზე შეჯდა, კალთაში ჩაისვა და სამხრეთისაკენ მიმავალ გზას გაუყვა ჭყნებით.

შუადამისას გიგა პაპა ჯოხის კაკუნით მოადგა ცოდვის კალოს, კარგა ხანს იქვითვითა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა შუქმოკლებული თვალებიდან, წარამარა თავს აქეთ-იქით აქნედა, მერე შუბლზე წაკრული თავშალი მოიძრო, თვალებზე მიისვ-მოისვა და იქვე ახლოს ვიდაც დალანდა, ამ დროს მთვარეც დაუძვრა ღრუბლებს, გამოანათა და თავისი მეზობელი მელანო შეიცნო:

— შენ აქ რა გინდა? ამ შუადამისას?

— ყიზილბაშებს გამოვეპარე, საფენები მოვუტანე ჩემს პატარას, აკვნიანად რომ წამგლიჯეს ხელიდან, ჩაისველებდა, გამოვუცვლი, — სლოკინით ლაპარაკობდა მოძმანაანთ რძალი.

— საფენები?

— ჰო, ასე მითხრეს, დიდების გორასთან კალოზე მიიყვანესო.

— აქ აღარავინ არის, წადი გაშორდი აქაურობას.

— მერე, ჩემი გიორგი? მოშივდებოდა საცოდავს, დილას აქეთ არაფერი უჭამია, მიავალ, ძუძუს მოვაწოვებ.

— ხომ გითხარი, წავიდნენ და ყველა ბავშვი თან გაიყოლეს-მეთქი.

— იქნებ ჩემი ლამაზი შვილი აქ დატოვეს, მიავალ, ვნახავ, გიგა პაპა, უმისოდ რა გამძლებინებს.

— არა, წავიდნენ, წავიდნენ, დამიჯერე, ხელი იღლიაში გამოსდო და შარავზამდე ვიკავ-ვიკავით მიიყვანა, მერე უკან შემოტრიალდა, მუხლებზე დაემხო, ხელები ადაპყრო და ზეცას შებღაჟა.

— ღმერთო, ხედავ ამ საშინელებას, გინახავს მსგავსი რამ დედამიწის ზურგზე? ნადირ-მხეცი არ ჩაიდენდა იმას, რაც ამ ჯალათებმა მოიმოქმედეს, სად არის სამართალი, უფალო, შენ უნდა იფარავდე შენივე გაჩენილს, ამორებდე ტანჯვა-წამებას, იცავდე ავისა და ბოროტისაგან, რათა არ დაიღვაროს უმანკოთა სისხლი, დედათა ცრემლი, არ მოხდეს ახალგაზრდათა ზოცვა-ჟღელტა. დაბრძვადი მთლიანად, თვალო, რომ აღარ იხილო ასეთი ცოდვა, ჩემო კეთილო ხალხო, საყვარელო ქვეყანავ, აღარ გქილოს ასეთი კალო, აღარა!

პირველი გადაიწერა, თითები მოკუმშა და მუშტები მკერდზე ძალუძად წაიშინა.



# მეზა პარიამვილი

დავიბადე 1975 წლის 25 ივნისს ქალაქ დედოფლისწყაროში. 6 წლის ასაკში შევედი სკოლაში, რომლის დასრულების შემდეგ სწავლა განვაგრძე თბილისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში – დაწყებითების ფაკულტეტზე. ვმუშაობ დედოფლისწყაროს სოციალური

მომსახურების რაიონულ განყოფილებაში სოციალურ აგენტად. მყავს თჯახი.

ბავშობაში ვინტერესდებოდი ხელოვნებით, რასაც ყურადღება მიაქცია სკოლაში არსებული ხელოვნების წრის ხელმძღვანელმა მართ ბერიძემ. მისი დამსახურებაა ჩემი ხელოვნებით დაინტერესება. მან შემასწავლა მაკრამე. ეს იყო პირველი შენება ხელოვნებასთან. მერე ვქმნიდი სურათებს სხვადასხვა გამოუყენებელი ნივთებისგან: მინის ნამსხვრევებისგან, დაშლილი მძივებისგან, ტყვიებისგან და სხვა მასალისგან. ასევე ვქარგავდი, რაც დედამ მასწავლა. დღეს გატაცებული ვარ ალმასებით, იგივე ბისერებით და ამ მასალით ვქმნი სურათებს. 1999 წელს მქონდა პირველი პერსონალური გამოფენა დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სხვადასხვა დროს მონაწილეობას ვიღებდი გამოფენებში, რომლებიც ეწყობოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.

2003 წელს პაპახემის, იოსებ ბაიაშვილის, გარდაცვალებიდან 20 წელი სრულდებოდა; ამასთან დაკავშირებით მე და ჩემმა დამ, ირმამ, გამოფენა მოვაწყეთ თბილისში „კავკასიურ სახლში“. ამ გამოფენის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები იყვნენ ვახუშტი კოტეტიშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ეთერ თათარაძე, ამირან არაბული და სხვა დიდებული ადამიანები, რომლებიც პატივს სცემდნენ პაპახემს, როგორც ხალხურ მეღეჭეს. ეს იყო ჩემი დიდი წინაპრის გახსენების საღამო ჩვენი ნამუშევრების ფონზე.

მინარია ის, რომ ჩემი შვილები, მარიამ და სალომე თარხნიშვილები, დაინტერესებული არიან ხელსაქმით და ისინიც ქმნიან დიდებულ ნამუშევრებს.



ინგა ბაიაშვილი ვენეცია



ინგა ბაიაშვილი სამკრებლო



ინგა ბაიაშვილი ვაღსი



ინგა ბაიაშვილი ნიკალას მეთევზე



ინგა ბაიაშვილი სახლი სანაპიროზე



ინგა ბაიაშვილი მუსიკოსი



სალომე  
თარხნიშვილი  
ვატაშვილი



მარია  
თარხნიშვილი  
კლიმტის „პოცნა“